ა

**აბოლიცია** - სამართლებრივი აქტის გაუქმება.

**ԱԲՈԼԻՑԻԱ (լուծարում, վերացում)** –իրավական ակտի վերացում:

**აბსოლუტური უფლება** - უფლება, რომლის აღიარება და ხელყოფისგან თავის შეკავება მოეთხოვება სამართლის ყველა სუბიექტს.

**ԱՆՍԱՀՄԱՆԱՓԱԿ ԻՐԱՎՈՒՆՔ (բացարձակ իրավունք)** - իրավունք, որը յուրաքանչյուր սուբյեկտ պարտավոր է ճանաչել եւ ձեռնպահ մնալ այն խախտելուց:

**აგენტი** - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს სხვა პირის სახელით, ხარჯითა და დავალებით, დებს გარიგებებს მესამე პირებთან.

**ԳՈՐԾԱԿԱԼ (ագենտ)**- իրավաբանական կամ ֆիզիկական անձ, որը գործում է ուրիշի անունից, ուրիշի ծախսով և հանձնարարությամբ, գործարքներ է կնքում կողմնակի անձանց հետ:

**ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)** - ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

**ԹՐԱՖԻՔԻՆԳ (մարդկանց առևտուր)** – մարդուն գնելը կամ վաճառելը կամ նրա հանդեպ այլ անօրինական գործարք կնքելը, նաև սպառնալիքով կամ բռնության ուրիշ ձևերով, առևանգմամբ, նենգաշորթությամբ (շանտաժով), խարդախությամբ, խաբեությամբ, անօգնական վիճակը կամ իշխանությունն ի չարը գործադրելու միջոցով այն անձի համաձայնությունն ստանալու նպատակով, որը կարող է ազդեցություն գործել մեկ այլ անձի վրա, հատուցում կամ շահ տալու կամ ստանալու ճանապարհով մարդուն իր կողմը գրավել, անցկացնել, վարձել, տեղափոխել, հանձնել, շահագործման նպատակով պատսպարել կամ ընդունել:

**ადამიანის უფლებები** - საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

**ՄԱՐԴՈՒ ԻՐԱՎՈՒՆՔՆԵՐ** –Վրաստանի սահմանադրության համաձայն՝ պետությունը ճանաչում ու պաշտպանում է մարդու՝ համընդհանուր ճանաչում ունեցող իրավունքներն ու ազատությունները՝ որպես անանցողիկ և գերագույն արժեքներ: Իշխանություն իրականացնելիս ժողովուրդը և պետությունը

սահմանափակված են այս իրավունքներով և ազատություններով՝ որպես անմիջականորեն գործող իրավունք:

**ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები** - ადამიანის უფლებათა ყველაზე სერიოზული დარღვევები, რომელიც როგორც წესი დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ ხელშეუხებლობასთან.

**ՄԱՐԴՈՒ ԻՐԱՎՈՒՆՔՆԵՐԻ ԿՈՊԻՏ ԽԱԽՏՈՒՄՆԵՐ** - մարդու իրավունքների ամենալուրջ խախտումները, որոնք սովորաբար առնչվում են մարդու ֆիզիկական անձեռնմխելիությանը:

**ადგილზე დათვალიერება** - სასამართლოს მიერ ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევა უშუალოდ ადგილზე, როდესაც მათი სასამართლოში წარდგენა რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელია.

**ՏԵՂԱԶՆՆՈՒԹՅՈՒՆ** – դատարանի կողմից նյութական և գրավոր հանցանշանների քննումը անմիջապես տեղում, երբ որևէ պատճառով դրանք դատարանին ներկայացնելն անհնար է:

**ადგილობრივი თვითმმართველობა** – საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

**ՏԵՂԱԿԱՆ ԻՆՔՆԱՎԱՐՈՒԹՅՈՒՆ** – Վրաստանի քաղաքացիների իրավունքը ու հնարավորությունը՝ տեղական ինքնավարության մարմինների միջոցով, Վրաստանի օրենսդրության համապատասխան կարգավորել ու վարել տեղական նշանակություն ունեցող հարցերը սեփական պատասխանատվությամբ ու տեղաբնակչության շահերին համապատասխան:

**ადგილსამყოფელი -** ადგილი, სადაც ფაქტობრივად იმყოფება განსაზღვრული ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე ქონება; 1. იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

**ԳՏՆՎԵԼՈՒ ՎԱՅՐ** – վայր, որտեղ փաստորեն գտնվում է որոշ ֆիզիկական կամ իրավական անձ, նաև գույք: 1. Իրավաբանական անձի գտնվելու վայր է համարվում նրա վարչության գտնվելու տեղը: Իրավաբանական անձը կարող է ունենալ միայն մեկ գտնվելու վայր (իրավաբանական հասցե):

**ადვოკატი** – იურისტი, რომელიც ფლობს ადვოკატის მოწმობას და შესაბამისად უფლებამოსილია კონსულტაცია და სამართლებრივი დახმარება გაუწიოს დაინტერესებულ პირს.

**ՓԱՍՏԱԲԱՆ (աղվոկատ)** – իրավաբան, որը փաստաբանի վկայական ունի և ըստ այդմ՝ իրավասու է խորհրդատվություն և իրավական օգնություն ցուցաբերել շահագրգիռ անձին:

**ადმინისტრაცია** - წარმოებასა და დაწესებულებებში ადმინისტრაციული ფუნქციების განმახორციელებელი ორგანოები, რომელთა უფლებამოსილებაშიც შედის საკადრო, საფინანსო და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება.

ՎԱՐՉՈՒԹՅՈՒՆ – ձեռնարկություններում և հիմնարկություններում վարչական գործառույթներ իրականացնող մարմիններ, որոնց իրավասությունների մեջ է մտնում կադրային, ֆինանսական ու կազմակերպչական հարցերի կարգավորումը:

**ადმინისტრაციული დაკავება** - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად პირის დაკავება, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაშინ როდესაც ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები.

ՎԱՐՉԱԿԱՆ ՁԵՐԲԱԿԱԼՈՒՄ – վարչական իրավախախտումը կանխարգելելու նպատակով անձի ձերբակալումը վարչական իրավունքի օրենսդրությամբ սահմանված կարգով՝ այն դեպքում, երբ սպառված են ներգործության մյուս միջոցները:

**ადმინისტრაციული ორგანო** - ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

ՎԱՐՉԱԿԱՆ ՄԱՐՄԻՆ – պետական կամ տեղական ինքնավարության բոլոր մարմինները կամ հիմնարկությունները, հանրային իրավունքի իրավաբանական անձը (բացի քաղաքական ու կրոնական միություններից), նաև ամեն մի ուրիշ անձը, որը Վրաստանի օրենսդրության հիման վրա կատարում է հանրային իրավական իրավասություններ:

**ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება** – ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება. აღნიშნული დოკუმენტი შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

ՎԱՐՉԱԿԱՆ ՄԱՐՄՆԻ ԽՈՍՏՈՒՄ - Վարչական մարմնի գրավոր փաստաթուղթ, որը հաստատում է , որ տվյալ գործողությունը իրականացվելու է: Նշված փաստաթուղթը կարող է դառնալ հետաքրքրված կողմի օրինական վստահության հիմքը:

**ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა** – პასუხისმგებლობა, რომელიც დგება იმ შემთხვევაში თუ სამართალდარღვევა თავისი ხასიათით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას

**ՎԱՐՉԱԿԱՆ ՊԱՏԱՍԽԱՆԱՏՎՈՒԹՅՈՒՆ** – պատասխանատվություն, որը ծագում է այն դեպքում, երբ իրավախախտումն իր բնույթով, Վրաստանի օրենսդրության համաձայն, չի հարուցում քրեական պատասխանատվություն:
**ადმინისტრაციული პატიმრობა** – ადმინისტრაციული სახდელის ფორმა, რომელიც დადგინდება და გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ცალკეული სახეობის სამხედრო სამსახურის წესის დარღვევისათვის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის.

**ՎԱՐՉԱԿԱՆ ԲԱՆՏԱՐԿՈՒԹՅՈՒՆ** – վարչական պատժամիջոցի ձև, որը սահմանվում ու կիրառվում է միայն բացառիկ դեպքերում, առանձին տեսակի զինծառայության կարգի խախտման և վարչական իրավախախտման համար:

**ადმინისტრაციული საჩივარი** - დაინტერესებული პირის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით.

**ՎԱՐՉԱԿԱՆ ԲՈՂՈՔ**- շահագրգիռ անձի կողմից, վարչական օրենսդրությամբ սահմանված կարգի համաձայն՝ իրավասու վարչական մարմնին ներկայացված գրավոր պահանջ՝ խախտված իրավունքը վերականգնելու նպատակով:

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა)** – სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

**ՎԱՐՉԱԿԱՆ ԻՐԱՎԱԽԱԽՏՈՒՄ (զանցանք)** – պետական կամ հասարակական կարգը, քաղաքացիների իրավունքներն ու ազատությունները խախտող հակաիրավական, մեղավոր (կանխամտածված կամ անզգույշ) գործողություն կամ անգործունություն, որի համար օրենսդրությամբ նախատեսված է վարչական պատասխանատվություն:

**ადმინისტრაციული სახდელი** - საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები: 1) გაფრთხილება; 2) ჯარიმა; 3) გამასწორებელი სამუშაოები; 4) ადმინისტრაციული პატიმრობა; და სხვა სახდელები რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით.

**ՎԱՐՉԱԿԱՆ ՊԱՏԺԱՄԻՋՈՑ**– Վրաստանի վարչական իրավունքի օրենսդրությամբ վարչական պատժամիջոցը ներկայացնում է պատասխանատվության չափ և կիրառվում է ինչպես իրավախախտողի, այնպես էլ ուրիշ անձանց կողմից նոր իրավախախտություններ կատարելը կանխելու նպատակով: Վարչական

իրավախախտումներ կատարելու համար կարելի է կիրառել հետևյալ վարչական պատժամիջոցները . 1)զգուշացում, 2)տույժ 3) ուղղիչ աշխատանքներ 4)վարչական բանտարկություն,  և ուրիշ պատժամիջոցներ, որոնք նախատեսված են Վրաստանի վարչական իրավունքի օրենսդրությամբ:

**ადმინისტრაციული ხელშეკრულება** - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო–სამართლებრივი ხელშეკრულება.

**ՎԱՐՉԱԿԱՆ ՊԱՅՄԱՆԱԳԻՐ** – վարչական մարմնի կողմից հանրային իրավասություն իրագործելու նպատակով ֆիզիկական կամ իրավաբանական անձի, նաև այլ վարչական մարմնի հետ կնքված քաղաքացիական-իրավական պայմանագիր:

**ადმინისტრაციული წარმოება** - ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით.

**ՎԱՐՉԱԿԱՆ ՎԱՐՈՒՅԹ** – վարչական մարմնի գործողությունը՝ վարչա-իրավական ակտի պատրաստման, հրապարակման  և կատարման, վարչական բողոքի որոշման, նաև վարչական պայմանագրի պատրաստման, կնքման կամ վերացման նպատակով:
**ადმინისტრაციული წარმოების სახეები** – საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით, ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილია შემდეგი სახეები : 1. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება; 2. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება, 3. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

**ՎԱՐՉԱԿԱՆ ՎԱՐՈՒՅԹԻ ՏԵՍԱԿՆԵՐ** - Վրաստանի վարչական իրավունքի օրենսդրությամբ՝  վարչական վարույթի համար սահմանված են հետևյալ տեսակները. 1.պարզ վարչական վարույթ, 2. ձևական վարչական վարույթ, 3. հանրային վարչական վարույթ:

**ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი** – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი.

**ՎԱՐՉԱ-ԻՐԱՎԱԿԱՆ ԱԿՏ** - վարչական մարմնի կողմից օրենսդրության հիման վրա հրապարակված իրավական ակտ:

**ალბათობის მაღალი ხარისხი** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დამაკმაყოფილებელია სხდომის მოსამართლისათვის, რათა ვარაუდის მაღალი ხარისხით იქნეს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

**ՀԱՎԱՆԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԲԱՐՁՐ ԱՍՏԻՃԱՆ** – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ՝ նախնական դատական նիստում ներկայացված հանցանշանների ամբողջությունը, որը բավարար է նիստի դատավորի համար, որպեսզի ենթադրության բարձր աստիճանով կայացնի մեղադրական դատավճիռը:

**ალიბი** - უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულება (მაგ. დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებულის სხვა ადგილზე ყოფნის ფაქტი).

**ԱԼԻԲԻ (այլուրեքություն)** –անմեղապարտությունն ապացուցող հանցանշան (օր. հանցագործություն կատարելու ժամանակ մեղադրյալի՝ այլ վայրում գտնվելու փաստը):

**ალიმენტი** - ფულადი თანხა, რომლის გადახდაც ეკისრება პირს მისი ოჯახის წევრის სარჩენად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

**Ալիմենտ** - դրամական գումար, որը ծախսել պարտադրվում է անձը իր ընտանիքի անդամին պահելու համար, Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված կարգով:

**ԱԼԻՄԵՆՏ** - դրամական գումար, որն անձը պարտավոր է վճարել իր ընտանիքի անդամին պահելու համար, Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված կարգով:

**ამნისტია** - საქართველოს პარლამენტის მიერ ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ გამოცემული აქტი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია დამნაშავე გათავისუფლდეს სისხლის–სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან, ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. ამნისტიის აქტით აგრეთვე შესაძლებელია ნასამართლობის მოხსნა.

**ՀԱՄԱՆԵՐՈՒՄ (ամնիստիա)** –Վրաստանի խորհրդարանի կողմից անհատականորեն անորոշ անձանց նկատմամբ հրապարակված ակտ, որի հիման վրա մեղավորը կարող է ազատվել քրեական պատասխանատվությունից, իսկ դատապարտյալը կարող է ազատվել պատժից, կամ նրա համար նշանակված պատիժը կարող է նվազեցվել կամ փոխարինվել ավելի թեթև պատժով: Համաներման ակտով հնարավոր է նաև դատվածության զցումը:

**ამსრულებელი** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, პირი რომელმაც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული, ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში. აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხადობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

**ԿԱՏԱՐՈՂ** - Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ անձ, որը անձամբ է գործել հանցանքը կամ ուրիշի (մեղսակցի) հետ միասին անմիջականորեն մասնակցել է դրան: Նաև նա, ով հանցագործությունը կատարել է

ուրիշ անձի միջոցով, որն ըստ օրենսգրքի՝ ենթակա չէ քրեական պատասխանատվության՝ տարիքի, անմեղսունակության կամ մեկ այլ հանգամանքի պատճառով:

**ამსრულებლის ექსცესი** – ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა.

ԿԱՏԱՐՈՂԻ ՎԵՐԱՋԱՆՑՈՒՄ – Կատարողի կողմից իրականացված այնպիսի հակաիրավական գործողություն, որը չէր մտնում մեղսակցի կամ մասնակցի մտադրության մեջ:

**ამხანაგობა (ერთობლივი საქმიანობა)** – ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირის მიერ ვალდებულების აღება, რათა ერთობლივად იმოქმედონ საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად.

ԸՆԿԵՐՈՒԹՅՈՒՆ **(համատեղ գործողություն)** –երկու կամ մի քանի անձանց կողմից պարտավորության ստանձնումը համատեղ գործողության պայմանագրով, ըստ որի՝ նրանք պետք է միասին գործեն ընդհանուր տնտեսական կամ այլ նպատակների հասնելու համար՝ պայմանագրով սահմանված միջոցներով, առանց իրավաբանական անձ ստեղծելու:

**ანაბარი** – ფულადი თანხის შეტანა საკრედიტო დაწესებულებაში.

ԱՎԱՆԴ –վարկային հիմնարկությանը դրամական գումար մուծել:

**ანალოგია** - 1. კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია). საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. 2. კანონის ანალოგიის გამოყენების შეუძლებლობისას, კერძოსამართლებრივი ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის მთელი სისტემის და ზოგადი პრინციპების საფუძველზე (სამართლის ანალოგია).

ԱՆԱԼՈԳԻԱ **(համանմանություն)** – 1. օրենքով ուղղակիորեն չնախատեսված մասնավոր իրավաբանական հարաբերությունը կարգավորելու համար օգտագործվում է հարաբերությունները կարգավորող իրավական այն նորմը, որն ամենից շատ է համապատասխանում տվյալ իրավիճակին (օրենքի համանմանություն): Հանրային իրավական հարաբերություններում օրենքի համանմանությունն օգտագործվում է միայն օրենքով ուղղակիորեն նախատեսված դեպքերում և սահմանված կարգով, 2. երբ անհնար է օգտագործել օրենքի համանմանությունը, մասնավոր իրավաբանական հարաբերությունը պիտի կարգավորվի իրավունքի ամբողջ համակարգի և ընդհանուր սկզբունքների հիման վրա:

**ანდერძი** - წერილობითი ფორმით გამოხატული პირის ცალმხრივი ნება, მის საკუთრებში არსებული ქონება გარდაცვალების შემდეგ გადასცეს სხვა პირს მემკვიდრეობით.

**ԿՏԱԿ** – անձի՝ գրավոր ձևով արտահայտված միակողմանի կամքը՝ իր սեփականությունը հանդիսացող գույքն իր մահից հետո ժառանգաբար ուրիշ անձի հանձնելու վերաբերյալ:

**აპატრიდი** - მოქალაქეობის არმქონე პირი.

**ԱՊԱՏՐԻԴ** - քաղաքացիություն չունեցող անձ:

**აპელაცია** - პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების(განაჩენის) გასაჩივრება (გადასინჯვის მოთხოვნა) სააპელაციო სასამართლოში.

**ԱՊԵԼՅԱՑԻԱ (բողոքարկում)** - բողոքարկել (պահանջել վերանայել) առաջին ատյանի դատարանի որոշումը (դատավճիռ) բողոքարկման դատարանում:

**არამატერიალური ქონებრივი სიკეთე –** მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე.

**ՈՉ ՆՅՈՒԹԱԿԱՆ ԳՈՒՅՔԱՅԻՆ ԲԱՐԻՔ** – պահանջներ և իրավունքներ, որոնք հնարավոր է հանձնել ուրիշ անձանց, կամ որոնք նախատեսված են իրավատիրոջ համար նյութական շահ ստեղծելու կամ այլ անձանցից որևէ բան պահանջելու իրավունք ընձեռելու համար:

**არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) –** გაერთიანება (კავშირი), რომელიც საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. მისი მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება წევრთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**ՉԳՐԱՆՑՎԱԾ ՄԻՈՒԹՅՈՒՆ (ընկերակցություն)** – ընկերակցություն (միություն), որը, Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն, իրավաբանական անձ չի հաղիսանում: Դրա կազմակերպման և կառուցվածքի հարցերը որոշվում են անդամների փոխհամաձայնության հիման վրա:

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე დარეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენს სამეწარმეო (კომერციული ) საქმიანობა.

**ՈՉ ՁԵՌՆԱՐԿԱՏԻՐԱԿԱՆ (ոչ կոմերցիոն) ԻՐԱՎԱԲԱՆԱԿԱՆ ԱՆՁ**- Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության հիման վրա գրանցված իրավաբանական անձ, որի նպատակը չի հանդիսանում ձեռնարկատիրական (կոմերցիոն) գործունեությունը:

არასრულწლოვანი - ფიზიკური პირი 7- დან 18 წლამდე.

ԱՆՉԱՓԱՀԱՍ – 7-ից մինչև 18 տարեկան ֆիզիկական անձ:

**არბიტრაჟი** - მხარეთა შორის დავის განხილვა არასასამართლო (ალტერნატიული) მეთოდით. აღნიშნული მეთოდით შესაძლებელია ქონებრივი დავების განხილვა, მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

ԱՐԲԻՏՐԱԺ – կողմերի միջև վեճի քննումը ոչ դատական (այլընտրանքային) մեթոդով: Կողմերի գրավոր համաձայնությամբ՝ նշյալ մեթոդով կարելի է քննել գույքային վեճեր:

**არჩევნები –** პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა.

ԸՆՏՐՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ – գործընթաց, որի նշանակությունն ու արդյունքն է հանրային իշխանության ներկայացուցչական մարմինների և հանրային իշխանության պաշտոնյաների ընտրությունը:

**აუქციონი** - ქონების საჯარო წესით შეთავაზება, როდესაც ყველაზე მაღალი ფასის გადამხდელი ამ ქონების მესაკუთრე ხდება. აუქციონი, ზოგიერთ შემთხვევაში წარმოადგენს ქონების იძულებითი გაყიდვის ფორმას, ვალის დაფარვის მიზნით.

ԱՈՒԿՑԻՈՆ (աճուրդ) – գույքի հանրային կարգով առաջարկումը, երբ ամենամեծ գումար վճարողը դառնում է այդ գույքի սեփականատերը: Աճուրդը որոշ դեպքերում գույքի ստիպողական վաճառքի ձև է հանդիսանում՝ պարտքը մარելու նպատակով:

**აუცილებელი მოგერიება** - 1. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას, ხელმყოფის დაზიანება თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. აუცილებელი მოგერიება წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას. 2. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედების დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება. 3. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედ პირს, აგრეთვე არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის.

ԱՆՀՐԱԺԵՇՏ ԵՏՄՂՈՒՄ – 1. Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն, անձի կողմից հակաիրավական ոտնձգություն անելիս, ոտնձգություն կատարողի վնասումը իր կամ ուրիշի իրավական բարիքը պաշտպանելու համար, անհրաժեշտ ետմղումը հանդիսանում է օրինազանցությունը բացառող պարագա, 2. Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն, անհրաժեշտ ետմղման սահմաններում իրականացված գործողության ժամանակ հասցված վնասը չի փոխհատուցվում, 3. Անհրաժեշտ ետմղման վիճակում գտնվող անձը վարչական իրավախախտման համար պատասխանատվություն չի ստանձնի:

**აფექტი** - უეცრად აღძრული და სწრაფწარმავალი ემოცია, რომელიც ადამიანში იწვევს საკუთარ ქმედებაზე კონტროლის დაკარგვას.

**ԱՖԵԿՏ** - հանկարծակիորեն առաջացած և անցողիկ հոգեկան հուզմունք, որը մարդու մեջ առաջացնում է սեփական գործողությունների վերահսկողության կորուստ:

**აქტი** - სხვადასხვა სახისა და იურიდიული ძალის მქონე ოფიციალური დოკუმენტი; რაიმე ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც დადგენილია გარკვეული უფლება-მოვალეობა.

**ԱԿՏ** – տարբեր տեսակներ և իրավաբանական ուժ ունեցող պաշտոնական փաստաթուղթ. որևէ փաստ հաստատող փաստաթուղթ, որով սահմանված է որոշակի իրավունք ու պարտականություն:

**აქტი (სამართლებრივი)** - უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) შესასრულებლად სავალდებულო აქტი. სამართლებრივი აქტი ორი სახისაა - ნორმატიული და ინდივიდუალური.

**ԱԿՏ (իրավական)** – իրավասու պետական կամ տեղական ինքնավարության մարմնի (պաշտոնյայի) կողմից Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված կարգով ընդունված (հրապարակված) պարտադրաբար իրագործելի ակտ: Կա երկու տեսակի իրավական ակտ՝ նորմատիվ և անհատական:

**აქტივი –** პირის ქონება, მოთხოვნები და უფლებები.

**ԱԿՏԻՎ** – անձի գույք, պահանջներ ու իրավունքներ:

**აქციზი** - საერთო-სახელმწიფოებრივი და არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც გადაიხდება აქციზური საქონლის წარმოებისას საქართველოში, იმპორტის, ექსპორტის და აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში და შესაბამისი წესით.

**ԱԿՑԻԶ** – համապետական և անուղղակի հարկ, որը վճարվում է Վրաստանում ակցիզային ապրանքի արտադրության, ներմուծման (իմպորտի), արտահանության (էքսպորտի) ժամանակ, ինչպես նաև օրենսդրությամբ սահմանված այլ դեպքերում և համապատասխան կարգով:

**აქცეპტი** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით , თანხმობის გამოცხადება ხელშეკრულების დადების შეთავაზებაზე (ოფერტზე). აქცეპტის შემდეგ ხელშეკრულება დადებულად ითვლება.

**ԱԿՑԵՊՏ (ստանձնում)** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրությամբ՝ պայմանագիր կնքելու առաջարկի (օֆերտի) վերաբերյալ

համաձայնություն հայտնելը: Ակցեպտից/ստանձնումից հետո պայմանագիրը կնքված է համարվում:

**აქცესორული უფლება** – უფლება რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს.

**ԱԿՑԵՍՈՐԱԿԱՆ (կցված) ԻՐԱՎՈՒՆՔ** – իրավունք, որն այնպես է կցված մեկ այլ իրավունքի, որ առանց դրա գոյություն ունենալ չի կարող:

**აღიარება** - ერთი მხარის მიერ ისეთი ფაქტობრივი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება, რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებს ან შესაგებელს. აღნიშნული, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

**ԽՈՍՏՈՎԱՆՈՒԹՅՈՒՆ** – կողմերից մեկի միջոցով այնպիսի փաստական պարագայի գոյության կամ բացակայության հաստատումը, որի վրա մյուս կողմը հիմնում է սեփական պահանջները կամ առարկությունը (պատասխանողի պարասխան): Դատարանը կարող է վերոնշյալը համարել բավարար փաստարկ և դնել դատավճռի հիմքում:

**აღიარებითი სარჩელი** - სარჩელის სახე, რომელიც შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი.

**ԽՈՍՏՈՎԱՆՔԱՅԻՆ ՀԱՅՑ** – հայցի տեսակ, որը կարող է հարուցվել ակտի չեղյալ հայտարարման, իրավունքի կամ իրավական հարաբերության գոյությունը կամ բացակայությունը սահմանելու վերաբերյալ, եթե հայցավորն ունի դրա օրինական շահը:

**აღკვეთის ღონისძიება** - იძულების ღონისძიება, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება.

**ԿԱՆԽԱՐԳԵԼԻՉ ՄԻՋՈՑԱՌՈՒՄ** – հարկադրման միջոցառում, որը, Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության հիման վրա, օգտագործվում է այն նպատակով, որպեսզի մեղադրյալը չխուսափի դատարան ներկայանալուց, որպեսզի կանխարգելվի նրա հետագա հանցավոր գործունեությունը, որպեսզի ապահովվի դատավճռի կատարումը:

**აღმასრულებელი** - პირი, რომელსაც ეკისრება სასამართლოს საბოლოო დადგენილების (გადაწყვეტილების) შესრულების უზრუნველყოფა.

**ԿԱՏԱՐԱԾՈՒ** – անձ, որը պարտավոր է ապահովել դատարանի վերջնական վճռի (որոշման) կատարումը:
**აღმასრულებელი პრივილეგია** – თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა ვინაობის დაცვა გამხელისაგან (გარდა სახელმწიფოპოლიტიკური თანამდებობის პირებისა).
**ԳՈՐԾԱԴԻՐ ԱՐՏՈՆՈՒԹՅՈՒՆ** – պաշտոնյայի կողմից որոշումներ պատրաստելու ընթացքին մասնակցող ուրիշ պաշտոնյաների պաշտպանումը ինքնության բացահայտումից (բացի պետական-քաղաքական պաշտոնյաներից):

**აღმჭურველი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი** – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს.
**ՕԺՏՈՂ ՎԱՐՉԱ-ԻՐԱՎԱԿԱՆ ԱԿՏ** - վարչա-իրավական ակտ, որը շահագրգիռ կողմին օժտում է որևէ իրավունքով կամ շահով:

**აღნაგობა** – საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სხვა პირისათვის ვადიან სარგებლობაში მიწის ნაკვეთის გადაცემა, ისე რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება (აღნაგობის უფლება).
**ԿԱՌՈՒՑՎԱԾՔ** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ տարածքի՝ ժամկետավոր օգտագործման հանձնումը մեկ ուրիշին՝ այնպես, որ նա այդ տարածքի վրա կամ տարածքի տակ որևէ շինություն կառուցելու իրավունք ունենա, նաև այդ իրավունքն օտարելու, ժառանգաբար փոխանցելու, ժամանակավոր օգտագործման տալու, վարձով տալու իրավունք (կառուցվածքի իրավունք):

**აღსრულება** – სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მოცემული ვალდებულებების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ԿԱՏԱՐՈՒՄ** – դատավճռի բանաձևային մասում տրված պարտավորությունների կատարումը՝ Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված կարգով:

**აცილება** - აცილების საფუძვლის (მაგ. ნათესაური კავშირი მხარესთან) არსებობისას მოსამართლის, ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის ან სხდომის მდივნის ჩამოშორება საქმის განხილვისაგან.

**ԲԱՑԱՐԿ** – բացարկի հիմքի (օր., ազգակցական կապ կողմի հետ) գոյություն ունենալու դեպքում դատավորին, փորձագետին, թարգմանչին, մասնագետին կամ նիստի քարտուղարին հեռացնելը գործի քննումից:

**ახლად აღმოჩენილი გარემოება** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოებები ( მაგ. ყალბი დასკვნა, ცრუ ჩვენება), რომელიც საფუძვლად ედება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებას და შესაბამისად საქმის წარმოების განახლებას.

ՆՈՐ Ի ՀԱՅՏ ԵԿԱԾ ՀԱՆԳԱՄԱՆՔ - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրությամբ նախատեսված հանգամանքներ (օր.՝ կեղծ եզրակացություն, կեղծ ցուցմունք), որոնք հանդիսանում են դատարանի կողմից կայացրած որոշումների բողոքարկման և, համապատասխանաբար, գործավարության վերսկսման հիմք:

**ახლად გამოვლენილი გარემოება** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოებები( მაგ. ყალბი მტკიცებულება), რომლებიც საფუძვლად ედება, სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილი განაჩენის გადასინჯვას.

ՆՈՐ ԲԱՑԱՀԱՅՏՎԱԾ ՀԱՆԳԱՄԱՆՔ - Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ նախատեսված հանգամանքներ (օր.՝ կեղծ հանցանշան), որոնք հանդիսանում են դատարանի կողմից արդեն կայացրած վճռի վերանայման հիմք:

**ახსნა – განმარტება** – საქმის ზეპირი მოსმენისას, მხარეთა მიერ საკუთარი პოზიციების ჩამოყალიბება დავის ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.

ՊԱՐԶԱԲԱՆՈՒԹՅՈՒՆ– գործի բանավոր լսման ժամանակ կողմերի՝ սեփական դիրքերի ձևակերպումը՝ վեճի փաստական հանգամանքների և իրավական հիմունքների վերաբերյալ:

ბ

**ბათილი ადმინისტრაციულ– სამართლებრივი აქტი** – საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, კანონსაწინააღმდეგო ან კანონის ნორმების არსებითი დარღვევით მომზადებული ან გამოცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი მიიჩნევა ბათილად.

ԱՆՎԱՎԵՐ ՎԱՐՉԱ-ԻՐԱՎԱԿԱՆ ԱԿՏ – Վրաստանի վարչական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ հակաօրինական կամ օրենքի նորմերի էական խախտմամբ պատրաստված կամ հրապարակված վարչա-իրավական ակտ, որն անվավեր է համարվում:

**ბანდა** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით მყარი შეიარაღებული ჯგუფი.

ՀՐՈՍԱԿԱԽՈՒՄԲ - Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ կայուն զինված խումբ:

**ბანდიტიზმი** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც გულისხმობს ბანდის შექმნას ან ხელმძღვანელობას, პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით.

ՀՐՈՍԱԿՈՒԹՅՈՒՆ - Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ նախատեսված հանցագործություն , որը ենթադրում է հրոսակախումբ կազմելը կամ ղեկավարելը՝ անձի կամ կազմակերպության վրա հարձակվելու նպատակով:

**ბაჟი (სახელმწიფო)** - სასამართლო მომსახურებისთვის გადახდილი თანხა, რომელიც კანონით არის დადგენილი, ან გამოითვლება დავის საგნის ღირებულებიდან.

**ՄԱՔՍ (պետական)** –դատական սպասարկման համար վճարված գումար, որը սահմանված է օրենքով կամ հաշվարկվում է վեճի առարկայի արժեքից:

**ბე** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი.

**ԿԱՆԽԱՎՃԱՐ** – Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ դրամական գումար, որը պայմանագրի մի կողմը տալիս է մյուս կողմին, և դրանով հաստատվում է պայմանագիրը կնքելու փաստը:

**ბენეფიციარი** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, პირი რომელიც დასახელებულია (მაგ, ხელშეკრულებით) სარგებლის მიმღებად.

**ԲԵՆԵՖԻՑԻԱՐ (օգտառու/շահառու)** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրությամբ՝ անձ, որն անվանված է (օր.՝ պայմանագրով) որպես օգուտ ստացող մարդ/ շահառու:

**ბიპატრიდი** – პირი, რომელსაც აქვს ორი ან მეტი სახელმწიფოს მოქალაქეობა.

**ԲԻՊԱՏՐԻԴ** – անձ, որն ունի երկու կամ ավելի պետությունների քաղաքացիություն:

**ბიუჯეტი** – ფინანსური სახსრების ერთობლიობა, რომლითაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ფუნქციონირება.

**ԲՅՈՒՋԵ** – ֆինանսական միջոցների ամբողջություն, որով ապահովվում է պետության գործունեությունը:

**ბრალდება** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით პირისთვის ბრალის წაყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი რომ მან დანაშაული ჩაიდინა. პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა.

**ՄԵՂԱԴՐԱՆՔ** - Վրաստանի քրեական օրենսդրության համաձայն՝ անձին մեղադրելը, եթե գոյություն ունի փաստարկված ենթադրություն, որ նա հանցանք է գործել: Անձին մեղադրելը միայն դատախազի իրավասությունն է:

**ბრალდების მხარე** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ბრალდების მხარეს წარმოადგენს გამომძიებელი და პროკურორი.

**ՄԵՂԱԴՐՈՂ ԿՈՂՄ** - Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ մեղադրող կողմ են հանդիսանում քննիչը և դատախազը:

**ბრალდებული** - პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

ՄԵՂԱԴՐՅԱԼ – անձ, որի վերաբերյալ գոյություն ունի փաստարկված ենթադրություն, որ նա գործել է Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ սահմանված հանցանք:

**ბრძანება** - სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური. მისი გამოცემის უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს პრეზიდენტს, მინისტრს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლით.

ՀՐԱՄԱՆ – իրավական ակտ, որը կարող է լինել ինչպես նորմատիվ, այնպես էլ անհատական: Դրա հրապարակման իրավասությունն ունեն Վրաստանի Նախագահը և նախարարը՝ Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված կարգով ու հիմունքով:

**ბრძანებულება** – საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტი, რომელიც გამოიცემა საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მის საფუძველზე.

ՀՐԱՄԱՆԱԳԻՐ – Վրաստանի Նախագահի նորմատիվ ակտ, որը հրապարակվում է Վրաստանի օրենսդրությամբ ընձեռված իրավասության սահմաններում և դրա հիման վրա:

## გ

**გადაადგილების თავისუფლება** - უფლება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით გულისხმობს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებას ყველასთვის ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში. ასევე, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან.

ՏԵՂԱՇԱՐԺՎԵԼՈՒ ԱԶԱՏՈՒԹՅՈՒՆ – իրավունք, որը Վրաստանի սահմանադրության համաձայն՝ ենթադրում է երկրի ամբողջ տարածքում ազատ տեղաշարժության և բնակավայրի ազատ ընտրության իրավունք բոլորի համար, ովքեր օրինաբար գտնվում են Վրաստանում: Նաև բոլորը, ովքեր օրինաբար գտնվում են Վրաստանում, կարող են ազատ մեկնել Վրաստանից:

**გადასახადი** - სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. გადასახადის სახეებია: საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

ՀԱՐԿ - պարտադիր, անպայման դրամական ներմուծում բյուջեում, որը կատարում է հարկատուն՝ մուծելու պարտադիր, ոչ համարժեքային և անվճար բնույթից ելնելով: Հարկի տեսակներ են՝ համապետական և տեղական հարկեր:
გადაცემა - სახელმწიფოს მიერ, მის ტერიტორიაზე მყოფი პირის გადაცემა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის, ამ პირის სისხლის–სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ან სასჯელის მოხდისათვის.

ՀԱՆՁՆՈՒՄ – պետության կողմից՝ իր տարածքում գտնվող անձի հանձնումը քրեական միջազգային դատարանին՝ քրեական պատասխանատվության ենթարկելու կամ պատիժ կրելու նպատակով:
გადაწყვეტილება (სასამართლო)- შესასრულებლად სავალდებულო სასამართლო დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად წყდება.

ՈՐՈՇՈՒՄ (դատարանի) –կատարելու համար պարտադիր դատավարական ակտ, որով գործն, ըստ էության, ընդհատվում է է:

გადახდისუუნარობა – მოვალის უუნარობა, დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა, შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში.

ԱՆՎՃԱՐՈՒՆԱԿՈՒԹՅՈՒՆ - պարտատերի անընդունակությունը՝ բավարարել վարկատուի պահանջները համաձայնությամբ նախատեսված ժամկետում:

გაკოტრება - საწარმოს გადახდისუუნარობა და შესაბამისად შეუძლებლობა დაკმაყოფილდეს კრედიტორების მოთხოვნები და სხვა ვალდებულებები. საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადება ხდება სასამართლოს მიერ.

ՍՆԱՆԿԱՑՈՒՄ – ձեռնարկության անվճարունակությունը և, հետևաբար, վարկատուների պահանջները և այլ պարտավորությունները բավարարելու անկարողությունը: Ձեռնարկությունը սնանկացած է հայտարարվում դատարանի կողմից:
გამართლებული - პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ԱՐԴԱՐԱՑՎԱԾ – անձ, որի հանդեպ դատարանն արդարացնող վճիռ է կայացրել՝ Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ սահմանված կարգի համաձայն:
გამარტივებული სამართალწარმოება – სასამართლოს უფლებამოსილება მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს ნაკლებ დროში და ნაკლები საპროცესო მოქმედებების განხორციელებით.
ՊԱՐԶԵՑՎԱԾ ԴԱՏԱՎԱՐՈՒԹՅՈՒՆ – դատարանի իրավասությունը՝ կողմերի գրավոր պահանջի հիման վրա քննել գործը և վճռել սեղմ ժամանակում և սեղմ դատավարական գործողությունների իրականացմամբ:
გამასწორებელი სამუშაო - 1. სასჯელის სახე, რომელიც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეეფარდება მსჯავრდებულს და აღნიშნულის

საფუძველზე, მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით. 2. ადმინისტრაციული სახდელი რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენმა უნდა მოიხადოს მუდმივ სამუშაო ადგილზე, ამასთან, სახელმწიფოს სასარგებლოდ ხელფასიდან დაექვითება თანხა ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ՈՒՂՂԻՉ ԱՇԽԱՏԱՆՔ** – 1. Պատժի տեսակ, որը կրում է դատապարտյալը՝ մեղադրական դատավճռի համաձայն, և նշված հիման վրա դատապարտյալի աշխատավարձից պետական եկամտի օգտին պահվում է դատավճռով սահմանված քանակի գումար: 2. Վարչական պատժամիջոց, որը վարչական իրավախախտում գործողը պետք է վճարի մշտական աշխատանքային վայրում, դրա հետ մեկտեղ՝ պետության օգտին նրա աշխատավարձից կպահվի գումար՝ վարչական օրենսդրությամբ սահմանված կարգով:
**გამომძიებელი** - სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. პროკურორი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს გამოძიებას, სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით.

**ՔՆՆԻՉ** – պետական պաշտոնյա, որն իրավասու է սեփական իր զեկուցյունների սահմաններում վարել քրեական գործի քննությունը: Դատախազը, որն անմիջականորեն վարում է քննությունը, օգտվում է քննիչի կարգավիճակով:

**გამოსაცდელი ვადა** - სასამართლოს მიერ დადგენილი ვადა რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს სასამართლოს მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობა.

**ՓՈՐՁԱՇՐՋԱՆ** – դատարանի կողմից սահմանված ժամկետ, որի ընթացքում դատապարտյալը նոր հանցանք չպետք է գործի և պետք է կատարի դատարանի կողմից իրեն հանձնարարված պարտականությունը:
**გამოცხადება** – საქმის ზეპირ მოსმენაზე მხარის დასწრება და განხილვაში მონაწილეობის მიღება.

**ՆԵՐԿԱՅԱՆԱԼ** - գործի բանավոր լսմանը կողմի ներկայությունը ու քննությանը մասնակցելը:
**გამოძალვა** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც გულისხმობს, სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემას ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნას, რასაც თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების, ან აცვლა სახის მუქარა, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები.

**ԿՈՐԶՈՒՄ** – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ նախատեսված հանցագործություն, որը ենթադրում է ուրիշի գույքի կամ գույքային իրավունքի

փոխանցում, կամ գույքից օգտվելու պահանջ, ինչին ուղեկցում է տուժածի կամ նրա ազգականի նկատմամբ բռնի ուժ գործադրելու կամ ուրիշ տեսակի սպառնալիք, ինչը կարող է էականորեն վնասել նրանց իրավուքները:

**გამოძიება** - უფლებამოსილი პირის მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.

ՀԵՏԱՔՆՆՈՒԹՅՈՒՆ –քրեական իրավունքի օրենսդրությամբ սահմանված կարգով իրավասու անձի կողմից կատարված գործողությունների ամբողջությունը, որի նպատակն է հանցագործության և այլ հակաիրավական գործողությունների հետ առնչվող հանցանշաններ հավաքելը :

**გამოძიების ორგანოები** - სახელმწიფო ორგანოები, რომელთა გამომძიებლები აწარმოებენ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას. საქართველოში ასეთი ორგანოებია: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფები.

ՀԵՏԱՔՆՆԻՉ ՄԱՐՄԻՆՆԵՐ – պետական մարմիններ, որոնց քննիչները կատարում են քրեական գործերի հետաքննություն: Վրաստանում նման մարմիններն են՝ Վրաստանի արդարադատության նախարարության, Վրաստանի ներքին գործերի նախարարության, Վրաստանի պաշտպանության նախարարության, Վրաստանի դատակատարողական, պրոբացիայի և իրավաբանական օգնության նախարարության և Վրաստանի ֆինանսների նախարարության հետաքննիչ բաժինները:

**განაჩენი** - სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას.

ԴԱՏԱՎՃԻՌ – քրեական գործը քննելիս դատարանի կողմից ընդունված որոշում, որն ամբաստանյալին մեղավոր է ճանաչում հանցագործություն կատարելու մեջ կամ արդարացնում է նրան:

**განახლება (წარმოების)** – კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებულ საქმეზე, საქმის წარმოების ხელახლა დაწყება.

**ՎԵՐՍԿՍՈՒՄ (ձեռնարկության)**- օրինական ուժի մեջ մտած որոշմամբ կամ դատավճռով ավարտված գործի կապակցությամբ գործավարության վերսկսում:

**განგრძობადი დანაშაული** – საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, განგრძობად დანაშაულად მიჩნეულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას.

ՇԱՐՈՒՆԱԿԵԼԻ ՀԱՆՑԱԳՈՐԾՈՒԹՅՈՒՆ – Վրաստաի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն, շարունակելի հանցագործություն համարվում է Վրաստանի քրեական օրենսգրքի մի հոդվածով կամ հոդվածի մասով նախատեսված հանցագործությունը, որն ընդգրկում է միասնական նպատակով և ընդհանուր մտադրությամբ կատարված երկու կամ ավելի գործողություններ:

**განზრახი დანაშაული** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით. 1. ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. 2. ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

ԿԱՆԽԱՄՏԱԾՎԱԾ ՀԱՆՑԱԳՈՐԾՈՒԹՅՈՒՆ – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ նախատեսված գործողություն, որը կատարված է ուղղակի կամ անուղղակի մտադրությամբ: 1.Գործողությունը կատարված է ուղղակի մտադրությամբ, եթե անձը գիտակցում էր իր գործողության անօրինությունը, նախատեսում էր անօրինական արդյունք ստանալու հնարավորությունը և ուզում էր այդ արդյունքը, կամ նախատեսում էր այդպիսի արդյունքի իրականացման անխուսափելիությունը: 2. Գործողություն կատարված է անուղղակի մտադրությամբ, եթե անձը գիտակցում էր իր գործողության անօրինությունը, նախատեսում էր անօրինական արդյունք ստանալու հնարավորությունը և չէր ուզում այդ արդյունքը, բայց ենթադրում էր կամ սառնասրտորեն էր վերաբերվում նրա ստանալուն:

**განმცხადებელი –** პირი, რომელიც მიმართავს სასამართლოს განცხადებით, თავისი კანონით გათვალისწინებული უფლების დასაცავად.

ԴԻՄՈՂ – անձ, որը դատարանին դիմում է տալիս իր՝ օրենքով նախատեսված, իրավունքը պաշտպանելու համար:

**განმწესრიგებელი სხდომა –** სხდომა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს ინიშნება სარჩელის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად.

ՆԱԽՆԱԿԱՆ ՆԻՍՏ – նիստ, որը նշանակվում է վարչական դատավարության ժամանակ հայցի թույլատրելիության հարցը լուծելու համար:

**განრიდება** - პროკურორის უფლებამოსილება, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი შეასრულებს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ განრიდებისათვის აუცილებელ პირობას ან პირობებს.

**ԲԱՑԱՐԿ** – դատախազի իրավասությունը՝ չսկսել կամ դադարեցնել քրեական հետապնդումն անձի (բացարկի սուբյեկտի) նկատմամբ՝ պակաս ծանր կամ ծանր հանցագործություն գործելու փաստի վերաբերյալ, եթե անձը կատարի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ նախատեսված՝ բացարկի համար անհրաժեշտ պայմանը կամ պայմանները:

**განსჯადობა** - სასამართლოს უფლებამოსილება განიხილოს საქმეები რომლებიც ექვემდებარება მის იურისდიქციას. განსჯადობა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში ზოგადად განისაზღვრება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სისხლის სამართალში - წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით.

**ԴԱՏԱՍԱՑՈՒԹՅՈՒՆ** – դատարանի իրավասությունը՝ քննել գործերը, որոնք ենթարկվում են նրա իրավազորությանը: Դատասացությունը քաղաքացիական և վարչական իրավունքի մեջ ընդհանրապես սահմանված է ըստ պատասխանողի բնակավայրի, իսկ քրեական իրավունքի մեջ՝ ըստ նախնական հետաքննության վայրի:

**განსაცდელში მიტოვება** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, დაუხმარებლად იმის მიტოვება, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება.

**ՎՏԱՆԳԻ ՄԵՋ ԹՈՂՆԵԼ** – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենդրության համաձայն՝ առանց օգնության թողնել անձին, ում կյանքին վտանգ է սպառնում, և ով զրկված է իրեն պաշտպանելու համար միջոցներ ձեռնարկելու հնարավորությունից, մինչդեռ լքողը պարտավոր էր նրան խնամել և կարող էր նրան օգնել:

**განუხილველად დატოვება** – სარჩელზე ( აგრეთვე, სააპელაციო ან საკასაციო საჩივარზე), წარმოების დასრულება მათი არსებითი განხილვის გარეშე, როდესაც სასამართლოსთვის ხელახლა მიმართვის უფლება შენარჩუნებულია იგივე სარჩელით ( აგრეთვე საჩივრით).

**ԹՈՂՆԵԼ ԱՌԱՆՑ ՔՆՆԱՐԿՄԱՆ**– հայցի (նաև բողոքարկման կամ վճռաբեկ բողոքի) վերաբերյալ գործավարության ավարտումն առանց դրանց էական քննարկման, երբ պահպանված է դատարանին նույն հայցով (նաև բողոքով) կրկին դիմելու իրավունքը:

განქორწინება – მეუღლეთა სიცოცხლეში, ქორწინების შეწყვეტა კანონით დადგენილი წესით, ორივე ან ერთ–ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე.

ԱՄՈՒՍՆԱԼՈՒԾՈՒԹՅՈՒՆ – ամուսինների կյանքում ամուսնության դադարեցումը օրենքով սահմանված կարգով, երկուսի կամ երկուսից մեկի հայտարարության հիման վրա:
განჩინება - 1. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (განაჩენის და განკარგულების გარდა) ნებისმიერ საკითხზე. 2. ადმინსიტრაციული და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, სასამართლოს დადგენილება რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება.

ԴԱՏԱԿԱՆ ՈՐՈՇՈՒՄ/ԴԱՏԱՎՃԻՌ– 1. Վրաստանի քրեական օրենդրության համաձայն՝ դատարանի կողմից ընդունված որոշումը (բացի դատավճռից կամ կարգադրությունից) ցանկացած հարցի վերաբերյալ 2. Վարչական և քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ դատարանի վճիռը, որով գործն ըստ էության չի դադարեցվում:
განცხადება – დაინტერესებული მხარის წერილობითი მოთხოვნა კონკრეტული უფლების შესაძენად.

ՀԱՅՏԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ –շահագրգիռ կողմի գրավոր պահանջը՝ կոնկրետ իրավունք ստանալու նպատակով:
განძი – აღმოჩენილი საგანი, რომელიც ისე დიდხანს იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მისი მესაკუთრის დადგენა.

ԳԱՆՁ – հայտնաբերված առարկա, որն այնքան երկար ժամանակ է թաղված եղել, որ հնարավոր չէ գտնել նրա սեփականատիրոջը:
გარიგება - სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ მიმართული ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა.

ԳՈՐԾԱՐՔ – իրավական հարաբերությունների ծագմանը, փոփոխմանը կամ դադարեցմանն ուղղված միակողմանի, երկկողմանի կամ բազմակողմանի կամքի դրսևորում:
გასამრჯე ლო - გაწეული შრომის საფასური, საზღაური.

ՎԱՐՁԱՏՐՈՒՄ – գործադրած ջանքի վարձ, հատուցում:
გასაჩივრება - პროცედურა, რომლის მიხედვითაც ზემდგომი სასამართლო განიხილავს დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარის საჩივარს ქვემდგომი სასამართლო ორგანოს გადაწყვეტილებასთან (ან განაჩენთან) დაკავშირებით.

ԲՈՂՈՔԱՐԿՈՒՄ – ընթացակարգ, ըստ որի՝ վերադաս դատարանը քննում է վեճին մասնակցող կողմերից մեկի բողոքը ստորադաս դատական մարմնի որոշման (կամ դատավճռի) կապակցությամբ:

**გასხვისება** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, მფლობელობის ან საკუთრების უფლების გადაცემა სხვა პირზე მუდმივად ან დროებით.

**ՕՏԱՐՈՒՄ** – Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ տիրության կամ սեփականության իրավունքի փոխանցումը ուրիշ անձի՝ մշտականապես կամ ժամանակավորապես:

**გაუპატიურება** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც გულისხმობს სექსუალური კავშირის დამყარებას ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

**ԲՌՆԱԲԱՐՈՒԹՅՈՒՆ** – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ նախատեսված հանցագործություն, որը ենթադրում է սեռական կապի հաստատում՝ բռնությամբ, բռնության ենթարկելու սպառնալիքով կամ տուժածի անօգնական վիճակից օգտվելով:

**გაუფრთხილებლობითი დანაშაული** - გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით. 1. ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა ამ შედეგის აცილებას. 2. ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

**ԱՆԶԳՈՒՇՈՒԹՅԱՄԲ ԳՈՐԾԱԾ ՀԱՆՑԱԳՈՐԾՈՒԹՅՈՒՆ** – անզգուշությամբ գործած հանցագործություն է համարվում գործողություն, որը կատարվել է ինքնապաստանությամբ կամ անփութությամբ 1. Գործողությունը համարվում է ինքնապաստանությամբ կատարված, եթե անձը գիտակցել է շրջահայեցության նորմայով արգելված գործողությունը, նախատեսել է անօրինական արդյունք ստանալու հնարավորությունը, բայց առանց հիմքի հույս է ունեցել խուսափելու այդ արդյունքից: 2. Գործողությունը համարվում է անփութությամբ կատարված, եթե անձը չի գիտակցել շրջահայեցության նորմայով արգելված գործողությունը, չի նախատեսել անօրինական արդյունք ստանալու հնարավորությունը, թեպետ պարտավոր էր և կարող էր նախատեսել:

**გაფიცვა** – დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი და ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

**ԳՈՐԾԱԴՈՒԼ** – վեճի առկայության պարագայում աշխատողի ժամանակավոր և կամավոր հրաժարումը՝ ամբողջովին կամ մասնակիորեն կատարելու աշխատանքային պայմանագրով նախատեսված պարտավորությունները:

**გაფრთხილება** – ადმინისტრაციული სახდელის ზომა, რომელიც გამოიცემა წერილობითი ფორმით, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**ԶԳՈՒՇԱՑՈՒՄ** – վարչական պատժամիջոցի չափ, որը հրապարակված է գրավոր ձևով, վարչական իրավունքի օրենսդրությամբ նախատեսված դեպքերում:

**გაცვლა** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით , გაცვლის ხელშეკრულებით მხარეებს ეკისრებათ ქონებაზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემის ვალდებულება, რომლის დროსაც ყოველი მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის, და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს.

**თვითნებობა**- ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულებული უფლებების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

**ԻՆՔՆԱԿԱՄՈՒԹՅՈՒՆ** - իրապես սեփական իրավունքների կամ սեփական համարած իրավունքների օգտագործումը՝ սահմանված օրենքին հակառակ, ինչը կարող է զգալի վնաս առաջացնել:
**თვითმკვლელობა (სუიციდი)** - საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა.

**ԻՆՔՆԱՍՊԱՆՈՒԹՅՈՒՆ (սուիցիդ)** - սեփական կյանքին վերջ տալը:
**თვითმკვლელობამდე მიყვანა** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც გულისხმობს მსხვერპლისადმი სასტიკ მოპყრობას, ანდა მისი პატივისა და ღირსების სისტემატიურ დამცირებას, რამაც იგი აიძულა ეცადა ან განეხორციელებინა თვითმკვლელობა.

**ԻՆՔՆԱՍՊԱՆՈՒԹՅԱՆ ՀԱՍՑՆԵԼ** - Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ նախատեսված հանցագործություն, որը ենթադրում է զոհի նկատմամբ խիստ վերաբերմունք կամ նրա պատվի ու արժանապատվության սիստեմատիկ ստորացում, ինչը նրան ստիպում է ինքնասպանության փորձ անել կամ ինքնասպանություն գործել:

**თვითმმართველი ერთეული** - დასახლება ან დასახლებათა ერთობლიობა, რომელსაც ჰყავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსულობები, ბიუჯეტი, ადმინისტრაციული ცენტრი და არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

**ԻՆՔՆԱՎԱՐ ՄԱՐՄԻՆ** - բնակավայր կամ բնակավայրերի միասնություն, որն ունի տեղական ինքնակառավարման ներկայացուցչական և գործադիր մարմիններ, ունի իր սեփական գույքը, եկամուտները, բյուջեն, վարչական կենտրոնը և հանդիսանում է անկախ հանրային իրավունքի իրավաբանական անձ:
**თხოვება** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, თხოვების ხელშეკრულებით გამნათხოვრებელი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მონათხოვრეს ქონება დროებით უსასყიდლო სარგებლობისათვის.

**ԺԱՄԱՆԱԿԱՎՈՐ ՕԳՏԱԳՈՐԾՄԱՆ ՀԱՆՁՆԵԼ** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրությամբ՝ ժամանակավոր օգտագործման հանձնելու պայմանագրով ժամանակավոր օգտագործման հանձնողն ստանձնում է պարտականություն՝ գույքը ժամանակավոր անվճար օգտագործման փոխանցելու մեկ այլ անձի:

ი

**იარაღი** - მოწყობილობა ან საგანი, რომელიც კონსტრუქციულად განკუთვნილია ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად, ან სიგნალის მისაწოდებლად. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, იარაღის სახეებს წარმოადგენს: 1) სამოქალაქო იარაღი. 2. სამსახურებრივ-საშტატო იარაღი. 3. სამხედრო-საბრძოლო იარაღი.
**ԶԵՆՔ** - սարքավորում կամ առարկա, որը կառուցողական առումով նախատեսված է մարդուն կամ այլ օբյեկտներ վնասելու կամ/և ոչնչացնելու, կամ ազդանշան փոխանցելու համար: Վրաստանի օրենսդրության համաձայն՝ զենքի տեսակներ են հանդիսանում. 1) քաղաքացիական զենքը, 2) պաշտոնեական-հաստիքային զենքը, 3) ռազմա-մարտական զենքը:

**იარაღის ბრუნვა** - იარაღით ვაჭრობა, იარაღის აღრიცხვა, რეგისტრაცია, დამზადება, წარმოება, შეკეთება, შეძენა, შენახვა, ტარება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმით გამოყენება.

**ԶԵՆՔԻ ՊՏՈՒՅՏ** - զենքի առևտուր, զենքի հաշվառում, գրանցում, պատրաստում, ձեռնարկում, նորոգում, ձեռքբերում, զենք պահելը, կրելը և Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված այլ ձևերով օգտագործելը:

**იდენტიფიკაცია** - გაიგივება, იგივეობის დადგენა.

**ՆՈՒՅՆԱԿԱՆԱՑՈՒՄ** - նույնացում, ինքնության որոշում:
**იდენტიფიკაცია პირის** - პირის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იძლევა პირის მოკვლევისა და მისი სხვა პირებისგან გამორჩევის საშუალებას.

**ԱՆՁԻ ՆՈՒՅՆԱԿԱՆԱՑՈՒՄ** - անձի մասին այնպիսի տեղեկության ձեռքբերում, որը, անհրաժեշտության դեպքում, անձին հետազոտելու և ուրիշներից տարբերակելու հնարավորություն է տալիս:

**იმპერატიული** - ბრძანებითი, შესასრულებლად სავალდებულო.

**ԻՄՊԵՐԱՏԻՎ** - հրամայական, կատարելու համար պարտադիր:

**იმპერატიული ნორმა** - ნორმა, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა ყოველგვარი დათქმისა და გამონაკლისების გარეშე. ურთიერთობის მონაწილეები არ არიან უფლებამოსილი მოიქცნენ საწინააღმდეგოდ.

**ԻՄՊԵՐԱՏԻՎ ՆՈՐՄ** - նորմ, որը պարտադիր է կատարել՝ առանց որևէ պայմանավորվածության և բացառության: Հարաբերության մասնակիցները հակառակ կերպով վարվելու լիազորություն չունեն:

**ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი** - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

**ԱՆՀԱՏԱԿԱՆ ՎԱՐՉԱ-ԻՐԱՎԱԿԱՆ ԱԿՏ** - վարչական մարմնի կողմից վարչական օրենսդրության հիման վրա տրված անհատական իրավական ակտ, որը սահմանում է, փոփոխում է, որոշում կամ հաստատում է անձի կամ անձանց սահմանափակ շրջանակի իրավունքներն ու պարտականությունները: Անհատական վարչա-իրավական ակտ է համարվում նաև վարչական մարմնի կողմից կայացված որոշումը՝ իր լիազորությանը վերաբերող հարցի բավարարման կապակցությամբ դիմողին մերժելու մասին, ինչպես նաև վարչական մարմնի կողմից տրված կամ հաստատված փաստաթուղթը, որը կարող է ունենալ իրավական հետևանքներ:

**ინდივიდუალური მეწარმე** - ფიზიკური პირი რომელიც საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებსა და მოვალეობებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალური მეწარმე არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

**ԱՆՀԱՏ ԳՈՐԾԱՐԱՐ** - ֆիզիկական անձ, որը գործարար հարաբերություններում կիրառում է սեփական իրավունքներն ու կատարում է

պարտականությունները՝ Վրաստանի օրենսդրության համապատասխան: Անհատ գործարարն իրավաբանական անձ չի հանդիսանում:
**ინდივიდუალური საკუთრება** - ბინის ან არასაცხოვრებელი ფართის საკუთრება, აგრეთვე ამ ფართის შემადგენელი ის ნაწილები, რომლებიც შეიძლება გადაკეთდეს, მოსცილდეს ანდა დაემატოს ისე, რომ ამით გაუმართლებლად არ შეილახოს საერთო საკუთრება ან ინდივიდუალურ საკუთრებაზე დაფუძნებული სხვა რომელიმე ბინის მესაკუთრის უფლება.

ԱՆՀԱՏԱԿԱՆ ՍԵՓԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ - բնակարանի կամ չբնակեցված տարածքի սեփականություն, ինչպես նաև այդ տարածքի այն բաղկացուցիչ մասերը, որոնք կարող են փոփոխվել, հեռացվել կամ ավելացվել այնպես, որ դրա հետևանքով անարդարանալի կերպով չխախտվի ընդհանուր սեփականությունը կամ անհատական սեփականության վրա հիմնված որևէ այլ բնակարանի սեփականատիրոջ իրավունքը:

**ინკასო** - უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა.

ԻՆԿԱՍՈ - անկանխիկ հաշվարկի ձևերից մեկը:
**ინსტანცია** - სასამართლოს იერარქიული დონე სასამართლოების ერთიან სისტემაში. საქართველოში მოქმედებს პირველი (რაიონული (საქალაქო)), მეორე (სააპელაციო) და მესამე ინსტანციის (საკასაციო) სასამართლოები.

ԱՏՅԱՆ - դատարանի հիերարխիական աստիճանը դատարանների միասնական համակարգում: Վրաստանում գործում են առաջին (շրջանային (քաղաքային)), երկրորդ (բողոքարկման) և երրորդ (վճռաբեկ) ատյանների դատարաններ:
**ინსტანციურობა** - ზემდგომი სასამართლოს უფლებამოსილება გასაჩივრების შემთხვევაში გადასინჯოს ქვემდგომი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ԻՆՍՏԱՆՑԻՈՆՈՒԹՅՈՒՆ - վերադաս դատարանի լիազորությունը՝ բողոքարկման դեպքում վերանայել ստորադաս դատարանի կողմից կայացված որոշումները:
**ინტერესთა კონფლიქტი** - რეალური ან შესაძლო წინააღმდეგობა პიროვნების კერძო ინტერესსა და მის საჯარო ან კორპორატიულ ვალდებულებას შორის.

ՇԱՀԵՐԻ ԲԱԽՈՒՄ - իրական կամ հնարավոր հակասություն անձի մասնավոր շահերի և նրա հանրային կամ կորպորատիվ պարտականությունների միջև:
**ინტელექტუალური საკუთრება** - ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების, აგრეთვე, შემოქმედებითი საქმიანობის

შედეგად შექმნილი ზოგიერთი სხვა ღირებულების (მაგალითად, ტელეგადაცემა, რადიოდადგმა, სასაქონლო ნიმუში, საწარმოო ნიმუში და ა.შ.) საფუძველზე.

**ՄՏԱՎՈՐ ՍԵՓԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ** - գույքային և անձնական ոչ գույքային իրավունքներ, որոնք առաջանում են գիտության, գրականության և արվեստի ստեղծագործությունների ստեղծման և օգտագործման, նաև ստեղծագործական գործունեության հետևանքով ձևավորված որոշ այլ արժեքների (օր.՝ հեռուստահաղորդում, ռադիոհաղորդում, ապրանքային նմուշ, արտադրական նմուշ և այլն) հիման վրա:

**ინტერესთა შეუთავსებლობა** - თანამდებობის პირის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება სახელმწიფო სამსახურის ინტერესებთან.

**ՇԱՀԵՐԻ ԱՆՀԱՄԱՏԵՂԵԼԻՈՒԹՅՈՒՆ**- պաշտոնյայի գույքային կամ այլ անձնական շահերի հակադրությունը պետական ծառայության շահերին:

**ინფორმაცია საჯარო** - ოფიციალური დოკუმენტი, ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

**ՀԱՆՐԱՅԻՆ ՏԵՂԵԿԱՏՎՈՒԹՅՈՒՆ** - պաշտոնական փաստաթուղթ, այսինքն՝ հանրային հաստատությունում պահպանված, ինչպես նաև հանրային հաստատության կամ հանրային աշխատողի կողմից աշխատանքային գործունեության վերաբերյալ ստացված, մշակված, ստեղծված կամ ուղարկված տեղեկատվություն:

**იპოთეკა** - უძრავი ნივთის გამოყენება (დატვირთვა), კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, უზრუნველყოფილ კრედიტორს, სხვა კრედიტორებთან შედარებით უფლება აქვს პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება აღნიშნული ნივთის რეალიზაციით ან მისი საკუთრებში გადაცემით.

**ՀԻՊՈԹԵԿ** - անշարժ գույքի օգտագործումը (զբաղեցումը)՝ վարկառուի պահանջը բավարարելու նպատակով: Համապատասխանաբար, ապահովված վարկառուն, ուրիշ վարկառուների համեմատությամբ, իրավունք ունի առաջին հերթին ստանալու սեփական պահանջի բավարարումը՝ նշյալ գույքի վաճառքի միջոցով կամ սեփականության իրավունքի փոխանցմամբ:

**ირიბი ჩვენება** – მოწმის მიერ მიცემული ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

**ԱՆՈՒՂՂԱԿԻ ՑՈՒՑՄՈՒՆՔ** – վկայի կողմից տրված ցուցմունք, որը հիմնված է այլ անձի կողմից տարածված տեղեկատվության վրա:

**იურიდიული კონსულტაცია** – სამართლებრივი რჩევა, სამართლებრივ საკითხზე.

**ԻՐԱՎԱԲԱՆԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՏՎՈՒԹՅՈՒՆ** – իրավաբանական խորհուրդ՝ իրավաբանական հարցով:

**იურიდიული მისამართი** – ფიზიკური ან იურიდიული პირის ადგილსამყოფელი.

**ԻՐԱՎԱԲԱՆԱԿԱՆ ՀԱՍՑԵ** – ֆիզիկական կամ իրավաբանական անձի գտնվելու վայրը:

**იურიდიული პირი** – განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

**ԻՐԱՎԱԲԱՆԱԿԱՆ ԱՆՁ** – որոշակի նպատակին հասնելու համար ստեղծված, սեփական գույքն ունեցող, կազմակերպված ձևավորում, որն իր գույքով ինքնուրույն է պատասխան տալիս և ինքն է ձեռք բերում իրավունք ու պարտականություններ, գործարքներ է կատարում և կարող է դատարանում ելույթ ունենալ, որպես հայցավոր և պատասխանող:

**იურიდიული ფაქტი** – სამართლებრივი გარემოება, რომლის არსებობასთან არის დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.

**ԻՐԱՎԱԲԱՆԱԿԱՆ ՓԱՍՏ** – իրավական հանգամանք, որի գոյության հետ է կապված իրավական հարաբերության առաջացումը, փոփոխումը կամ դադարեցումը:

**იურისდიქცია** – სამართლებრივი საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის უფლებამოსილება.

**ԻՐԱՎԱՍՈՒԹՅՈՒՆ** – իրավական հարցի քննարկման և որոշում կայացնելու լիազորություն:

**იურისპრუდენცია** – მეცნიერება სამართლის შესახებ.

**ԻՐԱՎԱԲԱՆՈՒԹՅՈՒՆ** – գիտություն իրավունքի մասին:

**იურისტი** – იურიდიული განათლების მქონე პირი.

**ԻՐԱՎԱԲԱՆ**– իրավաբանական կրթություն ունեցող անձ:

**იძულება** - ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

**ՀԱՐԿԱԴՐԱՆՔ** - մարդու գործողության ազատության ապօրինի սահմանափակումը, այսինքն՝ նրան ֆիզիկապես կամ հոգեբանորեն ստիպելը, որ կատարի կամ չկատարի այն գործողությունը, որը իրագործելը կամ որից ձեռնպահ մնալը տվյալ մարդու իրավունքն է, կամ սեփական անձի վրա իր կամքին ու ցանկությանը հակառակ ազդեցություն գործելը:

**იძულებითი შრომა** - ნებისმიერი სამუშაო ან მომსახურება, რომელიც მიიღება პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით, მის მიმართ მუქარის, შანტაჟის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

**ՀԱՐԿԱԴԻՐ ԱՇԽԱՏԱՆՔ** - ցանկացած աշխատանք կամ ծառայություն, որն իրացվում է՝ անձին ֆիզիկապես կամ հոգեբանորեն ստիպելով, սպառնալով, շանտաժով կամ նրա անօգնական վիճակն օգտագործելով:
**იჯარა**- მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის დროებით სარგებლობაში განსაზღვრული ქონების გადაცემა და საიჯარო დროის განმავლობაში ნაყოფის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. მოიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით.

**ՎԱՐՁԱԿԱԼՈՒԹՅՈՒՆ** - Վարձով հանձնողի կողմից վարձակալին որոշակի գույք փոխանցելը ժամանակավոր գործածության պայմանով և վարձակալական ժամանակի ընթացքում արդյունք ստանալու հնարավորության ապահովում: Վարձակալը պարտավոր է վարձով հանձնողին վճարել պայմանավորված վարձը: Վարձը կարող է սահմանված լինել ինչպես գումարով, այնպես էլ բնօրինակով:

კ

**კალენდარული წელი** – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, განსაზღვრულია როგორც დროის მონაკვეთი ერთი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ხოლო ახლად რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელისათვის – პირველ წელს რეგისტრაციის თარიღიდან იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**ՕՐԱՑՈՒՑԱՅԻՆ ՏԱՐԻ** – ըստ Վրաստանի հարկային օրենսդրության՝ սահմանված է որպես ժամանակահատված մեկ տարվա հունվարի 1-ից մինչև դեկտեմբերի 31-ը: Իսկ նոր գրանցված հարկատուի համար՝ առաջին տարում գրանցման ամսաթվից մինչև նույն տարվա դեկտեմբերի 31-ը ներառյալ:
**კანონთა კოლიზია** - ერთსა და იმავე საკითხზე მოქმედ კანონთა შორის არსებული წინააღმდეგობა. კანონთა კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ კანონს. თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მოქმედებს უფრო გვიან მიღებული (გამოცემულ) კანონი.

**ՕՐԵՆՔՆԵՐԻ ԿՈԼԻԶԻԱ (հակասություն)** - միևնույն հարցի վերաբերյալ գործող օրենքների միջև առկա հակասությունը: Օրենքների կոլիզիայի դեպքում առավելությունը տրվում է հիերարխիայի ավելի բարձր աստիճանում գտնվող օրենքին: Հավասար իրավաբանական ուժ ունեցող նորմատիվ ակտերի միջև հակասություն լինելու դեպքում, գործում է ավելի ուշ ընդունված (հրապարակված) օրենքը:

**კანონი** - საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული წესით მიღებული ნორმატიული აქტი, რომელსაც გააჩნია შესასრულებლად სავალდებულო ძალა. კანონის მიღება შეიძლება საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე, თუ საქართველოს კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი.

**ՕՐԵՆՔ** - Վրաստանի խորհրդարանի կողմից սահմանված օրենքով ստացված նորմատիվ ակտ, որն ունի պարտադրաբար կատարվելու ուժ։ Օրենքը կարելի է ընդունել Վրաստանի տնօրինության տակ առկա ցանկացած հարցի շուրջ, եթե Վրաստանի սահմանադրությամբ ուրիշ ոչինչ որոշված չէ։
**კანონიერი ინტერესი** - ინტერესი იმ სამართლებრივი ურთიერთობისადმი (ხელშეკრულების შესრულება, ადმინისტრაციული აქტის გამოცემა), რომლისგან გამომდინარე შედეგები შესაძლოა პოზიტიურად ან ნეგატიურად აისახოს პირის უფლებრივ მდგომარეობაზე.

**ՕՐԻՆԱԿԱՆ ՇԱՀ** - իրավական հարաբերության (պայմանագրի կատարում, վարչական ակտի հրատարակում) մեջ առկա շահը, որին հետևող արդյունքները, հնարավոր է, դրականորեն կամ բացասաբար ազդեն անձի իրավական դրության վրա։
**კანონიერი ნდობა** – წარმოიშობა ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების საფუძველზე, რომელიც გამოხატულია წერილობით დოკუმენტში და ადასტურებს რომ მოცემული ქმედება განხორციელდება.

**ՕՐԻՆԱԿԱՆ ՎՍՏԱՀՈՒԹՅՈՒՆ** – ծագում է վարչական մարմնի խոստման հիման վրա, ինչն արտացոլված է գրավոր փաստաթղթում և հաստատում է, որ տվյալ գործողությունն իրականացվելու է։
**კანონიერი წარმომადგენელი** - ფიზიკური პირი, რომელიც წარმოსადგენი პირის (ან პირთა) სახელით ასრულებს საპროცესო მოქმედებებს. 1. სისხლის სამართლის კანონმდებლობით - ახლო ნათესავი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართლის პროცესში ისეთ შემთხვევაში, როდესაც პროცესის მონაწილე არის არასრულწლოვანი, ქმედუუნარო, შეზღუდულქმედუნარიანი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავი. 2. სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით – მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები, რომლებიც ქმედუუნარო მოქალაქის, აგრეთვე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს იცავენ სასამართლოში.

**ՕՐԻՆԱԿԱՆ ՆԵՐԿԱՅԱՑՈՒՑԻՉ** - ֆիզիկական անձ, որը, ներկայացնող անձի (կամ անձանց) անունից, կատարում է դատավարական գործողությունները։ 1. Քրեական իրավունքի օրենսդրությամբ՝ մերձավոր բարեկամ, խնամակալ, հոգաբարձու, որը մասնակցում է քրեական գործընթացին այն դեպքերում, երբ վարույթի մասնակիցն անչափահաս է, անգործունակ է, ունի սահմանափակ կարողություններ կամ առողջական խնդիրների պատճառով չի կարող պաշտպանել ինքն իրեն։ 2. Քաղաքացիական օրենսդրությամբ՝ ծնողներ, որդեգրողներ, խնամակալներ և հոգաբարձուներ, որոնք դատարանում պաշտպանում են անգործունակ քաղաքացու, ինչպես նաև սահմանափակ կարողություն ունեցող քաղաքացու իրավունքներն ու օրենքով նախատեսված շահերը։
**კანონით მემკვიდრეობა** – გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე, რომელიც მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს. აგრეთვე, სხვა შემთხვევებში, რომელიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით.

**ՕՐԵՆՔՈՎ ԺԱՌԱՆԳՈՒԹՅՈՒՆ** – հանգուցյալի գույքի փոխանցումը օրենքում մատնանշված անձանց, որը գործում է, եթե չկա կտակ, կամ եթե կտակը ներառում է ժառանգության մի մասը: Նաև այլ դեպքերում, որոնք սահմանված են Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրությամբ:

**კანონის მოქმედება-** კანონის დაცვისა და შესრულების სავალდებულობა განსაზღვრულ დროში, განსაზღვრულ ტერიტორიაზე (სივრცეში) და განსაზღვრულ პირთა წრის მიმართ. 1. კანონის მოქმედება დროში – იწყება მისი კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან და წყდება მისი ოფიციალური გაუქმების დროიდან ან იმ ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადითაც იგი იყო მიღებული; 2. კანონის მოქმედება სივრცეში – ვრცელდება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი; 3. კანონის მოქმედება პირთა წრის მიმართ – ვრცელდება ყველას მიმართ, თუ იგი სამართლის კონკრეტული სუბიექტებისათვის არაა განკუთვნილი.

**ՕՐԵՆՔԻ ԳՈՐԾՈՂՈՒԹՅՈՒՆ** - օրենքի պահպանման և կատարման պարտավորությունը սահմանված ժամանակում, սահմանված տարածքում (տարածության մեջ) և սահմանված անձանց շրջանակի նկատմամբ: 1. Օրենքի գործելը ժամանակում՝ սկսվում է այն պահից, երբ այն օրենքով ուժի մեջ է մտնում և դադարեցվում է, երբ այն պաշտոնապես չեղյալ է հայտարարվում, կամ երբ լրանում է ժամկետը, որով այն ընդունված էր: 2. Օրենքի գործելը տարածության մեջ՝ տարածվում է պետության ամբողջ տարածքում, եթե օրենքով ուրիշ ոչինչ որոշված չէ: 3. Օրենքի գործելը անձանց շրջանակի նկատմամբ՝ տարածվում է բոլորի նկատմամբ, եթե այն հատկացված չէ իրավունքի կոնկրետ սուբյեկտի համար:

**კანონის უკუძალა** - კანონის მოქმედების გავრცელება მის კანონიერ ძალაში შესვლამდე არსებულ შემთხვევებზე. საერთო წესის თანახმად, კანონს არა აქვს უკუძალა. 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას. 2. საქართველოს სისხლის კოდექსის მიხედვით – სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა. ხოლო, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არა აქვს.

**ՕՐԵՆՔԻ ՀԵՏԱԴԱՐՁ ՈՒԺ** - օրենքի ազդեցության տարածումը դրա՝ օրինականորեն ուժի մեջ մտնելուն նախորդած դեպքերի վրա: Ընդհանուր կարգի համաձայն՝ օրենքը չունի հետադարձ ուժ: 1. Ըստ Վրաստանի քաղաքացիական սահմանադրության՝ օրենքներն ու օրենքներին ենթակա նորմատիվ ակտերը չունեն հետադարձ ուժ, եթե դա վնաս է հասցնում կամ բարդացնում է անձի վիճակը: 2. Ըստ Վրաստանի քրեական սահմանադրության՝ քրեական իրավունքի օրենքը, որը լուծարում է գործողության հանցավորությունը կամ մեղմացնում է պատիժը, ունի հետադարձ ուժ: Իսկ քրեական իրավունքի այն օրենքը, որը սահմանում է

գործողության հանցավորությունը կամ խստացնում է պատիժը, չունի հետադարձ ուժ:
**კანონმდებლობა** – ნორმატიული აქტების ერთობლიობა, რომელიც შედგება საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

ՕՐԵՆՍԴՐՈՒԹՅՈՒՆ –նորմատիվ ակտերի ամբողջություն, որը կազմված է օրենսդրական և օրենքին ենթակա նորմատիվ ակտերից:

**კანონპროექტი** – კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის პროექტი, რომელსაც ამზადებს შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივის ან ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენაზე უფლებამოსილი პირი.

ՕՐԻՆԱԳԻԾ – օրենքի կամ այլ նորմատիվ ակտի նախագիծ, որը պատրաստում է, համապատասխանաբար, օրենսդրական նախաձեռնության կամ նորմատիվ ակտի նախագիծ ներկայացնելու լիազորություն ունեցող անձը:

**კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი** – აქტი, რომლის მიღება (გამოცემა) შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით და შედის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) კომპეტენციის ფარგლებში. საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში.

ՕՐԵՆՔԻՆ ԵՆԹԱԿԱ ՆՈՐՄԱՏԻՎ ԱԿՏ – ակտ, որը կարելի է ընդունել (հրապարակել) միայն օրենսդրական ակտը կատարելու համար և այն դեպքում, եթե դա անուղղակիորեն նախատեսված է օրենսդրական ակտով և ներառվում է ընդունող (հրապարակող) մարմնի (պաշտոնյայի) իրավասության սահմաններում: Վրաստանի օրենսդրական ակտերը գերակա իրավաբանական ուժ ունեն Վրաստանի օրենքին ենթակա ակտերի նկատմամբ:
**კასატორი** – პირი რომელიც საკასაციო საჩივრით მიმართავს საკასაციო სასამართლოს (უზენაეს სასამართლოს).

ՎՃՌԱԲԵԿ ԲՈՂՈՔ ՆԵՐԿԱՅԱՑՐԱԾ ԱՆՁ **(կասատոր)**– անձ, որը վճռաբեկ բողոքով դիմում է վճռաբեկ դատարանին (գերագույն դատարանին):
**კასაცია** - სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის და სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება საკასაციო სასამართლოში (უზენაეს სასამართლოში). ასევე, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება საკასაციო სასამართლოში. კასაცია დასაშვებია კანონით დადგენილი საფუძვლებისა და ვადების დაცვით.

ՎՃՌԱԲԵԿՈՒԹՅՈՒՆ **(կասացիա)** - բողոքարկման դատարանի քաղաքացիական գործերի պալատի և բողոքարկման դատարանի վարչական գործերի պալատի կողմից կայացված որոշումների բողոքարկումը վճռաբեկ դատարանում (գերագույն դատարանում): Ինչպես նաև՝ բողոքարկման դատարանի քրեական իրավունքի գործերի պալատի կողմից ընդունված դատավճռի

բողոքարկումը վճռաբեկ դատարանում: Վճռաբեկությունը թույլատրելի է օրենքով սահմանված հիմունքների և ժամկետների պահպանմամբ:
**კეთილსინდისიერი მფლობელი** – მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს, ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე.

**ՊԱՐՏԱՃԱՆԱՉ ՍԵՓԱԿԱՆԱՏԵՐ** – սեփականատեր, որն իրավաչափորեն տիրապետում է գույքին, կամ գործնական հարաբերություններում կարող է լիազորված անձ համարվել՝ անհրաժեշտ մանրակրկիտ ստուգման հիման վրա:
**კეთილსინდისიერი შემძენი** – შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

**ՊԱՐՏԱՃԱՆԱՉ ԳՆՈՐԴ** – գնորդը գույքի սեփականատերն է դառնում նաև այն դեպքում, երբ վաճառողը գույքի սեփականատերը չէ, բայց գնորդն այդ փաստի նկատմամբ բարեխիղճ վերաբերմունք է դրսևորում: Գնորդը չի համարվում պարտաճանաչ, եթե նա գիտեր կամ պետք է իմանար, որ վաճառողը սեփականատեր չէ:
**კერძო საჩივარი** - სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების გასაჩივრება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. კერძო საჩივარი უნდა პასუხობდეს სარჩელისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

**ՄԱՍՆԱՎՈՐ ԲՈՂՈՔ** - դատարանի կայացրած դատավճռի բողոքարկումը վերադաս ատյանի դատարանում: Մասնավոր բողոքը պետք է բավարարի հայցի համար օրենքով սահմանված պահանջները:
**კვორუმი** - დამსწრეთა მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია, ამა თუ იმ ორგანოს (პარლამენტის, მთავრობის, კომიტეტის, საბჭოს სხდომა და ა.შ.) მიერ გადაწყვეტილების მისაღებად.

**ՔՎՈՐՈՒՄ (իրավազոր կազմ)** - ներկաների այն նվազագույն քանակը, որն անհրաժեշտ է այս կամ այն մարմնի (խորհրդարանի, կառավարության, կոմիտեի, խորհրդի նիստի և այլն) կողմից որոշում կայացնելու համար:
**კვოტა** - დადგენილი წილი, მიღებული ნორმა, დასაშვები რაოდენობა.

**ՔՎՈՏԱ** - սահմանված չափ, ընդունված նորմա, թույլատրելի քանակ:
**კიბერდანაშაული** – კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა.

**ԿԻԲԵՌՀԱՆՑԱԳՈՐԾՈՒԹՅՈՒՆ** – չարտոնված մուտք համակարգչային ցանց:
**კიბერტერორიზმი** - კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მისი გამოყენება ან გამოყენების მუქარა, რაც ქმნის მძიმე შედეგის საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სახელმწიფოს ინტერესს.

**ԿԻԲԵՌԱՀԱԲԵԿՉՈՒԹՅՈՒՆ** - օրենքով պահպանված համակարգչային տեղեկատվության ապօրինի տիրապետումը, դրա գործածումը կամ գործածմամբ

սպառնալը, ինչն առաջացնում է ծանր հետևանքների վտանգ և խաթարում է հասարակական անվտանգությունը կամ պետության շահերը:

**კოდექსი** - განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული ნორმატიული აქტი (მაგ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი).

ՕՐԵՆՍԳԻՐՔ – սահմանված (միատեսակ) հասարակական հարաբերությունները կարգավորող իրավական նորմերի համակարգված նորմատիվ ակտ (օր.՝ Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսգիրքը):

**კოლეგიური სასამართლო** – სასამართლოს შემადგენლობა რომელიც წარმოდგენილია ერთზე მეტი მოსამართლისაგან

ԿՈԼԵԳԻԱԼ ԴԱՏԱՐԱՆ – դատարանի կազմը, որը ներկայացված է մեկից ավելի դատավորներով:

**კოლეგიური საჯარო დაწესებულება** – საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს.

ԿՈԼԵԳԻԱԼ ՀԱՆՐԱՅԻՆ ՀԱՍՏԱՏՈՒԹՅՈՒՆ – հանրային հաստատություն, որի ղեկավարը կամ խորհրդատվական մարմինը կազմված է մեկից ավելի անձանցից, և որտեղ որոշումները համատեղ կայացնում կամ պատրաստում են մեկից ավելի անձինք:

**კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრი** – საჯარო მოსამსახურე, რომელიც ხმის უფლებით მონაწილეობს კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში ან მომზადებაში.

ԿՈԼԵԳԻԱԼ ՀԱՆՐԱՅԻՆ ՀԱՍՏԱՏՈՒԹՅԱՆ ԱՆԴԱՄ– հանրային աշխատող, որը ձայնի իրավունքով մասնակցում է կոլեգիալ հանրային հաստատության կողմից որոշում կայացնելու կամ պատրաստելու գործին:

**კოლექტიური ხელშეკრულება** - წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება, რომლიც ფორმდება დამსაქმებელსა და ორ ან მეტ დასაქმებულს – დასაქმებულთა გაერთიანებას შორის.

ՀԱՎԱՔԱԿԱՆ ՊԱՅՄԱՆԱԳԻՐ – գրավոր տեսքով ձևակերպված պայմանագիր, որը կնքվում է գործատուի և երկու կամ ավելի աշխատողի – աշխատողների միության միջև:

**კომანდიტური საზოგადოება** – იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმო (კომპანია), რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება, საზოგადოების ასეთ პარტნიორებს წარმოადგენენ შეზღუდული პარტნიორები **(კომანდიტები)**, ხოლო თუ სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის ასეთ შემთხვევაში სრული პარტნიორები **(კომპლემენტარები)**.

**ԿՈՄԱՆԴԻՏԱՅԻՆ ԸՆԿԵՐՈՒԹՅՈՒՆ** – իրավաբանական անձի կարգավիճակ ունեցող ձեռնարկություն (ընկերություն), որտեղ մի քանի անձ, միասնական ֆիրմային անվանմամբ, զբաղվում են ձեռնարկատիրական գործունեությամբ: Եթե ընկերության վարկատուների առջև մեկ կամ մի քանի գործընկերների պատասխանատվությունը սահմանափակվում է որոշակի երաշխիքային գումարի վճարմամբ, ընկերության այսպիսի գործընկերներին ներկայացնում են սահմանափակ գործընկերները (կոմանդիտիստները), իսկ եթե մյուս գործընկերների պատասխանատվությունը սահմանափակ չէ՝ լիիրավ գործընկերները (կոմպլեմենտարները):
**კომერციული საიდუმლოება** – ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

**ԿՈՄԵՐՑԻՈՆ (առևտրային) ԳԱՂՏՆԻՔ** – կոմերցիոն արժեք ունեցող պլանին, բանաձևին, գործընթացին, միջոցին վերաբերող տեղեկատվություն կամ ցանկացած այլ տեղեկատվություն, որը գործածվում է ապրանք ձեռնարկելու, պատրաստելու, մշակելու կամ ծառայություն մատուցելու համար, կամ/և որը հանդիսանում է նորույթ կամ տեխնիկական գործունեության կարևոր արդյունք, ինչպես նաև այն տեղեկատվությունը, որի բացահայտումը կարող է վնաս հասցնել անձի մրցունակությանը: Վարչական մարմնին վերաբերող տեղեկատվությունը կոմերցիոն գաղտնիք չի հանդիսանում:
**კომპენსაცია** - ზარალის მატერიალური ანაზღაურება.

**ՓՈԽՀԱՏՈՒՑՈՒՄ** - վնասի նյութական հատուցում:
**კონტოკორენტი** – შეთანხმება, რომლითაც მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას, საქმიანი კავშირებიდან წარმოშობილი მოთხოვნები და გადახდები შეიტანონ ანგარიშზე და ანგარიშის დახურვამდე მიიჩნიონ ხელშეუხებლად.

**ԿՈՆՏՈԿՈՌԵՆՏ (ընթացիկ հաշիվ)** – համաձայնություն, որով կողմերն ստանձնում են պատասխանատվություն, որպեսզի գործարար կապերից առաջացած պահանջները և վճարումները փոխանցեն հաշվի վրա և, մինչև հաշվի փակելը՝ անձեռնմխելի համարեն:
**კონტროლის პალატა** – კონტროლის პალატა არის სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო. კონტროლის პალატა დამოუკიდებელია და ზედამხედველობს სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას.

**ՎԵՐԱՀՍԿՈՂՈՒԹՅԱՆ ՊԱԼԱՏ** – վերահսկողության պալատը պետական ֆինանսատնտեսական վերահսկողության գերագույն մարմինն է:

Վերահսկողության պալատն անկախ է և վերահսկում է պետական ֆինանսները և պետության այլ նյութական արժեքների գործածումն ու ծախսումը:

**კონსტიტუცია** - ქვეყნის უზენაესი (ძირითადი) კანონი, რომლსაც უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს ყველა სხვა სამართლებრივი აქტი. საქართველოს კონსტიტუცია მოიცავს ზოგად დებულებებს, საქართველოს მოქალაქეობის საკითხის მომწესრიგებელ ძირითად ნორმებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საქმიანობის მომწესრიგებელ ნორმებს (საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა, სასამართლო ხელისუფლება). აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი, სახელმწიფოს თავდაცვა, ადგილობრივი თვითმმართველობა, კონსტიტუციის გადასინჯვის წესი და გარდამავალი დებულებები .

ՍԱՀՄԱՆԱԴՐՈՒԹՅՈՒՆ - երկրի գերագույն (հիմնական) օրենքը, որին պետք է համապատասխանեն պետության բոլոր մյուս իրավական ակտերը: Վրաստանի սահմանադրությունը ներառում է ընդհանուր դրույթներ, Վրաստանի քաղաքացիության հարցի կարգավորման հիմնական նորմերը, մարդու հիմնական իրավունքներն ու ազատությունները, պետական իշխանության գերագույն մարմինների (Վրաստանի խորհրդարան, Վրաստանի Նախագահ, Վրաստանի կառավարություն, դատական իշխանություն) գործունեությունը կարգավորող նորմերը: Ներառվում են նաև այլ կարևոր հարցեր, ինչպիսիք են պետական ֆինանսները և վերահսկումը, պետության պաշտպանությունը, տեղական ինքնավարությունը, սահմանադրության վերստուգման կարգն ու անցումային դրույթները:

**კონსტიტუციური კანონი** – საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. საქართველოს კონსტიტუციური კანონი მიიღება საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში (მაგ. ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრისას).

ՍԱՀՄԱՆԱԴՐԱԿԱՆ ՕՐԵՆՔ – Վրաստանի օրենսդրության անբաժան մասն է: Վրաստանի սահմանադրական օրենքն ընդունվում է Վրաստանի սահմանադրությամբ որոշված դեպքերում (օր.՝ տարածքային պետական կառույցը սահմանելիս):

**კონსტიტუციური შეთანხმება** – შეთანხმება, საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. კონსტიტუციურ შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა სხვა ნორმატიული აქტის მიმართ.

ՍԱՀՄԱՆԱԴՐԱԿԱՆ ՀԱՄԱՁԱՅՆԱԳԻՐ – համաձայնագիր՝ Վրաստանի կառավարության և առաքելական անկախ ուղղափառ եկեղեցու միջև: Սահմանադրական համաձայնագիրը, եթե այն չի հակասում Վրաստանի սահմանադրությանն ու սահմանադրական օրենքին, ունի գերակա իրավաբանական ուժ՝ բոլոր մյուս նորմատիվ ակտերի նկատմամբ:

**კონტრაბანდა** - საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი სახელმწიფო

კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, სასაქონლო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით.

**ՄԱՔՍԱՆԵՆԳՈՒԹՅՈՒՆ -** Վրաստանի տնտեսական սահմանից մեծ քանակով շարժական գույքի արտահանումը կամ ներմուծումը, Վրաստանի վերահսկողության անտեսմամբ կամ գաղտնի, փաստաթղթի կամ նույնականացման միջոցի խաբեբայությամբ կիրառմամբ, ապրանքային հայտարարագրում կեղծ տվյալների գրանցմամբ:

**კონტრაჰენტი** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად ხელშეკრულების მონაწილე ფიზიკური ან იურიდიული პირი, ხელშეკრულების მხარე.

**ԿՈՆՏՐԱՀԵՆՏ** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համապատասխան՝ համաձայնագրին մասնակցող ֆիզիկական անձ կամ իրավաբանական անձ, համաձայնագրի կողմը:

**კონტრაქტი -** ხელშეკრულება, შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს.

**ՊԱՅՄԱՆԱԳԻՐ** - համաձայնագիր, որը սահմանում է դրան մասնակցող կողմերի իրավունքներն ու պարտականությունները:
**კონტრაფაქციული საქონელი** - ნებისმიერი საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან, და, აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს.

**ԿՈՆՏՐԱՖԱԿՏԱՅԻՆ (նմանակված) ԱՊՐԱՆՔ** - ցանկացած ապրանք, այդ թվում՝ փաթեթավորվող ապրանք, որի վրա առանց թույլտվության է փակցված այն ապրանքային նշանը, որն օրինական կերպով գրանցված է տվյալ ապրանքի վերաբերյալ, կամ էականորեն չի տարբերվում տվյալ ապրանքային նշանից և, հետևաբար, խախտում է Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված ապրանքային նշանի սեփականատիրոջ իրավունքները:
**კონტროლირებადი მიწოდება** – დანაშაულის გასახსნელად, დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად საქართველოს ფარგლებში (ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს ფარგლებს გარეთაც), საქართველოს ფარგლებს გარედან საქართველოში ან საქართველოს გავლით ნივთიერი მტკიცებულების ან ისეთი საგნის კონტროლირებადი გადაადგილება, რომლის თავისუფალი რეალიზება კანონით აკრძალული ან შეზღუდულია.

**ՎԵՐԱՀՍԿՎՈՂ ԱՌԱՔՈՒՄ** – հանցագործությունը բացելու, հանցագործին բացահայտելու նպատակով Վրաստանի սահմաններում (իսկ միջազգային պայմանագրով նախատեսված դեպքերում՝ նաև Վրաստանի սահմաններից դուրս),

Վրաստանի սահմաններից դեպի Վրաստան կամ Վրաստանի միջով իրեղեն ապացույցների կամ այնպիսի առարկայի վերահսկվող տեղափոխումը, որի ազատ վաճառքը օրենքով արգելված է կամ սահմանափակված:

**კონფისკაცია**(ქონების ჩამორთმევა) – დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევა

ԲՌՆԱԳՐԱՎՈՒՄ (**ունեցվածքի առգրավում**) – հանցագործության առարկայի կամ/և զենքի, հանցագործության համար կանխատեսված իրի կամ/և հանցագործության միջոցով ձեռք բերված գույքի անվճար առգրավումը հօգուտ պետության:

**კოოპერატივი** - იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმო (კომპანია), რომელიც დაფუძნებულია წევრთა შრომით საქმიანობაზე; ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა მის წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

ԿՈՈՊԵՐԱՏԻՎ - իրավաբանական անձի կարգավիճակ ունեցող ձեռնարկություն (ընկերություն), որը հիմնված է անդամների աշխատանքային գործունեության վրա, կամ անդամների տնտեսության զարգացման և եկամուտների ավելացման նպատակով ստեղծված ընկերություն, որի խնդիրն է՝ բավարարել իր անդամների շահերը, և այն, առաջին հերթին, շահույթ ստանալու նպատակ չի հետապնդում:

**კორუფცია (საჯარო სამსახურში)** – საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა.

**ԿՈՌՈՒՊՑԻԱ (հանրային ծառայությունում)** – հանրային աշխատողի կողմից պաշտոնի կամ դրա հետ կապված հնարավորության օգտագործումը՝ օրենքով արգելված գույքային կամ այլ բարիք ստանալու նպատակով, ինչպես նաև այդ բարիքը նրան փոխանցելը կամ դրա ստանալուն և օրինականացնելուն նպաստելը:

**კორუფციული სამართალდარღვევა** - ქმედება, რომელიც შეიცავს კორუფციის ნიშნებს და რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ԿՈՌՈՒՊՑԻՈՆ ԻՐԱՎԱԽԱԽՏՈՒՄ- գործողություն, որը ներառում է կոռուպցիայի նշաններ, և որի համար օրենքով նախատեսված է կարգապահական, վարչական կամ քրեական պատասխանատվություն:

**კრედიტი (საბანკო)** – ხელშეკრულების საფუძველზე სესხის სახით გაცემული სასყიდლიანი კრედიტი.

**ՎԱՐԿ (բանկային)** – պայմանագրի հիման վրա փոխառության տեսքով տրված վճարովի վարկ:

**კრედიტი (იპოთეკური)** - კრედიტი, რომელიც უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის საფუძველზე გაიცემა.

**ՎԱՐԿ (հիպոթեկային)** - վարկ, որը տրվում է անշարժ գույքը հիպոթեկով ծանրաբեռնելու հիման վրա:

**კრედიტორი** – ვალდებულების ერთ–ერთი მხარე, რომელსაც უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს – დებიტორს, განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან რაიმე მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავება.

**ՎԱՐԿԱՏՈՒ** – պարտավորված կողմերից մեկը, որն իրավունք ունի մյուս կողմից՝ դեբիտորից պահանջելու որոշակի գործողություն կատարել կամ ձեռնպահ մնալ որևէ գործողություն կատարելուց:

**კომერციული მოსყიდვა** - პირისათვის, რომელიც საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ახორციელებს ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას, ფულის ან/და სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა ან გაწევა, მის ან სხვა პირის სასარგებლოდ რათა მან განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით,მომსყიდველის ან სხვა პირის ინტერესებისათვის.

**ԿՈՄԵՐՑԻՈՆ ԿԱՇԱՌՈՒՄ** - անձին, որը ձեռնարկությունում կամ որևէ կազմակերպությունում ունի ղեկավարման, ներկայացուցչական կամ այլ հատուկ լիազորություն, որևէ հակաիրավական առավելություն առաջարկելը, խոստանալը, փոխանցելը կամ կատարելը, իր կամ այլ անձի օգտին որպեսզի նա կատարի որևէ գործողություն կամ ձեռնպահ մնա որևէ գործողություն կատարելուց՝ խախտելով սեփական աշխատանքային պարտավորությունը, կաշառողի կամ այլ անձի շահերի համար:

**კულტურული მემკვიდრეობა** – მატერიალური ღირებულების მქონე ნივთები და ნამუშევრები, რომლებსაც გააჩნიათ მხატვრული, ესთეტიკური, ისტორიული ან სხვა ღირებულება და დაკავშირებულნი არიან ქვეყნის ისტორიულ განვითარებასთან.

**ՄՇԱԿՈՒԹԱՅԻՆ ԺԱՌԱՆԳՈՒԹՅՈՒՆ** – նյութական արժեք ունեցող իրեր կամ աշխատանքներ, որոնք ունեն գեղարվեստական, գեղագիտական, պատմական կամ այլ արժեք և առնչվում են երկրի պատմական զարգացմանը:

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვა** - სამართლებრივ, სამეცნიერო-კვლევით, სარეაბილიტაციო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის სრული მრავალფეროვნებით შენარჩუნება და მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

ՄՇԱԿՈՒԹԱՅԻՆ ԺԱՌԱՆԳՈՒԹՅԱՆ ՊԱՇՏՊԱՆՈՒԹՅՈՒՆ - իրավաբանական, գիտահետազոտական, վերականգնողական, տեղեկատվական և կրթական միջոցառումների միասնությունը, որի նպատակն է՝ մշակութային

ժառանգության պահպանումը կատարյալ բազմազանությամբ և դրա կայուն զարգացման ապահովումը:

ლ

**ლატენტური-** ფარული, გარეგნულად გამოუმჟღავნებელი.

ԼԱՏԵՆՏ - գաղտնի, արտաքուստ չբացահայտված:

**ლეგალიზაცია** - დაკანონება, ანუ კანონიერ მდგომარეობაში გადასვლა და სამართლებრივი ძალის მინიჭება.

ԼԵԳԱԼԱՑՈՒՄ - օրինականացում, այսինքն՝ օրինական վիճակի անցնելը և իրավաբանական ուժ ձեռք բերելը:

**ლეგალიზაცია უკანონო შემოსავლის (ფულის გათეთრება)** - უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (მაგ. ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით.

**ԱՊՕՐԻՆԻ ԵԿԱՄՈՒՏԻ ԼԵԳԱԼԱՑՈՒՄ (փողերի լվացում)** – ապօրինի կամ չհիմնավորված գույքին օրինական տեսք տալը (օր.՝ գույքից օգտվելը, գույք ձեռք բերելը, տիրապետելը կամ այլ գործողություն)՝ դրա ապօրինի ծագումը թաքցնելու նպատակով:

**ლეგატი** - მამკვიდრებლის მიერ მემკვიდრისათვის დაკისრებული ვალდებულება, რომელიც მემკვიდრემ უნდა შეასრულოს სამკვიდროს ხარჯზე, ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ.

ԼԵԳԱՏ - կտակարարի կողմից կտակակատարի վրա դրված պարտականությունը, որը վերջինս պետք է կատարի ժառանգության հաշվին, մեկ կամ մի քանի անձի օգտին:

**ლეგიტიმაცია** - რაიმე ქმედების ან ფაქტის სამართლიანობისა და კანონიერების აღიარება.

**ԼԵԳԻՏԻՄՈՒԹՅՈՒՆ (օրինականություն)** - որևէ գործողության կամ փաստի արդարության և օրինականության ճանաչումը:

**ლიზინგი** - ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით. ლიზინგის მიმღები თავისმხრივ ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.

**ԼԻԶԻՆԳ (վարձակալում)-** պայմանագիր, որի հիման վրա լիզինգ տվողը պարտավոր է լիզինգ ստացողին օգտագործելու համար փոխանցել որոշակի գույք, պայմանագրով որոշված ժամկետով: Լիզինգ ստացողը պարտավոր է վճարել պայմանավորված գումարը:

**ლიკვიდაცია** - მეწარმე იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტა სასამართლოს ან იურიდიული პირის პარტნიორების მიერ, ლიკვიდაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

ԼՈՒԾԱՐՈՒՄ (լիկվիդացիա) - գործարար իրավաբանական անձի գործունեության դադարեցումը դատարանի կամ իրավաբանական անձի գործընկերների կողմից՝ լուծարման համար Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված պայմանների համաձայն:

**ლიცენზია** - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის მინიჭებული უფლება, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით განახორციელოს რაიმე საქმიანობა კანონით დადგენილი პირობების დაცვით.

ԼԻՑԵՆԶԻԱ (արտոնագիր) - վարչական մարմնի կողմից վարչական ակտի հիման վրա անձին արտոնված իրավունք՝ որոշակի կամ անորոշ ժամկետով կատարելու որոշ գործողություններ՝ օրենքով սահմանված պայմանների համաձայն:

**ლოგოტიპი** - საფირმო, სასაქონლო ნიშანი, რომელიც ჩვეულებრივ მონოპოლიურად გამოიყენება შესაბამისი საქონლის გამომშვები საწარმოს მიერ.

ԱՊՐԱՆՔԱՆԻՇ - ֆիրմային, ապրանքային նշան, որը, սովորաբար, մենաշնորհային կերպով գործածվում է համապատասխան ապրանքն արտադրող ձեռնարկության կողմից:

**ლოკალური** - ადგილობრივი, გარკვეულ საზღვრებს შორის მდებარე, მოქცეული, გავრცელებული.

ՏԵՂԱՅԻՆ - տեղական, որոշակի սահմանների միջև գտնվող, ընկած, տարածված:

**ლოკაუტი** - დავის შემთხვევაში დამსაქმებლის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

ԼՈԿԱՈՒՏ - վեճի առկայության դեպքում գործատուի ժամանակավոր և հոժարակամ հրաժարվելը աշխատանքային պայմանագրով նախատեսված պարտականություններն ամբողջովին կամ մասնակիորեն կատարելուց:

მ

**მაგისტრატი მოსამართლე** - მოსამართლე, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კატეგორიის მარტივი დავები.

ՀԱՇՏԱՐԱՐ ԴԱՏԱՎՈՐ –դատավոր, որը իրավասու է քննել Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված կատեգորիայի պարզ վեճերը:

**მავნე ნივთიერება** -საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, აგრეთვე გარემოზე.

**ՎՆԱՍԱԿԱՐ ՆՅՈՒԹԵՐ**- Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ ցանկացած նյութ, որը բացասական ազդեցություն է գործում կամ կարող է գործել մարդու կյանքի և առողջության վրա, ինչպես նաև միջավայրի վրա:

**მამკვიდრებელი (მოანდერძე)** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, პირი რომლის ქონებაც რჩება მემკვიდრეს მისი გარდაცვალების შემდეგ.

**ԿՏԱԿԱՐԱՐ** –Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ անձ, որի մահից հետո նրա ունեցվածքը մնում է ժառանգին:

**მანდატური** - მოხელე, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგს სასამართლოში.

**ՄԱՆԴԱՏՈՒՐ (կարգադրիչ)** – պաշտոնյա, որը դատարանում ապահովում է կարգուկանոնը:
**მართლზომიერი რისკი** – საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, გამართლებული რისკი, რომელიც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად არის ჩადენილი, თუმცა აზიანებს სხვის სამართლებრივ სიკეთეს. მართლზომიერი რისკი წარმოადგენს, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებას.
**ԻՐԱՎԱՉԱՓ ՌԻՍԿ** - Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ արդարացված ռիսկ, որը դրսևորվել է հանրօգուտ նպատակի հասնելու համար, թեպետ վնասում է ուրիշի իրավական բարիքը: Արդարացված ռիսկը հանդիսանում է հակաիրավականությունը բացառող հանգամանք:

**მართლმსაჯულება** – სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები. მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე საქმეში მონაწილე ყველა პირის თანასწორობის საფუძველზე, აგრეთვე საქვეყნოობის, მოსამართლეთა შეუცვლელობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით.

**ԱՐԴԱՐԱԴԱՏՈՒԹՅՈՒՆ** – դատական իշխանության իրականացման ձևերից մեկը, որը ընդհանուր դատարանները իրականացնում են՝ քաղաքացիական, վարչական և քրեական դատավարությունների միջոցով: Արդարադատությունն իրագործվում է օրենքի և դատարանի առաջ՝ գործի մասնակից բոլոր անձանց հավասարության հիման վրա, ինչպես նաև համաժողովրդականության, դատավորների անփոփոխելիության և անկախության սկզբունքների պաշտպանությամբ:

**მართლწესრიგი** - კანონიერებაზე დამყარებული საზოგადოებრივი წესრიგი, არსებული სამართლებრივი რეჟიმი.

**ԻՐԱՎԱԿԱՐԳ** – օրինականության վրա հիմնված հասարակական կարգը, առկա իրավական վարչակարգը:

**მარწმუნებელი** – პირი, რომელიც ავალებს წარმომადგენელს, რომ მისი სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად განახორციელოს საპროცესო ან სხვა მოქმედებები სასამართლოში ან მის გარეთ.

**ԼԻԱԶՈՐՈՂ**– անձ, որը ներկայացուցչին հանձնարարում է իր անունից և իր շահերին համապատասխան, դատարանում կամ դրանից դուրս, իրագործել դատավարական կամ այլ գործողություններ:

**მედიაცია** – პროცესი რომლის დროსაც ნეიტრალური პირი ეხმარება დავის მონაწილეებს სადავო საკითხის გაანალიზებასა და კომპრომისის გზით შეთანხმების მიღწევაში.

**ՄԻՋՆՈՐԴՈՒԹՅՈՒՆ** - գործընթաց, որի ժամանակ անձը վիճող կողմերին օգնում է վիճելի հարցի վերլուծման և փոխզիջումների ճանապարհով համաձայնության հասնելու գործում:

**მეკობრეობა** – წყლის ხომალდზე ან სხვა მცურავ საშუალებაზე თავდასხმა სხვისი ნივთის დასაუფლებლად, მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

**ԾՈՎԱՀԵՆՈՒԹՅՈՒՆ** – ջրային նավի կամ լողացող այլ միջոցների վրա բռնությամբ կամ բռնադատության սպառնալիքով հարձակվելը՝ ուրիշի գույքը գրավելու, այն հակաիրավականորեն զավթելու նպատակով:

**მემკვიდრეები კანონით** - კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:
I რიგში - გარდაცვლილის შვილები; გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა; მეუღლე; მშობლები (მშვილებლები); ნაშვილები;
II რიგში - გარდაცვლილის დები და ძმები;
III რიგში - ბებია და პაპა;
IV რიგში - ბიძები (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდები და მამიდები;
V რიგში - ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები.

**ՕՐԵՆՔՈՎ ԺԱՌԱՆԳՆԵՐ** – օրենքով ժառանգության դեպքում հավասար բաժնի իրավունքով ժառանգներ են հանդիսանում.
առաջին հերթին՝ հանգուցյալի զավակները, հանգուցյալի զավակը, որը ծնվել է նրա մահից հետո, ամուսինը, ծնողները (հոգեծնողները), հոգեզավակը.
երկրորդ հերթին՝ հանգուցյալի քույրերը և եղբայրները.
երրորդ հերթին՝ պապիկը և տատիկը.
չորրորդ հերթին՝ մորեղբայրը, հորեղբայրը, մորաքույրը, հորաքույրը.
հինգերորդ հերթին՝ մորեղբորորդիները, հորեղբորորդիները, մորաքրոջ զավակները, հորաքրոջ զավակները:

**მემკვიდრეობა** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების

გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით.

ԺԱՌԱՆԳՈՒԹՅՈՒՆ - Կրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ մահացած անձի (կտակարարի) գույքի անցումը ուրիշ անձանց (ժառանգներին)՝ ըստ օրենքի կամ կտակի, կամ երկուսի հիման վրա:
**მემკვიდრეობითი ტრანსმისია** - სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე, მემკვიდრის გარდაცვალების შემთხვევაში, სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლების გადასვლა მის მემკვიდრეებზე.

ԺԱՌԱՆԳԱԿԱՆ ՏՐԱՆՍՄԻՍԻԱ (փոխանցում) – ժառանգությունը բացելուց հետո, բայց մինչև ժառանգությունն ստանալը ժառանգի մեռնելու դեպքում՝ ժառանգությունից նրա բաժինն ստանալու իրավունքի անցումը վերջինիս ժառանգներին:
**მენარდე** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირი, რომელიც კისრულობს სამუშაოს შესრულების ვალდებულებას, ამ ხელშეკრულებით გათვლისწინებული პირობების შესაბამისად.

ԳՈՐԾԱՎԱՐՁՈՂ - Կրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ գործավարձային պայմանագրով նախատեսված անձ, որն ստանձնում է աշխատանք կատարելու պարտավորություն՝ այդ պայմանագրով նախատեսված պայմանների համաձայն:
**მესაკუთრე** - პირი, რომელიც ახორციელებს ქონების ფაქტობრივ ფლობასა და განკარგვას.

ՍԵՓԱԿԱՆԱՏԵՐ – անձ, որն իրագործում է գույքի փաստացի տիրապետումը և տնօրինումը:
**მესამე პირი** - პირი, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობაში, მაგრამ შესაძლოა გააჩნდეს კანონიერი ინტერესი ამ ურთიერთობის მიმართ.

ԵՐՐՈՐԴ ԱՆՁ – անձ, որն անմիջականորեն չի մասնակցում իրավական հարաբերություններին, բայց կարող է օրինական շահագրգռություն ունենալ այդ հարաբերությունների նկատմամբ:
**მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით** – სასამართლოში საქმის მსვლელობის დროს, თითოეული დაინტერესებული პირის უფლება, განაცხადოს დამოუკიდებელი მოთხოვნა დავის საგანზე ან მის ნაწილზე, ასევე აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ მხარეთა პაექრობის დაწყებამდე. მესამე პირის სარჩელის მიღება და განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით.

ԵՐՐՈՐԴ ԱՆՁԻՆՔ՝ ԱՆԿԱԽ ՀԱՅՑԱՅԻՆ ՊԱՀԱՆՋՈՎ – դատական գործի ընթացքում յուրաքանչյուր շահագրգիռ անձի՝ անկախ պահանջ հայտարարելու իրավունքը՝ վեճի առարկայի կամ դրա մի մասի վերաբերյալ, ինչպես նաև երկու կողմերի կամ երկու կողմերից մեկի նկատմամբ հայց հարուցելու իրավունքը՝ մինչև կողմերի վիճաբանության մեկնարկը: Երրորդի անձի հայցը ստանվում և քննվում է ընդհանուր կարգերի համաձայն:

**მეწარმე სუბიექტი** - საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ასეთად მიიჩნევა ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.

ԳՈՐԾԱՐԱՐ ՍՈՒԲՅԵԿՏ – Վրաստանի օրենսդրության համաձայն՝ այսպիսին են համարվում անհատ գործարարը, համատեղ պատասխանատվությամբ ընկերությունը, (ՀՊԸ), իշխող կազմակերպությունը, սահմանափակ պատասխանատվությամբ ընկերությունը (ՍՊԸ), բաժնետիրական ընկերությունը (ԲԸ, կորպորացիա) և կոոպերատիվը:

**მეურვეობა** - მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვის სამართლებრივი ფორმა, რომელიც წესდება შვიდი წლის ასაკს მიუღწეველ ბავშვზე, აგრეთვე, პირზე, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო. მეურვეობა უწესდება ბავშვს, რომელიც მშობლების გარდაცვალების, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით დარჩა მშობლების მეთვალყურეობის გარეშე. ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს მეურვეობა უწესდება, რადგანაც მას არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს მოვალეობები.

**ԽՆԱՄԱԿԱԼՈՒԹՅՈՒՆ (քաղաքացիների)** - քաղաքացիների անձնական և գույքային իրավունքների ու շահերի պաշտպանության իրավական ձև, որը սահմանվում է յոթ տարին չլրացած երեխայի համար, ինչպես նաև այն անձի վերաբերյալ, որը դատարանի կողմից անգործունակ է ճանաչված՝ հիվանդության կամ թուլամտության պատճառով: Խնամակալություն սահմանվում է այն երեխայի համար, որը ծնողների մահվան, հիվանդության կամ այլ պատճառով մնացել է առանց ծնողական հսկողության: Անգործունակ ճանաչված անձի համար խնամակալություն է հաստատվում, քանի որ նա չունի սեփական իրավունքներն ինքնուրույն իրագործելու և պարտավորություններն ինքնուրույն կատարելու կարողություն:

**მზრუნველობა** - მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვის სამართლებრივი ფორმა, რომელიც წესდება არასრულწლოვანზე 7 წლის ასაკიდან 18 წლამდე. მზრუნველობა წესდება აგრეთვე სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები.

**ՀՈԳԱՏԱՐՈՒԹՅՈՒՆ** – քաղաքացիների անձնական և գույքային իրավունքների ու շահերի պաշտպանության իրավական ձև, որը սահմանվում է 7-ից մինչև 18 տարեկան անչափահասների համար: Հոգատարություն սահմանվում է նաև չափահաս գործունակ անձի համար՝ հենց իր խնդրանքով, եթե նա իր առողջական վիճակի պատճառով կարողություն չունի ինքնուրույն իրագործելու սեփական իրավունքները և կատարելու պարտավորությունները:

**მთავარი სხდომა** – ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც სასამართლო განიხილავს უშუალოდ სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივ და სამართლებრივ მართებულობას.

ԳԼԽԱՎՈՐ ՆԻՍՏ – բանավոր լսում, որի ժամանակ դատարանն անմիջականորեն է քննում հայցային պահանջի փաստական ու իրավական արդարացիությունը:

**მიბარება** – ხელშეკრულება, რომლითაც შემნახველი კისრულობს ვალდებულებას შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი. მიბარება უსასყიდლოა, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ՀԱՆՁՆԵԼ Ի ՊԱՀ – պայմանագիր, որով անձը (պահողը) պարտականություն է ստանձնում՝ պահելու հանձնողի կողմից իրեն հանձնված շարժական գույքը: Ի պահ հանձնելն անվճար է, եթե պայմանագրով ուրիշ ոչինչ նախատեսված չէ:

**მივლინება** - დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლა, სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე.

ԳՈՐԾՈՒՂՈՒՄ – գործատուի կողմից աշխատողի (զբաղված) աշխատավայրը ժամանակավորապես փոխելը՝ աշխատանքային շահերից ելնելով:

**მითვისება ან გაფლანგვა** - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც გულისხმობს სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლებების მართლსაწინააღმდეგო მითვისებას ან გაფლანგვას, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება იმყოფებოდა მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში.

ՅՈՒՐԱՑՈՒՄ ԿԱՄ ՎԱՏՆՈՒՄ – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսգրքով նախատեսված հանցագործություն, որը ենթադրում է ուրիշի գույքի կամ գույքային իրավունքների հակաիրավական յուրացումը կամ վատնումը՝ եթե այդ գույքը կամ գույքային իրավունքը գտնվում էր յուրացնողի կամ վատնողի իրավաչափ տիրապետության կամ տնօրինության տակ:

**მიკრო ბიზნესი** – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, ასეთი სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს.

ՄԻԿՐՈԲԻԶՆԵՍ - Վրաստանի հարկային օրենսդրության հիման վրա , այսպիսի կարգավիճակ կարելի է ընձեռնել ֆիզիկական անձին, որը վարձու անձանց աշխատանքը չի օգտագործում և ինքնուրույն է զբաղվում տնտեսական գործողությամբ, որից նրա ստանալիք ամփոփիչ ամբողջական եկամուտը օրացուցային տարվա ընթացքում 30000 դոլարից չի անցնում:

**მიუკერძოებლობა ( მოსამართლის )** – მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპი რომლის საფუძველზეც, მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა საქმის წარმოებაში.

ԱՆԿՈՂՄՆԱԿԱԼՈՒԹՅՈՒՆ (դատավորի) – արդարադատության իրագործման սկզբունքը, որի հիման վրա դատավորը չի կարող մասնակցել գործի քննարկմանը, եթե նախկինում մասնակցել է այդ գործին առնչվող գործավարությանը:

**მიუღებელი შემოსავალი** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ის სარგებელი, რომელსაც მიიღებდა პირი, სხვის მიერ მის მიმართ ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

ՉՍՏԱՑՎԱԾ ԵԿԱՄՈՒՏ – Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ այն օգուտը, որն անձը կստանար, եթե հավուր պատշաճի կատարվեր վերջինիս ստանձնած պարտավորությունը:
**მკვლელობა** - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგაა ჩადენილი.

ՍՊԱՆՈՒԹՅՈՒՆ – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսգրքով նախատեսված հանցագործություն, որը կատարված է մարդու կյանքի դեմ:
**მოგების გადასახადი** – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, იმ მოგების დაბეგვრა რომელსაც იღებს საქართველოს რეზიდენტი საწარმო, აგრეთვე ის არარეზიდენტი საწარმო რომელიც საქართველოში ახორციელებს საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

ԵԿԱՄՏԱՀԱՐԿ - Վրաստանի հարկային օրենսդրության համաձայն՝ այն շահույթի հարկումը, որն ստանում է Վրաստանի ռեզիդենտ ձեռնարկությունը, ինչպես նաև այն ոչ ռեզիդենտ ձեռնարկությունը, որը Վրաստանում գործունեություն է ծավալում մշտական հիմնարկության միջոցով կամ/և եկամուտ է ստանում Վրաստանում առկա աղբյուրից:
**მოვალე** – პირი, რომელსაც აკისრია ვალდებულება კრედიტორის წინაშე.

ՊԱՐՏԱՊԱՆ – անձ, որը պարտավորություն է ստանձնել վարկատուի առջև:
**მოთხოვნა** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, ნებისმიერი ვალი ან ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, რომლის შესრულების მოვალეობა ან შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მოვალეს.

ՊԱՀԱՆՋ – Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրությամբ՝ ցանկացած պարտք կամ պարտավորություն կատարելու պահանջ, որը իրագործելու պարտավորությունը կամ չիրագործելու համար պատասխանատվությունը կրում է պարտապանը:
**მოთხოვნის დათმობა** - კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნის მესამე პირისათვის გადაცემა სასყიდლით ან უსასყიდლოდ.

ՊԱՀԱՆՋԻ ԶԻՋՈՒՄ –վարկատուի կողմից պարտապանի նկատմամբ առկա պահանջի՝ հատուցմամբ կամ անհատույց փոխանցումը երրորդ անձին:
**მომსახურების გაწევა** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სხვა პირისთვის მისივე ნებით, სასყიდლით ან უსასყიდლოდ ისეთი მოქმედების შესრულება (მომსახურება) , რომელიც არ გულისხმობს საქონლის მიწოდებას.

ՍՊԱՍԱՐԿԵԼ - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ ուրիշ անձի համար՝ հենց իր կամքով, հատուցմամբ կամ անհատույց կատարել (սպասարկել) այնպիսի գործողություն, որը ապրանքի մատակարարում չի ենթադրում:

**მომხმარებელი** – პირადი საჭიროებისათვის საქონლის (მომსახურების, სამუშაოს) გამომყენებელი, შემძენი, შემკვეთი ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქე.

ՍՊԱՌՈՂ – սեփական պետքերի համար ապրանքը (սպասարկումը, աշխատանքը) օգտագործողը, ձեռք բերողը, պատվիրողը կամ այդպիսի մտադրություններ ունեցող քաղաքացին:

**მომხსენებელი მოსამართლე** – სასამართლო კოლეგიის წევრი, რომელსაც ევალება საქმის მომზადება მის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად, აგრეთვე სასამართლო სხდომის გახსნა და წარმართვა.

ԶԵԿՈՒՑՈՂ ԴԱՏԱՎՈՐ- դատական կոլեգիայի անդամ, որը պարտավոր է գործը պատրաստել բանավոր լսմանը՝ քննելու համար, ինչպես նաև բացել ու վարել դատական նիստը:

**მონაცემები პერსონალური** - საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

ԱՆՀԱՏԱԿԱՆ ՏՎՅԱԼՆԵՐ- հանրային տեղեկատվություն, որը անձի նույնականացման հնարավորություն է տալիս:

**მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება** - პირისათვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევა, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების, აკრძალვა, კულტურული იზოლაცია, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ჩაყენება ან ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულება.

ՍՏՐԿՈՒԹՅԱՆ ԿԻՐԱՌՈՒՄ ԺԱՄԱՆԱԿԱԿԻՑ ՊԱՅՄԱՆՆԵՐՈՒՄ– նույնականացման փաստաթղթերը անձից խլելը, ազատ տեղաշարժվելու իրավունքը սահմանափակելը, արգելելն ընտանիքի հետ կապը, այդ թվում նաև նամակագրությունը և հեռախոսային շփումները, մշակութային մեկուսացումը, պատիվն ու արժանապատվությունը ոտնահարելը կամ ստիպելն աշխատել առանց որևէ վարձատրության կամ ոչ պատշաճ վարձատրմամբ:

**მოპასუხე** – პირი, რომლის წინააღმდეგაც მოსარჩელემ წარადგინა სარჩელი სასამართლოში. მოპასუხე შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი.

ՊԱՏԱՍԽԱՆՈՂ – անձ, որի դեմ հայցվորը դատարանին հայց է ներկայացրել: Պատասխանողը կարող է լինել ինչպես ֆիզիկական, այնպես էլ իրավաբանական անձ:

**მორიგება** – მოდავე მხარეთა შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრება მორიგების პირობები და სრულდება საქმის წარმოება.

ՓՈԽԱԴԱՐՁ ՀԱՄԱՁԱՅՆՈՒԹՅՈՒՆ – վիճող կողմերի համաձայնութունը, որով սահմանվում են համաձայնության պայմանները, և անցկացվում է գործավարությունը:

**მოსამართლე** - სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეული ან დანიშნულია მოსამართლედ და ერთპიროვნულად ან კოლეგიის შემადგენლობაში ახორციელებს მართლმსაჯულებას.

**ԴԱՏԱՎՈՐ** – դատական իշխանությունը ներկայացնող անձ, որը Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված կարգով դատավոր է ընտրված կամ նշանակված և միանձնաբար կամ կոլեգիայի կազմում իրագործում է արդարադատությունը:

**მოსამზადებელი სხდომა** – სასამართლო სხდომა, რომელიც ინიშნება მოსამართლის მიერ იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ სცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე. აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს.

**ՆԱԽԱՊԱՏՐԱՍՏԱԿԱՆ ՆԻՍՏ** – դատական նիստ, որը նշանակվում է դատավորի կողմից այն դեպքում, երբ ներկայացված գրավոր նյութերը դատավորի համար հիմք են հանդիսանում ենթադրելու, որ հնարավոր է՝ կողմերը փոխադարձ համաձայնությամբ ավարտեն գործը, պատասխանողը ճանաչի հայցը, կամ հայցվորը հրաժարվի հայցից: Նաև (այն դեպքում), երբ դատավորը համարում է, որ դատաքննության համար գործը պատշաճորեն պատրաստելու շահերը այդ են պահանջում:

**მოსარგებლე** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, პირი, რომელიც სარგებლობს ნივთით და იღებს მისგან გარკვეულ ეკონომიკურ სარგებელს. ნივთით მოსარგებლე შეიძლება იყოს ნივთის მესაკუთრე ან არამესაკუთრე.

**ՕԳՏԱՏԵՐ** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ անձ, որն օգտվում է առարկայից և դրանից որոշակի տնտեսական շահ է ստանում: Առարկայի օգտատեր կարող է լինել առարկայի սեփականատերը կամ ոչ սեփականատերը:

**მოსარჩელე** - სამოქალაქო პროცესში ერთ-ერთი მხარე, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელით და ითხოვს თავისი დარღვეული თუ სადავო უფლების დაცვას. მოსარჩელე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

**ՀԱՅՑՎՈՐ** – քաղաքացիական դատավարության կողմերից մեկը, որը դատարան է դիմել հայցով և պահանջում է խախտված կամ վիճահարույց իրավունքի պաշտպանություն: Հայցվոր կարող է լինել ինչպես ֆիզիկական, այնպես էլ իրավաբանական անձը:

**მოქალაქეობა** – ფიზიკური პირის მჭიდრო სამართლებრივი კავშირი რომელიმე სახელმწიფოსთან. საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. საქართველოს მოქალაქეობის მიღება ხდება დაბადებით ან ნატურალიზაციით (ანუ, მოქალაქეობის შეძენა საქართველოს კანონმდებლობით აუცილებელი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში).

**ՔԱՂԱՔԱՑԻՈՒԹՅՈՒՆ** – Ֆիզիկական անձի սերտ կապը որևէ պետության հետ: Վրաստանի քաղաքացի չի կարող լինել այլ պետության քաղաքացին՝ բացի օրենքով սահմանված բացառիկ դեպքերից: Վրաստանի քաղաքացիության ընդունումը հնարավոր է ծնունդով կամ հպատակագրմամբ (այսինքն՝ քաղաքացիություն ստանալը Վրաստանի օրենսդրությամբ անհրաժեշտ չափանիշների բավարարման դեպքում):

**მოწმე** - პირი, რომელსაც გააჩნია (ან შესაძლოა გააჩნდეს ) ინფორმაცია სისხლის სამართლის, ან ადმინისტრაციული სამართლის ან სამოქალაქო სამართლის საქმესთან დაკავშირებულ რაიმე გარემოებაზე და მოვალეა უფლებამოსილი პირის გამოძახების საფუძველზე გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს ჩვენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

**ՎԿԱ** – անձ, որը տիրապետում է տեղեկատվության (կամ կարող է տիրապետել) քրեական, վարչական կամ քաղաքացիական իրավունքի գործի հետ առնչվող որևէ հանգամանքի վերաբերյալ և պարտավոր է իրավասու անձի իրավերի հիման վրա ներկայանալ դատարան ու ցուցմունք տալ Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված կարգի համաձայն:

**მოწმის ჩვენება** - მოწმის მიერ სასამართლოსათვის მიწოდებული ინფორმაცია განსახილველი საქმის გარემოებათა შესახებ. მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვარ იქნება, თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.

**ՎԿԱՅԻ ՑՈՒՑՄՈՒՆՔ** – քննելի գործի հանգամանքների վերաբերյալ վկայի տված տեղեկատվությունը դատարանին: Վկայի ցուցմունքը չի կարող ապացույց լինել, եթե վկան չկարողանա ցույց տալ ներկայացված տեղեկատվության աղբյուրը, կամ եթե որոշվի, որ հոգեկան հիվանդության կամ ֆիզիկական թերության պատճառով նա չի կարող փաստերը ճիշտ ընկալել, մտապահել և վերականգնել:

**მსხვერპლი** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით პიროვნება, რომელიც განიცდიდა ფიზიკურ, ან ფსიქიკურ ძალადობას, ან სასტიკ მოპყრობას სხვა ადამიანის მიერ, ან დაზიანდა სტიქიური უბედურების შედეგად.

**ԶՈՀ** – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն` անձնավորություն, որը ենթարկվել է ֆիզիկական կամ հոգեբանական բռնության, կամ մեկ այլ մարդու կողմից անգութ վարվեցողության, կամ վնասվել է տարերային աղետի հետևանքով:

**მსჯავრდებული** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, პირი, რომლის მიმართ გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

**ԴԱՏԱՊԱՐՏՅԱԼ** – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն` անձ, որի նկատմամբ մեղադրական դատավճիռ է կայացված:

**მტკიცებულება** - სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია (მაგ. დოკუმენტი, ნივთიერება, ობიექტი), რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოების დადასტურება ან უარყოფა.

**ՀԱՆՑԱՆՇԱՆ** – դատարանին ներկայացված տեղեկատվություն (օր.` փաստաթուղթ, նյութ, օբյեկտ), որի հիման վրա հնարավոր է փաստական կամ իրավական պարագայի հաստատումը կամ մերժումը:

**მუნიციპალიტეტი** – დასახლებათა ერთობლიობა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს თვითმმართველი ერთეულის სტატუსი.

**ՄՈՒՆԻՑԻՊԱԼԻՏԵՏ** – բնակավայրերի միասնություն, որը Վրաստանի օրենսդրության համաձայն՝ ունի ինքնավար միավորի կարգավիճակ:
**მუქარა** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების, ან ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

**ՍՊԱՌՆԱԼԻՔ** – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ սպանությամբ կամ առողջության վնասմամբ, գույքի ոչնչացմամբ սպառնալը, երբ նա, ում սպառնում են, այդ սպառնալիքի իրականացման հիմնավոր երկյուղ է ունենում:
**მუხლი** – ყოველი ნორმატიული აქტი იყოფა მუხლებად, მუხლი კი თავისმხრივ პუნქტებად ან ნაწილებად.

**ՀՈԴՎԱԾ** – յուրաքանչյուր նորմատիվ ակտ բաժանվում է հոդվածների, իսկ հոդվածն իր հերթին՝ կետերի կամ մասերի:
**მფლობელობა** – სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მოპოვებით. არსებობს: 1. პირდაპირი მფლობელობა – თუ პირი ნივთს უშუალოდ ფლობს; 2. არაპირდაპირი მფლობელობა – თუ პირი ნივთს უშუალოდ არ ფლობს.
**ՏԻՐԱՊԵՏՈՒՄ** – իրավական հարաբերություն, որն առաջանում է գույքի վրա փաստական տիրության ձեռքբերմամբ: Գոյություն ունի. 1. Ուղղակի տիրապետում՝ եթե անձը գույքին տիրում է ուղղակիորեն: 2. Անուղղակի տիրապետում՝ եթե անձը գույքին ուղղակիորեն չի տիրում:

**მცირე ბიზნესი** – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე ასეთი სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

**ՓՈՔՐ ԲԻԶՆԵՍ** - Վրաստանի հարկային օրենսդրության հիման վրա այսպիսի կարգավիճակ կարող է տրվել ձեռնարկատեր ֆիզիկական անձին, որի տնտեսական գործողությունից ստացված ամբողջական եկամուտը օրացուցային տարվա ընթացքում չի գերազանցում 100000 լարին:

**მცირეწლოვანი** - პირი, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 7 წელი და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ითვლება ქმედუუნაროდ.

**ՓՈՔՐԱՀԱՍԱԿ**– անձ, որը դեռ 7 տարեկան չէ և Վրաստանի օրենսդրության համաձայն՝ անգործունակ է համարվում:
**მძევალი** - ფიზიკური პირის ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები ან სხვა პირები აიძულონ, განახორციელონ რაიმე ქმედება ან თავი შეიკავონ რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, აყვანილი პირის გათავისუფლების პირობით.

**ՊԱՏԱՆԴ** – ֆիզիկական անձին գրավել այն նպատակով, որ իշխանությունը, միջազգային կազմակերպություններին, պետական-քաղաքական պաշտոնյաներին կամ այլ անձանց ստիպեն՝ իրագործել որևէ գործողություն կամ ձեռնպահ մնալ որևէ գործողություն իրագործելուց, պատանդ վերցրած անձին ազատելու պայմանով:

**მხარე** – 1. სისხლის სამართლის პროცესის მხარეს წარმოადგენს ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადოკატი, გამომძიებელი, პროკურორი. 2. სამოქალაქო სამართლის პროცესის მხარეს წარმოადგენს ნებისმიერი დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირი, აგრეთვე ორგანიზაციები რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.

**ԿՈՂՄ** – 1. Քրեական դատավարության կողմ են հանդիսանում մեղադրյալը, դատապարտյալը, արդարացվածը, նրանց փաստաբանը, քննիչը, դատախազը: 2. Քաղաքացիական իրավունքի դատավարության կողմ է հանդիսանում շահագրգիռ ցանկացած ֆիզիկական կամ իրավաբանական անձ, ինչպես նաև այն կազմակերպությունները, որոնք իրավաբանական անձ չեն:

## ნ

**ნათესავი ახლო** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ასეთად მიიჩნევა მშობელი, შვილად აყვანილი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).

**ՄԵՐՁԱՎՈՐ ԱԶԳԱԿԱՆ** – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ՝ այդպիսին են համարվում ծնողը, որդեգիրը, զավակը, հոգեզավակը, պապիկը, տատիկը, թոռը, քույրը, եղբայրը, ամուսինը (այդ թվում՝ ամուսնալուծվածը):

**ნაკლოვანება**- საქონლის მახასიათებელთა ცალკეული შეუსაბამობანი სტანდარტის სავალდებულო მოთხოვნებთან, ხელშეკრულების პირობებთან, აგრეთვე დამამზადებლის (შემსრულებლების, გამყიდველის) მიერ საქონელზე წარმოდგენილ ინფორმაციასთან.

**ԹԵՐՈՒԹՅՈՒՆ** – ապրանքի բնութագրիչների առանձին անհամապատասխանությունները չափանիշի անհրաժեշտ պահանջներին, պայմանագրի պայմաններին, ինչպես նաև մթերողի (կատարողների, վաճառողի) կողմից ապրանքի վերաբերյալ ներկայացված տեղեկատվությանը:

**ნარდობა** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, გარკვეული სამუშაოს შესრულება განსაზღვრული საზღაურის გადახდის პირობით. ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის (სამუშაოს შემსრულებლის) შრომის შედეგი. მენარდის შრომა შეიძლება მიმართული იქნეს ნივთების შექმნისაკენ, ნივთების შეცვლის ან აღდგენისაკენ, სხვა სამუშაოს შესრულებისაკენ (გარეცხვა, გაწმენდა და სხვა).

**ԳՈՐԾԱՎԱՐՁՈՒԹՅՈՒՆ** – Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ որոշակի աշխատանք կատարելը՝ սահմանված վարձ վճարելու պայմանով: Գործավարձության պայմանագրի առարկա է հանդիսանում գործավարձորդի (աշխատանք կատարողի) աշխատանքի արդյունքը:

Գործավարձորդի աշխատանքը կարող է ուղղված լինել  իրեր ստեղծելուն, իրերը փոփոխելուն կամ վերականգնելուն, այլ աշխատանք կատարելուն (լվանալ, մաքրել և այլն):

**ნარკოტიკული დანაშაული** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც გულისხმობს ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ნივთიერების, მათი ანალოგის, პრეკურსორის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადებას, წარმოებას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას; აგრეთვე, საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის შემოტანას, საქართველოდან უკანონოდ გატანას, ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვას.

ԹՄՐԵՑՈՒՑԻՉ ՀԱՆՑԱԳՈՐԾՈՒԹՅՈՒՆ – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ նախատեսված հանցագործություն, որը ենթադրում է թմրեցուցիչ, հոգեմետ  նյութերի, դրանց նմանօրինակի, պրեկուրսորի կամ ուժեղ ներգործող նյութի ապօրինի պատրաստելը, արտադրելը, ձեռք բերելը, փոխադրելը, առաքելը կամ վաճառելը: Նաև Վրաստանում թմրամիջոցի, դրա նմանօրինակի կամ պրեկուրսորի ներմուծումը, Վրաստանից ապօրինի արտահանումը կամ տարանցումով միջազգային փոխադրումը:

**ნასამართლობა** – მსჯავრდებული პირის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიცგულისხმობს მის ნასამართლევად ჩათვლას ამ პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე.

ԴԱՏՎԱԾՈՒԹՅՈՒՆ – դատապարտյալ անձի իրավական վիճակը, որը ենթադրում է նրան դատված համարել՝ դրա վերաբերյալ մեղադրական դատավճռի՝ օրինական ուժի մեջ մտնելու օրվանից սկսած՝  մինչև դատվածությունը չեղյալ ճանաչելու կամ հանելու պահը:

**ნასყიდობა** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ყიდვა-გაყიდვა. ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საწონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

ԱՌՈՒԾԱԽ - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ առք ու վաճառք: Առուծախի պայմանագրով վաճառողը պարտավոր է գնորդին հանձնել գույքի սեփականության իրավունքը, դրա հետ կապված փաստաթղթերը և մատուցել ապրանքը: Գնորդը պարտավոր է  վաճառողին վճարել պայմանավորված գինը և ստանալ գնված գույքը:

**ნაფიცი მსაჯული** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს საარჩევნო სიიდან შემთხვევითი შერჩევის წესით გამორჩეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში და სხვა ნაფიც მსაჯულებთან ერთად გამოაქვს ვერდიქტი განსასჯელის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის შესახებ.

ԵՐԴՎՅԱԼ ԱՏԵՆԱԿԱԼ– Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ Վրաստանի ընտրացուցակից պատահական ընտրության կարգով

ընտրված Վրաստանի քաղաքացի, որը մասնակցում է քրեական գործի քննությանը և մնացած երդվյալ ատենակալների հետ միասին կայացնում է ամբաստանյալին մեղավոր կամ անմեղ ճանաչելու դատավճիռը:

**ნაფიც მსაჯულთა სასამართლო -** სისხლის სამართლის საქმის განხილვა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით, როდესაც წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეთა ერთობლივი შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო თანახმაა, რომ საქმე განხილულ იქნეს მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც წესი შედგება 12 მსაჯულისაგან და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან.

**ԵՐԴՎՅԱԼ ԱՏԵՆԱԿԱԼՆԵՐԻ ԴԱՏԱՐԱՆ** – քրեական գործի քննությունը երդվյալ ատենակալների մասնակցությամբ, երբ հարուցված մեղադրանքը որպես պատիժ ենթադրում է ազատազրկում, բացի այն դեպքերից, երբ կողմերի միասնական միջնորդության հիման վրա դատարանը համաձայնում է, որ գործը քննվի առանց ատենակալների : Երդվյալ ատենակալների դատարանը, օրենքով, բաղկացած է 12 ատենակալներից և 2 պահեստային ատենակալներից:

**ნივთი** – მატერიალური სხეულის მქონე ქონებრივი სიკეთე, რომლის ფლობა სარგებლობა და განკარგვა კანონით არაა აკრძალული. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არსებობს ორი სახის ნივთი: უძრავი და მოძრავი. 1. **უძრავი ნივთი** - მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. 2. **მოძრავი ნივთი** - ყველა ის ნივთი, რომელიც არ არის უძრავი და რომელთა გადაადგილებაც შესაძლებელია (მაგ. ძვირფასი ლითონები, ხელოვნების ნაკეთობანი, საიუველირო ნაწარმი და ა.შ).

**ԻՐ** – նյութեղեն մարմին ունեցող գույքային բարիք, որին տիրելը, օգտագործելը և տնօրինելն օրենքով արգելված չէ: Վրաստանի օրենսդրության համաձայն՝ գոյություն ունեն երկու տեսակի իրեր՝ շարժական և անշարժ: 1. Անշարժ իր ՝ հողամասը՝ դրա ընդերքում գտնվող հանածոյով հանդերձ, հողի վրա աճած բույսերը, նաև շինությունններն ու կառույցները, որոնք ամուր կանգնած են հողի վրա: 2. Շարժական իր՝ բոլոր այն իրերը, որոնք անշարժ չեն, և հնարավոր է նրանց տեղափոխումը (օր.՝ թանկագին մետաղներ, արվեստի գործեր, ոսկերչական արտադրանք և այլն):

**ნივთიერი მტკიცებულება** - ნივთი, საგანი, დოკუმენტი და სხვა ობიექტი, რომელიც თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას.

**ԻՐԵՂԵՆ ԱՊԱՑՈՒՅՑ** – իր, առարկա, փաստաթուղթ և այլ օբյեկտ, որն իր որակով, բնույթով կամ իր գոյությամբ գործի համար նշանակություն ունեցող հանգամանքները պարզելու միջոց է հանդիսանում:

**ნორმა** - კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთი კონკრეტული ქცევი წესი.

**ՆՈՐՄԱ**– օրենսդրությամբ նախատեսված կոնկրետ վարքագիծ:

**ნორმა საერთაშორისო - სამართლებრივი** - საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ქცევის წესი, რომელსაც აქვს იურიდიულად სავალდებულო ძალა.

ՄԻՋԱԶԳԱՅԻՆ-ԻՐԱՎԱԿԱՆ ՆՈՐՄԱ – միջազգային իրավունքով սահմանված վարքագիծ, որն անհրաժեշտ իրավաբանական ուժ ունի:
**ნორმატიული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი** - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

ՆՈՐՄԱՏԻՎ ՎԱՐՉԱ-ԻՐԱՎԱԿԱՆ ԱԿՏ - իրավասու վարչական մարմնի կողմից օրենսդրական ակտի հիման վրա հրապարակված իրավական ակտ, որն ընդգրկում է նրա մշտական կամ ժամանակավոր և բազմակի օգտագործման ընդհանուր վարքագիծը:
**ნორმატიული აქტი** – უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველ ობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. საქართველოს ნორმატიული აქტებია; საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი და სხვა.

ՆՈՐՄԱՏԻՎ ԱԿՏ – իրավասու պետական կամ տեղական ինքնակառավարման մարմնի (պաշտոնյայի) կողմից Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված կարգով ընդունված (հրապարակված) իրավական ակտ, որն ընդգրկում է նրա մշտական կամ ժամանակավոր և բազմակի օգտագործման ընդհանուր վարքագիծը: Վրաստանի նորմատիվ ակտերն են՝ Վրաստանի սահմանադրությունը, Վրաստանի սահմանադրական իրավունքը, Վրաստանի միջազգային պայմանագիրը և համաձայնությունը, Վրաստանի օրգանական օրենքը, Վրաստանի օրենքը և այլն:
**ნოტარიუსი** – პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში და მის საფუძველზე ახორციელებს სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურებას.

ՆՈՏԱՐ – անձ, որը Վրաստանի օրենսդրության սահմաններում և դրա հիման վրա իրականացնում է իրավական հարաբերությունների և իրավաբանական փաստերի հաստատումը:

## ო

**ობლიგაცია** - ფასიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს ობლიგაციის გამომშვები იურიდიული პირის სასესხო ვალდებულებას და ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას მიიღოს ობლიგაციაზე მითითებული ნომინალური ღირებულება წინასწარ დადგენილ ვადაში და სარგებელი დადგენილი პერიოდულობით.

ՊԱՐՏԱՏՈՄՍ – արժեթուղթ, որը հանդիսանում է պարտատոմս թողարկող իրավաբանական անձի պարտավորությունը և հաստատում է նրա՝ որպես սեփականատիրոջ իրավունքը՝ նախապես սահմանված ժամկետում ստանալու

պարտատոմսի վրա մատնանշված անվանական գինը և շահույթը՝ սահմանված պարբերականությամբ:
**ოვერდრაფტი** - მოკლევადიანი კრედიტი მიმდინარე ანგარიშზე, რომელიც გაიცემა ჩეკის ან საგადასახადო დავალების მეშვეობით. მასში ნაჩვენები თანხა აჭარბებს ანგარიშზე რიცხულ თანხას.

**ԳԵՐԱԶԱՆՑՈՒՄ (օվերդրաֆտ)** – կարճաժամկետ վարկ՝ ընթացիկ հաշվի վրա, որը տրվում է վճարագրի կամ հարկային հանձնարարության միջոցով: Դրանում արտացոլված գումարը գերազանցում է հաշվի վրա փոխանցած գումարը:
**ოკუპაცია** - სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიის სამხედრო ძალის გამოყენებით დაპყრობა სხვა სახელმწიფოს მიერ.

**ԶԱՎԹՈՒՄ** – պետությանը պատկանող տարածքի՝ զինված ուժով գրավումը ուրիշ պետության կողմից:
**ომბუდსმენი**- სახალხო დამცველი, რომლის მოვალეობაა იყოს სამართლიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრი მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის, რათა გამოიძიოს მოქალაქეთა საჩივრები ხელისუფლების ორგანოებისა და ოფიციალური პირების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეთა აზრით, ხელისუფლებამ დაარღვია მათი უფლებები და თავისუფლებები. ომბუდსმენს ასევე შეუძლია სხვადასხვა საქმეების განხილვა და გამოძიება საკუთარი ინიციატივით. ომბუდსმენი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარდგენს ყოველწლიურ ანგარიშებს.

**ՕՄԲՈՒԴՍՄԵՆ** – ժողովրդական պաշտպան, որը պարտավոր է լինել արդարացի, անկախ և անաչառ արբիտր քաղաքացիների և իշխանության միջև, որպեսզի քննի իշխանական մարմինների և պաշտոնյաների դեմ քաղաքացիների բողոքները այն դեպքում, երբ, քաղաքացիների կարծիքով, իշխանությունը խախտել է նրանց իրավունքները և ազատությունները: Օմբուդսմենը կարող է նաև տարբեր գործեր քննարկել և հետաքննել սեփական նախաձեռնությամբ: Օմբուդսմենը երաշխավորություններ է մշակում և տարեկան հաշվետվություններ է ներկայացնում:
**ომი** - პირდაპირი, ფიზიკური ძალადობის გამოყენება ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ. ომი, როგორც საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის მეთოდი, უარყოფილია საერთაშორისო კანონმდებლობით.

**ՊԱՏԵՐԱԶՄ** - ուղղակի, ֆիզիկական բռնության օգտագործումը երկու կամ ավելի պետությունների կողմից: Պատերազմը՝ որպես միջազգային հիմնախնդիրների լուծման մեթոդ, ժխտված է միջազգային օրենսդրությամբ:

**ორგანიზებული ჯგუფი** - შეთანხმებულად მოქმედი, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენას ორგანიზებული ჯგუფის მიერ, როგორც დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას.
**ԿԱԶՄԱԿԵՐՊՎԱԾ ԽՈՒՄԲ** – համաձայնությամբ գործող, կառուցվածքային ձև ունեցող խումբ, որի անդամները նախապես են միավորվել: Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսգիրքը կազմակերպված խմբի կողմից հանցագործություն կատարելը դիտում է որպես հանցագործությունը ծանրացնող հանգամանք:

**ორგანული კანონი** - კანონის სახე, რომელიც მიიღება მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში და მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სფეროთა მოსაწესრიგებლად (მაგ. არჩევნები, მოქალაქეობა). ორგანული კანონი იერარქიულად კანონზე მაღლა დგას.

**ՕՐԳԱՆԱԿԱՆ ՕՐԵՆՔ** – օրենքի տեսակ, որն ընդունվում է միայն սահմանադրությամբ սահմանված դեպքերում և միայն առանձնակի նշանակություն ունեցող ոլորտները կարգավորելու համար (օր.՝ ընտրությունները, քաղաքացիությունը): Օրգանական օրենքը աստիճանակարգով վեր է օրենքից:

**ორდერი** - წერილობითი საბუთი, განკარგულება, ბრძანება, რომელიც რაიმეს (მაგ. ნებართვის) მიღების უფლებას იძლევა.

**ՕՐԴԵՐ (կարգադրագիր)** – գրավոր փաստաթուղթ, կարգադրություն, հրաման, որը որևէ բան (օր.՝ թույլտվություն) ստանալու իրավունք է ընձեռում:

**ორმაგი მოქალაქეობა** - ერთდროულად ორი სახელმწიფოს მოქალაქეობა, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტებით. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა - საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

**ԿՐԿՆԱԿԻ ՔԱՂԱՔԱՑԻՈՒԹՅՈՒՆ** – միաժամանակ երկու պետությունների քաղաքացիություն, ինչը հաստատվում է համապատասխան փաստաթղթերով: Վրաստանի քաղաքացին չի կարող միաժամանակ լինել նաև այլ պետության քաղաքացի՝ բացառիկ դեպքերից բացի. Վրաստանի Նախագահի կողմից Վրաստանի քաղաքացիություն կարող է տրվել օտար երկրի քաղաքացուն, որը Վրաստանի առջև առանձնահատուկ վաստակ ունի, կամ նրան Վրաստանի քաղաքացիություն շնորհելը բխում է պետական շահերից:

**ოფერტი** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების ფორმალური შეთავაზება ამა თუ იმ პირისათვის, ხელშეკრულების დასადებად ყველა აუცილებელი პირობის მითითებით.

**ՕՖԵՐՏ** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ պայմանագիր կնքելու վերաբերյալ այս կամ այն անձին պաշտոնական առաջարկություն անելը՝ պայմանագիր կնքելու համար անհրաժեշտ բոլոր պայմանների մատնանշմամբ:

**ოფცია** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მყიდველის (გამყიდველის) უფლება შეიძინოს (გაყიდოს) ესა თუ ის ნივთი განსაზღვრულ დრომდე ან მოვლენამდე.

**ԸՆՏՐԱՆՔ (օպցիա)** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ կողմերի համաձայնության հիման վրա գնորդի (վաճառողի) կողմից այս կամ այն գույքը մինչև սահմանված ժամկետը կամ իրողությունը գնելու (վաճառելու) իրավունքը:

**ოქმი (სასამართლო სხდომის)** – საპროცესო დოკუმენტი, რომელსაც სასამართლო სხდომის მსვლელობისას ადგენს სხდომის მდივანი და რომელშიც გადმოცემულია საქმის ზეპირი მოსმენის შინაარსი.

**ԱՐՁԱՆԱԳՐՈՒԹՅՈՒՆ (դատական նիստի)** – դատավարական փաստաթուղթ, որը դատական նիստի ընթացքում կազմում է նիստի քարտուղարը, և որի մեջ արտացոլված է գործի բանավոր լսման բովանդակությունը:

**ოჯახი** - ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია სახელმწიფო ორგანოში, რამდენადაც სამართლებრივი თვალსაზრისით, მხოლოდ ასეთი რეგისტრაცია წარმოშობს მეუღლეთა შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

**ԸՆՏԱՆԻՔ** – Կնոջ և տղամարդու կամավոր կապը, որը գրանցված է պետական մարմնում, քանի որ, իրավական տեսակետից, միայն այդպիսի գրանցումն է ստեղծում ամուսինների միջև Վրաստանի օրենսդրությամբ նախատեսված իրավունքներն ու պարտավորությունները:

**ოჯახის წევრი** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით: მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი ან გერი, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი.

**ԸՆՏԱՆԻՔԻ ԱՆԴԱՄ** – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ ամուսինը, անչափահաս զավակը կամ խորթ զավակը, նրա հետ մշտական ապրող անձը:

**ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი** - ოჯახის სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრი ან ოჯახის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს სოციალური დახმარების მოთხოვნით და წარმართავს მასთან ურთიერთობებს.

**ԸՆՏԱՆԻՔԻ ԻՐԱՎԱԶՈՐ ՆԵՐԿԱՅԱՑՈՒՑԻՉ** – ընտանիքի չափահաս, գործունակ անդամ կամ ընտանիքի կողմից վստահված անձ, որը դիմում է իրազեկ մարմնին՝ սոցիալական օգնություն ստանալու պահանջով, և հարաբերություններ է հաստատում վերջինիս հետ:

პ

**პაექრობა** - საქმის ზეპირი მოსმენის ეტაპი, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეები ცდილობენ გააბათილონ ერთმანეთის მოთხოვნები და არგუმენტები. პაექრობა, სასამართლო სხდომაზე შედგება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან. პირველად გამოდიან მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი, შემდეგ- მოპასუხე და მისი წარმომადგენელი.

**ԲԱՆԱՎԵՃ** – գործի բանավոր լսման փուլը, երբ հակադիր կողմերը փորձում են միմյանց պահանջները և փաստարկները չեղյալ հայտարարել: Բանավեճը դատական նիստում բաղկացած է կողմերի և նրանց ներկայացուցիչների ճառերից: Սկզբում հանդես են գալիս հայցվորը և նրա ներկայացուցիչը, ապա՝ պատասխանողը և նրա ներկայացուցիչը:

**პაი** – შესატანი თანხა კოოპერატივში, ამ კოოპერატივის წესდებით დადგენილი წესით და ოდენობით.

**ՓԱՅԱԲԱԺԻՆ** – կոոպերատիվ ներմուծվելիք գումար՝ այդ կոոպերատիվի սահմանած կարգով և քանակով:

**პალატა** – მოსამართლეთა გაერთიანება მათი სპეციალიზაციის მიხედვით მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოში. არსებობს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა პალატები,

**ՊԱԼԱՏ** – դատավորների միավորումը երկրորդ և երրորդ ատյանի դատարաններում՝ ըստ իրենց մասնագիտացման: Գոյություն ունեն քաղաքացիական, վարչական և քրեական իրավունքի գործերի պալատներ:

**პასივი** – პირის შესასრულებელ ვალდებულებათა ერთობლიობა.

**ՊԱՐՏԱՎՈՐՈՒԹՅՈՒՆ (պասիվ)** - անձի կողմից կատարվելիք պարտավորությունների ամբողջությունը:

**პასპორტი** – მოქალაქის პიროვნების დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტი.

**ԱՆՁՆԱԳԻՐ** – քաղաքացու անձը հաստատող հիմնական փաստաթուղթը:

**პასუხისმგებლობა (სანქცია)** - სამართლებრივი შედეგი (მაგ. ჯარიმა, თავისუფლების აღკვეთა), რომელიც მოჰყვება პირის არამართლზომიერ (უკანონო) ქმედებას. პასუხისმგებლობა რომელიც ყოველი ასეთი კონკრეტული ქმედების შედეგია, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის ქმედების საშიშროების ხარისხზე.

**ՊԱՏԱՍԽԱՆԱՏՎՈՒԹՅՈՒՆ (սանկցիա, պատժամիջոց)** – անձի ոչ իրավաչափ (անօրինական) գործողության իրավական հետևանքը (օր.՝ տուգանք, ազատազրկում): Պատասխանատվությունը, որը ամեն մի այդպիսի կոնկրետ գործողության հետևանքն է, Վրաստանի օրենսդրության համաձայն՝ տարբեր է և կախված է բազմաթիվ գործոններից, այդ թվում՝ գործողության վտանգավորության աստիճանից:

**პასუხისმგებლობის ასაკი** - ასაკი, რომლის მიღწევიდან პირს ეკისრება პასუხისმგებლობა არამართლზომიერი ქმედების ჩადენისათვის. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იწყება 14 წლის ასაკიდან (გამონაკლის შემთხვევებში 12), ადმინისტრაციული სამართლებრივი პასუხისმგებლობა – 16, ხოლო სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – 10 წლის ასაკიდან.

**ՊԱՏԱՍԽԱՆԱՏՎՈՒԹՅԱՆ ՏԱՐԻՔ** - տարիք, որին հասնելուց հետո անձը պատասխանատվություն է կրում ոչ իրավաչափ գործողություն կատարելու համար: Քրեական պատասխանատվությունն սկսվում է 14 տարեկանից (բացառիկ դեպքերում՝ 12), վարչա-իրավական պատասխանատվությունը՝ 16, իսկ քաղաքացիական իրավական պատասխանատվությունը՝ 10 տարեկանից:

**პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები** – გარემოებები, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, დანაშაულსა და დამნაშავეს მიიჩნევს საზოგადოებისათვის მომეტებულ საშიშროებად და ამის საფუძველზე პირს მეტი სასჯელი ენიშნება.

ՊԱՏԱՍԽԱՆԱՏՎՈՒԹՅՈՒՆԸ ԾԱՆՐԱՑՆՈՂ ՀԱՆԳԱՄԱՆՔՆԵՐ - հանգամանքներ, որոնք, Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության հիման վրա, հանցագործությունը և հանցագործին հասարակության համար չափազանց վտանգավոր են համարում, և դրանց հիման վրա անձի համար ավելի մեծ պատիժ է սահմանվում:
**პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები** – გარემოებები, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, დანაშაულსა და დამნაშავეს, მიიჩნევს ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებად და ამის გამო პირს ენიშნება ნაკლები სასჯელი.

ՊԱՏԱՍԽԱՆԱՏՎՈՒԹՅՈՒՆԸ ԹԵԹԵՎԱՑՆՈՂ ՀԱՆԳԱՄԱՆՔՆԵՐ – հանգամանքներ, որոնք, Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության հիման վրա, հանցագործությունը և հանցագործին հասարակության համար պակաս վտանգավոր են համարում, ուստի անձի համար ավելի փոքր պատիժ է սահմանվում:
**პატიმარი** - სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირი, რომელსაც სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ԲԱՆՏԱՐԿՅԱԼ – քրեական իրավունքի օրենսդրությամբ նախատեսված անձ, որին դատարանը ազատազրկման է դատապարտել:
**პატიმრობა** – საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიება, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: 1. ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; 2. ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; 3. ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.
ԲԱՆՏԱՐԿՈՒԹՅՈՒՆ – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ նախատեսված կանխարգելիչ միջոցառում, որը կիրառվում է միայն այդ դեպքում, երբ դա. 1. մեղադրյալի թաքնվելուց և նրա կողմից դատավարությունն իրագործելը խանգարելուց, 2. մեղադրյալի կողմից հանցանշանները բացահայտելը խանգարելուց, 3. մեղադրյալի կողմից նոր հանցագործություն կատարելուց խուսափելու միակ հնարավորությունն է:

**პენალიზაცია** - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის ზომის გამკაცრება (მაგ. 5 წლიანი სასჯელის 7 წლამდე გაზრდა).

ՊԵՆԱԼԻԶԱՑԻԱ – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսգրքով սահմանված պատիժը ծանրացնելը (օր.՝ 5-ամյա պատժաչափը դարձնել մինչև 7տարի):
**პერსონალური მონაცემები** - საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

ԱՆՀԱՏԱԿԱՆ ՏՎՅԱԼՆԵՐ – հանրային տեղեկատվություն, որը հնարավոր է դարձնում անձի նույնականացումը:
**პირადი არაქონებრივი უფლებები** – უფლებები, რომელთა გასხვისება დაუშვებელია (მაგ. უფლება სახელზე, უფლება პირად ხელშეუხებლობასა და საქმიან რეპუტაციაზე).

**ԱՆՁՆԱԿԱՆ ՈՉ ԳՈՒՅՔԱՅԻՆ ԻՐԱՎՈՒՆՔՆԵՐ** – իրավունքներ, որոնց օտարումը անթույլատրելի է (օր.՝ անվան իրավունքը, անձնական անձեռնմխելիության և գործնական համբավի վերաբերյալ իրավունքը):

**პირადი თავისუფლების უფლება** - ყოველ ადამიანს აქვს პირადი თავისუფლების უფლება, რომელიც დაცული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო კანონმდებლობით. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

**ԱՆՁՆԱԿԱՆ ԱԶԱՏՈՒԹՅԱՆ ԻՐԱՎՈՒՆՔ** – ամեն մարդ ունի անձնական ազատության իրավունք, որը պաշտպանված և երաշխավորված է Վրաստանի սահմանադրությամբ և միջազգային օրենսդրությամբ: Ազատազրկումը կամ անձնական իրավունքի խախտումը մեկ այլ կերպ անթույլատրելի է՝ առանց դատարանի որոշման:

**პირადი ჩხრეკა** – საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში იმის თაობაზე, რომ პირმა დამალა რაიმე სახის მტკიცებულება, შესაძლებელია პირისათვის პირდი ჩხრეკის ჩატარება. ასეთი შემთხვევა ითვლება გადაუდებელ აუცილებლობად და პირადი ჩხრეკა ტარდება სასამართლოს განჩინების და გამომძიებლის დადგენილების გარეშე.

**ԱՆՁՆԱԿԱՆ ԽՈՒԶԱՐԿՈՒՄ** – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ եթե գոյություն ունի փաստարկված ենթադրություն այն մասին, որ անձը թաքցրել է որևէ ապացույց, կարելի է կատարել վերջինիս անձնական խուզարկումը: Նման դեպքն անհետաձգելի անհրաժեշտություն է համարվում, և անձնական խուզարկումն անցկացվում է առանց դատավճռի և քննիչի որոշման:

**პირადი საიდუმლოება** - საჯარო ინფორმაცია რომელიც იძლევა პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ეს ინფორმაცია პირად საიდუმლოებად შესაძლოა იქნეს მიჩნეული იმ პირის გადაწყვეტილებით ვის შესახებაც ის არსებობს.

**ԱՆՁՆԱԿԱՆ ԳԱՂՏՆԻՔ** – հանրային տեղեկատվություն, որը հնարավոր է դարձնում անձի նույնականացումը: Այդ տեղեկատվությունը հնարավոր է անձնական գաղտնիք համարել այն անձի որոշմամբ, ում վերաբերում է տվյալ տեղեկատվությունը:

**პირგასამტეხლო** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი დამატებითი საშუალება. მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის.

**ՏՈՒԺԱՆՔ** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ պահանջի ապահովման լրացուցիչ միջոցներից մեկը: Կողմերի համաձայնությամբ սահմանված դրամական գումար, որը պարտապանը պետք է վճարի պարտավորությունը չկատարելու կամ անպատշաճորեն կատարելու համար:

**პირდაპირი დაკითხვა** – დაკითხვა, რომელსაც აწარმოებს სასამართლო პროცესის ის მხარე, რომელმაც დასაკითხი მოწმე გამოიძახა.
ՈՒՂՂԱԿԻ ՀԱՐՑԱՔՆՆՈՒԹՅՈՒՆ – հարցաքննություն, որն անցկացնում է դատավարության այն կողմը, որը վկային հրավիրել է հարցաքննության:
**პირველი ინსტანციის სასამართლო** – რაიონული ან საქალაქო სასამართლო, რომელსაც პირველად მიმართავს მოსარჩელე, განმცხადებელი ან ბრალდების მხარე. ამ სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მეორე ინსტანციის (სააპელაციო) სასამართლოში.

ԱՌԱՋԻՆ ԱՏՅԱՆԻ ԴԱՏԱՐԱՆ – շրջանային կամ քաղաքային դատարան, որին առաջին անգամ է դիմում հայցվորը, դիմողը կամ մեղադրող կողմը: Այս դատարանի որոշումները կարող են բողոքարկվել երկրորդ ատյանի (վերաքննիչ) դատարանում:
**პირი** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, რომელიც შესაძლოა იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. **1. იურიდიული პირი** – განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას. **2. პირი ფიზიკური** - ცალკეული პირი (ადამიანი), რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის სუბიექტს.

ԱՆՁ – Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի համաձայն՝ իրավական հարաբերության սուբյեկտ, որը կարող է լինել ֆիզիկական կամ իրավաբանական անձ: **1. Իրավաբանական անձ՝** որոշ նպատակի հասնելու համար ստեղծված, սեփական գույքն ունեցող կազմակերպված ձևավորում, որը սեփական գույքով ինքնուրույն է պատասխան տալիս, սեփական անունով է ձեռք բերում իրավունքներ և պարտավորություններ, գործարքներ է կնքում և կարող է դատարանում հանդես գալ որպես հայցվոր և որպես պատասխանող: Իրավաբանական անձը կարող է լինել՝ կորպորատիվ կազմակերպված, անդամության վրա հիմնված, անդամների վիճակից կախված կամ դրանից անկախ, և զբաղվել գործարարությամբ կամ ոչ: **2. Ֆիզիկական անձ՝** առանձին անձ (մարդ), որը քաղաքացիական իրավունքի սուբյեկտ է հանդիսանում:

**პირობითი გარიგება** – გარიგება, რომელიც დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება ამ მოვლენის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა - ამ მოვლენის დადგომისთანავე.
ՊԱՅՄԱՆԱԿԱՆ ԳՈՐԾԱՐՔ – գործարք, որը կախված է ապագա և անհայտ պարագայից այն առումով, որ կամ գործարքի հետաձգվում է կատարումը մինչև այդ պարագայի հայտնվելը, կամ ընդհատվում է գործարքը՝ անմիջապես այդ պարագայի հայտնվելուց հետո:
**პირობითი მსჯავრი** – სასჯელის ჩათვლა პირობითად, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება და სასამართლო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ამ მსჯავრს დაადგენს პირობითად.

ՊԱՅՄԱՆԱԿԱՆ ԴԱՏԱՎՃԻՌ – պատժի պայմանական համարելը, երբ կողմերի միջև դատավարական համաձայնություն է կնքված, և դատարանն իր իրավասության սահմաններում դատավճիռը պայմանական է ճանաչում:
**პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები** - მოქალაქეთა ის უფლებები, რომლებიც ეხება მათ მიერ მონაწილეობის მიღებას სახელმწიფოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მართვაში. მაგალითად, მოქალაქეთა საარჩევნო უფლება, პოლიტიკური გაერთიანების შექმნის უფლება და ის სხვა უფლებები რომელიც აღიარებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციით.

ՔԱՂԱՔԱԿԱՆ ԻՐԱՎՈՒՆՔՆԵՐ ԵՎ ԱԶԱՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ – քաղաքացիների այն իրավունքները, որոնք վերաբերում են պետության հասարակական և քաղաքական կառավարման մեջ վերջիններիս մասնակցությանը: Օրինակ՝ քաղաքացիների ընտրական իրավունքը, քաղաքական միություն ստեղծելու իրավունքը և այլ իրավունքներ, որոնք ճանաչված ու երաշխավորված են Վրաստանի սահմանադրությամբ:

**პოლიცია** - საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად უფლებამოსილი სამართალდამცავი ორგანო, რომლის უფლებამოსილებანი და ვალდებულებანი განისაზღვრება საქართველოს კანონით „პოლიციის შესახებ”.

ՈՍՏԻԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ – հասարակական կարգը պահպանելու իրավունքով լիազորված իրավապահ մարմին, որի իրավասությունները և պարտավորությունները սահմանված են «Ոստիկանության վերաբերյալ» Վրաստանի օրենքով:
**პოტენციურად საშიში პროდუქცია ან ტვირთი** - ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური ფაქტორების შემცველი პროდუქცია ან ტვირთი, რომელიც ახდენს ან შეიძლება მოახდინოს მავნე ზეგავლენა ადამიანის, მომავალი თაობების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.

ՊՈՏԵՆՑԻԱԼ ՎՏԱՆԳ ՊԱՐՈՒՆԱԿՈՂ ԱՐՏԱԴՐԱՆՔ ԿԱՄ ԲԵՌ – ֆիզիկական, քիմիական կամ կենսաբանական գործոններ ընդգրկող արտադրություն կամ բեռ, որը վնասակար ազդեցություն է գործում կամ կարող է գործել մարդու, ապագա սերունդների կյանքի և առողջության վրա:
**პრევენცია** - თავიდან არიდება, გამაფრთხილებელი მოქმედებები, წინასწარი ღონისძიებები რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად.

ԿԱՆԽԱՐԳԵԼՈՒՄ – խուսափելը, կանխարգելիչ գործողություններ կատարելը, նախօրոք միջոցառումներ անցկացնելը՝ որևէ անցանկալի երևույթից խուսափելու, այն կանխելու համար:
**პრეზუმფცია** - ჭეშმარიტებად მიჩნეული ვარაუდი საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე.

ԿԱՆԽԱՎԱՐԿԱԾ- որպես ճշմարտություն ընդունվող ենթադրություն, քանի դեռ հակառակ ենթադրությունը չի հաստատվել:
**პრეიუდიცია** - ვითარება, როდესაც ფაქტობრივი გარემოებები არ საჭიროებენ მტკიცებას. პრეიუდიციული ძალის მქონეა საყოველთაოდ

აღიარებული ფაქტები, ასევე ის ფაქტები, რომლებიც დადგენილია სასამართლოს მიერ სხვა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით.

**ԿԱՆԽՈՐՈՇԻՉ** - իրավիճակ, երբ փաստական հանգամանքները հաստատում չեն պահանջում: Կանխորոշիչ ուժ ունեն հանրաճանաչ փաստերը, նաև այն փաստերը, որոնք պարզվում են դատարանի կողմից՝ այլ գործի վերաբերյալ կայացված որոշմամբ:

**პრეკურსორი** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით - ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონოდ დამზადებისას.

**ՊՐԵԿՈՒՐՍՈՐ** – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ՝ բնական կամ համադրական ծագում ունեցող նյութ, որը կարող է օգտագործվել Վրաստանում հատուկ հսկողության ենթարկվող թմրամիջոցների և հոգեմետ նյութերի ապօրինի պատրաստման ժամանակ:

**პრეროგატივა** - პირის პრივილეგია, განსაკუთრებული უფლებამოსილებით განახორციელოს ( ან არ განახორციელოს ) რაიმე ქმედება.

**ԱՌԱՆՁՆԱՇՆՈՐՀ** – անձի արտոնությունը՝ արտակարգ իրավասությամբ իրագործելու կամ չիրագործելու որևէ գործողություն:

**პრეცედენტი** - იდენტურ ან მსგავს დავაზე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სარეკომენდაციო ხასიათისაა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლისათვის.

**ՆԱԽԱԴԵՊ** – նույնական կամ նմանություն ունեցող վեճի վերաբերյալ վերադաս ատյանի դատարանի կողմից կայացված դատավճիռը, որը, Վրաստանի օրենսդրության համաձայն, հանձնարարական բնույթ ունի ստորադաս ատյանի դատարանի դատավորի համար:

**პრივატიზება** - ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა, რის შედეგადაც სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, ხოლო სახელმწიფო ორგანოები მისი მართვის უფლებას.

**ՍԵՓԱԿԱՆԱՇՆՈՐՀՈՒՄ** – ֆիզիկական և իրավաբանական անձանց կամ նրանց միությունների կողմից պետական գույքի սեփականության իրավունքի ձեռքբերումը, ինչի հետևանքով պետությունը կորցնում է սեփականաշնորհված գույքին տիրելու, օգտագործելու և տնօրինելու, իսկ պետական մարմինները՝ այն կառավարելու իրավունքը:

**პრინციპალი**- საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად ის პიროვნება, რომლის სახელითაც მოქმედებს აგენტი, წარმომადგენელი, აგრეთვე, ძირითადი მოვალე. პრინციპალი ბენეფიციარის მოვალეა ძირითადი

ვალდებულების მიხედვით და მას აქვს შესაძლებლობა მიმართოს ბანკს ან სხვა საკრედიტო დაწესებულებას და დადგეს ვალდებულების შესრულების გარანტად.

ՊՐԻՆՑԻՊԱԼ (սկզբունքային) – Վրաստանի քաղաքացիական օրենսդրության համաձայն՝ այն անձնավորությունը, որի անունից գործում են գործակալը, ներկայացուցիչը, ինչպես նաև գլխավոր պարտապանը: Պրինցիպալը օգտառուի պարտապանն է՝ հիմնական պարտավորության համաձայն, և բանկին կամ մեկ այլ վարկային հաստատության դիմելու և պարտավորության կատարման երաշխիք դառնալու հնարավորություն ունի:

**პრობაციის ბიურო -** მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მის მიმართ გამოცემული სამართლებრივი აქტების, აღმასრულებელი ბიურო საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

ՓՈՐՁԱՇՐՋԱՆԻ (պրոբացիայի) ԲՅՈՒՐՈ – ըստ դատապարտյալի բնակավայրի՝ նրա նկատմամբ հրապարակված իրավական ակտերի գործադիր բյուրո՝ Վրաստանի օրենսդրության համաձայն:

**პრობაციის ეროვნული სააგენტო** - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია და დანაშაულის პრევენცია.

ՓՈՐՁԱՇՐՋԱՆԻ (պրոբացիայի) ԱԶԳԱՅԻՆ ԳՈՐԾԱԿԱԼՈՒԹՅՈՒՆ – Վրաստանի դատակատարողական, պրոբացիայի և իրավաբանական օգնության նախարարության կառավարման ոլորտում գործող հանրային իրավունքի իրավաբանական անձ, որի գործունեության հիմնական ուղղությունն է հանդիսանում պայմանական դատապարտյալների վերահանրայնացումը, վերականգնումը և հանցագործության կանխարգելումը:

**პროკურა –** გენერალური სავაჭრო მინდობილობა.

ՊՐՈԿՈՒՐԱ – գլխավոր առևտրական լիազորագիրը:

**პროკურატურა** - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში. მის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა. პროკურატურა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

ԴԱՏԱԽԱԶՈՒԹՅՈՒՆ – Վրաստանի արդարադատության նախարարության համակարգի մեջ մտնող պետական ենթակա հիմնարկություն, որը սեփական իրավասությունն իրագործում է Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված շրջանակներում: Դատախազության գլխավոր գործառույթն է հանդիսանում քրեական հետապնդման իրականացումը և հետաքննության դատավարական ղեկավարությունը: Դատախազությունը, Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ նախատեսված դեպքերում և սահմանված կարգով, անցկացնում է

հանցագործության լիակատար հետաքննությունը, դատարանում պաշտպանում է պետական մեղադրանքը:

**პროკურისტი** – გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი.

ՊՐՈԿՈՒՐԻՍՏ - գլխավոր առևտրական լիազորագրի սեփականատերը:

**პროკურორი** - უფლებამოსილი პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს. პროკურორი წარმოადგენს სახელმწიფო ბრალმდებელს. მას ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა. ასეთი პირებია მაგალითად: საქართველოს მთავარი პროკურორი, ქ. თბილისის პროკურორი, რაიონული პროკურორი და სხვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირები.

ԴԱՏԱԽԱԶ – իրավասու անձ, որն անմիջականորեն է իրագործում քրեական իրավունքի դատավարական օրենսդրությամբ նախատեսված գործառույթները: Դատախազը պետական մեղադրող է հանդիսանում: Նա ստանձնում է մեղադրանքը հաստատելու պարտավորությունը: Այդպիսիք են, օրինակ, Վրաստանի գլխավոր դատախազը, Թբիլիսի քաղաքի դատախազը, Շրջանային դատախազը և Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված այլ անձինք:

**პროტესტი** – პროკურორის მიერ წერილობით წარდგენილი დოკუმენტი, რომლითაც მან შეიძლება მოითხოვოს უკანონო ქმედების შეწყვეტა, დარღვეული უფლების აღდგენა და სხვა საქართველოს კანონმდბელობის შესაბამისი ქმედების განხორციელება.

ԲՈՂՈՔԱԳԻՐ – դատախազի կողմից գրավոր ձևով ներկայացված փաստաթուղթ, որով նա կարող է պահանջել անօրինական գործողության ընդհատումը, խախտված իրավունքի վերականգնումը և Վրաստանի օրենսդրությամբ նախատեսված այլ գործողության իրագործումը:

**პროფესიული კავშირი** - პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა (მუშაკთა) ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება (ორგანიზაცია), რომლის მიზანია მისი წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა.

ԱՐՀԵՍՏԱԿՑԱԿԱՆ ՄԻՈՒԹՅՈՒՆ – արհեստակցական շահերով կապված անձանց (աշխատողների) կամավոր հասարակական միությունը (կազմակերպությունը), որի նպատակն է դրա անդամների աշխատանքային, սոցիալ-տնտեսական և իրավական իրավունքների և շահերի պաշտպանումը և ներկայացուցչությունը:

**პროფესიული საიდუმლოება** - პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას.

ԱՐՀԵՍՏԱԿՑԱԿԱՆ ԳԱՂՏՆԻՔ - Արհեստակցական գաղտնիք է համարվում տեղեկատվությունը, որը հանդիսանում է ուրիշի անձնական կամ կոմերցիոն գաղտնիքը և անձին հայտնի է դարձել արհեստակցական պարտավորությունը կատարելու ժամանակ: Արհեստակցական գաղտնիք չի կարող լինել այնպիսի տեղեկատվությունը, որը չի հանդիսանում ուրիշի անձնական կամ կոմերցիոն գաղտնիքը:

**პროცესი (სასამართლო)** - სასამართლოში საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესი, სამართალწარმოება. სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოებას ეწოდება სისხლის სამართლის პროცესი, სამოქალაქო საქმეზე სამართალწარმოებას - სამოქალაქო პროცესი, ხოლო ადმინისტრაციულ საქმეზე სამართალწარმოებას - ადმინისტრაციული პროცესი.

**ՎԱՐՈՒՅԹ (դատական)** – դատարանում գործի քննման և դատական քննության կարգը, դատավարությունը: Քրեական գործի վերաբերյալ դատավարությունը կոչվում է քրեական դատավարություն, քաղաքացիական գործի վերաբերյալ դատավարությունը՝ քաղաքացիական դատավարություն, իսկ վարչական գործի վերաբերյալ դատավարությունը՝ վարչական դատավարություն:

**პროცესის მონაწილე** - საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით პროცესის მონაწილე შესაძლოა იყოს პროკურორი, გამომძიებელი, ადვოკატი, წარმომადგენელი, მხარე, მესამე პირი და სხვა პირი.

**ՎԱՐՈՒՅԹԻ ՄԱՍՆԱԿԻՑ** – Վրաստանի օրենսդրության համաձայն՝ վարույթի մասնակից կարող է լինել դատախազը, քննիչը, փաստաբանը, ներկայացուցիչը, կողմը, երրորդ անձը և այլ անձ:

**პროცესის ხარჯები** – ხარჯები, რომელიც მოიცავს სასამართლო ხარჯებსა და სასამართლოსგარეშე ხარჯებს.

ՎԱՐՈՒՅԹԻ ԾԱԽՍԵՐ – ծախսեր, որոնք ընդգրկում են դատարանի ծախսերը և դատարանից դուրս ծախսերը:

რ

**რაიონული (საქალაქო) სასამართლო** - წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს და პირი დავის გადაწყვეტისთვის მიმართავს ამ სასამართლოს პირველ რიგში. რაიონული (საქალაქო) სასამართლო იქმნება და მისი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. რაიონული სასამართლო იქმნება რაიონში ან რაიონებში, ხოლო საქალაქო სასამართლო იქმნება ქალაქში.

ՇՐՋԱՆԱՅԻՆ (քաղաքային) ԴԱՏԱՐԱՆ - հանդիսանում է առաջին ատյանի դատարան: Անձը վեճի լուծման համար առաջին հերթին դիմում է այդ դատարանին: Շրջանային (քաղաքային) դատարանն ստեղծվում է, և նրա գործելու տարածքը սահմանվում է Վրաստանի օրենսդրության հիման վրա: Շրջանային դատարանն ստեղծվում է շրջանում կամ շրջաններում, իսկ քաղաքային դատարանը՝ քաղաքում:

**რასიზმი** - რწმენა, ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისა, რომ რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობა შეიძლება იყოს უპატივცემულობის, ზიზღისა და დისკრიმინაციის საფუძველი განსხვავებული ჯგუფის მიმართ და ამართლებს თავისი ჯგუფის (ადამიანის) პრეტენზიას უპირატესობაზე (ბიოლოგიურ, პოლიტიკურ თუ რელიგიურ) სხვა დანარჩენ ადამიანებთან ან მათ ჯგუფებთან შედარებით.

**ՌԱՍԻԶՄ** – մարդու կամ մարդկանց խմբի համոզմունքն առ այն, թե ռասան, մաշկի գույնը, լեզուն, կրոնը, ազգային կամ էթնիկական ծագումը կարող են անհարգելի վերաբերմունքի, զզվանքի և խտրականության հիմք հանդիսանալ այլ խմբի նկատմամբ, որով և արդարացվում է սեփական խմբի (մարդու) առավելության (կենսաբանական, քաղաքական թե կրոնական) հավակնությունը մնացած մարդկանց կամ նրանց խմբերի համեմատությամբ:

**რასობრივი დისკრიმინაცია** - დანაშაული, რომელსაც პირი სჩადის ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების, ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით. რასობრივ დისკრიმინაციად ითვლება აგრეთვე რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება.

**ՌԱՍԱՅԱԿԱՆ ԽՏՐԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ** – հանցագործություն, որն անձը գործում է ազգային կամ ռասայական թշնամություն կամ երկպառակտություն սերմանելու, ազգային հարգանքը և արժանապատվությունը ստորացնելու նպատակով: Ռասայական խտրականություն է համարվում նաև ռասայի, մաշկի գույնի, սոցիալական պատկանելության, ազգային կամ էթնիկական ծագման պատճառով մարդու իրավունքների ուղղակի կամ անուղղակի խախտումը, կամ նույն նշանով մարդուն առավելություն ընձեռնելը:

**რეალაქტი** - ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება, რომელიც არ არის დაკავშირებული სამართლებრივი აქტის გამოცემასთან (მაგ. პოლიციის მუშაკის მიერ სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგება).

**ՌԵԱԼԱԿՏ** - Վարչական մարմնի գործողությունը կամ գործողությունից ձեռնպահ մնալը, ինչը կապ չունի իրավական ակտի հրապարակման հետ (օր.՝ ոստիկանի կողմից փոխադրամիջոցների շարժման կարգավորումը):

**რეალიზაცია** – 1. რაიმეს განხორციელება (მაგ. ქმედების). 2. გაყიდვა (მაგ. შენობის).

**ԻՐԱՑՈՒՄ** –1. որևէ բան իրագործելը ( օր.՝ գործողություն), 2. որևէ բան վաճառելը (օր.՝ շենք):

**რევერსია** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით თავდაპირველი მფლობელისთვის ქონების დაბრუნება. ვალდებულების უზრუნველსაყოფად რაიმე ფასეულობის კრედიტორისთვის დროებით გადაცემა, რომელიც ვალდებულების დაფარვის შემდგომ დაბრუნებას ექვემდებარება.

**ՌԵՎԵՐՍԻԱ (վերադարձնելու իրավունք)** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ սեփականության վերադարձը նախկին տիրոջը: Պարտավորության ապահովման համար հնարավոր է վարկատուին ժամանակավոր փոխանցել որևէ թանկարժեք իր, որը վերադարձի ենթակա է պարտավորությունը մարելուց հետո:

**რეზიდენტი** – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, პირი რომელიც მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში, ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს უწყვეტად, ერთი წლის განმავლობაში.

**ՌԵԶԻԴԵՆՏ** - Վրաստանի հարկային օրենսդրության համաձայն, անձ, որը հարկային տարվա ընթացքում, 183 օր կամ ավելի երկար ժամանակ անընդհատ, մի տարվա ընթացքում փաստորեն գտնվում է Վրաստանի տարածքում:

**რეინტეგრაცია მოქალაქეობის** - მოქალაქეობის აღდგენის გაადვილებული წესი იმ პირთათვის, რომლებმაც რაიმე მიზეზით დაკარგეს თავისი სახელმწიფოს მოქალაქეობა.

**ՔԱՂԱՔԱՑԻՈՒԹՅԱՆ ՎԵՐԱԻՆՏԵԳՐՈՒՄ** – քաղաքացիության վերականգնման պարզեցված կարգը այն անձանց համար, ովքեր որևէ պատճառով կորցրել են սեփական պետության քաղաքացիությունը:

**რეკეტი** – შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა.

**ԲՌՆԱՇՈՐԹՈՒՄ** – սիստեմատիկ կերպով եկամուտ կամ այլ գույքային շահ ստանալու նպատակով կատարված բազմիցս կրկնվող և կազմակերպված գործողություն, որը առնչվում է կանխամտածված հանցագործության հետ (եթե դատվածությունը ճանաչված չէ չեղյալ կամ հանված չէ), եթե դա տեղի է ունեցել գոնե երկու անգամ օրացուցային տարվա ընթացքում, որի մեջ չի մտնում բռնաշորթողի բանտարկման և պատիժ կրելու ժամկետը:

**რეკეტული ქონება -** რეკეტიდან მიღებული ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რეკეტიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება, აგრეთვე რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

**ԲՌՆԱՇՈՐԹԱՅԻՆ ԳՈՒՅՔ** – բռնաշորթումից ստացված գույքը, այդ գույքից ստացված եկամուտը, բռնաշորթումից ստացված եկամուտով ձեռք բերված գույքը, նաև բռնաշորթական խմբավորման, բռնաշորթի, բռնաշորթի ընտանիքի անդամի,

մոտիկ ազգականի կամ նրա հետ կապված անձի եկամուտը, գույքը կամ գույքից ստացված եկամուտը, որի՝ օրինաչափ միջոցներով գոյացումը հաստատող փաստ կամ այլ ապացույց գոյություն չունի:
**რეკლამაცია (პრეტენზია)** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, პრეტენზია პროდუქციის დამამზადებლის მიმართ, მისი დაბალი ხარისხის ან დაუკომპლექტებლობის გამო, რაც გაფორმებულია სათანადო აქტით.

**ՀԱՎԱԿՆՈՒԹՅՈՒՆ (պահանջ)** – Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն, հավակնություն արտադրանք պատրաստողի նկատմամբ, դրա ցածր որակի կամ չհամալրված լինելու պատճառով, ինչը ձևակերպված է համապատասխան ակտով:

**რეორგანიზაცია (საწარმოს)** – ცვლილებები საწარმოს სამართლებრივ ფორმირებაში, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს გარდაქმნით, საწარმოთა შერწყმით ან გაყოფით.
**ՎԵՐԱԿԱԶՄԱՎՈՐՈՒՄ (ձեռնարկության)** – ձեռնարկության իրավական ձևավորման փոփոխումները, ինչը կարող է իրականացվել վերափոխմամբ, ձեռնարկությունների միաձուլմամբ կամ բաժանմամբ:

**რეპარაცია** - სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

**ՓՈԽՀԱՏՈՒՑՈՒՄ (ռեպարացիա)** – իրավախախտման հետևանքով պատճառված վնասը հատուցելը:
**რეპლიკა** – სასამართლოს სხდომაზე, მხარეთა ხელმეორედ სიტყვით გამოსვლის უფლება, მას შემდეგ, რაც პაექრობის ყოველი მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას. უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის ეკუთვნით მოპასუხეს და მის წარმომადგენელს.

**ՌԵՊԼԻԿԱ (առարկություն)**– դատական նիստի ժամանակ կողմերի՝ երկրորդ անգամ ելույթ ունենալու իրավունքը, երբ բանավեճի յուրաքանչյուր կողմն արդեն ասել է իր խոսքը: Վերջին առարկության իրավունքը միշտ պատկանում է պատասխանողին և նրա ներկայացուցչին:
**რესტიტუცია** - პირვანდელი უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა, ქონების დაბრუნება. სახელშეკრულებო ურთიერთობებში რესტიტუცია ხდება ხელშეკრულებიდან მხარეთა გასვლისას, რათა ისინი ამ ხელშეკრულების დადებამდე არსებულ ვითარებას დაუბრუნდნენ.

**ՌԵՍՏԻՏՈՒՑԻԱ (իրավունքների վերականգնում)** – նախկին իրավական վիճակի վերականգնումը, գույքը վերադարձնելը: Պայմանագրային հարաբերություններում, երբ կողմերը դուրս են գալիս պայմանագրից, ռեստիտուցիան տեղի է ունենում, որպեսզի նրանք վերադառնան մինչև այդ պայմանագրի կնքումը եղած վիճակին:

**რეფერენდუმი** – საყოველთაო და სახალხო კენჭისყრა ამა თუ იმ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად, რომელზეც საზოგადოება აფიქსირებს თავის დადებით ან უარყოფით მოსაზრებას. მასში

მონაწილეობას იღებს ყველა, ვისაც აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება.

ՀԱՆՐԱՔՎԵ – համընդհանուր և ժողովրդական քվեարկություն՝ պետական կարևորության այս կամ այն հարցի լուծման նպատակով, որի վերաբերյալ հասարակությունն արձանագրում է իր դրական կամ բացասական դիրքորոշումը: Հանրաքվեին մասնակցում են բոլորը, ովքեր քվեարկություններին մասնակցելու իրավունք ունեն:
ს

**საავტორო უფლება** – იმ უფლებათა ერთობლიობა, რომელიც ეკუთვის ხელოვნების, მეცნიერებისა თუ სხვა სახის ნაწარმოების შემქმნელს (აგრეთვე მემკვიდრეს), მის მიერ შექმნილ ნაშრომზე.

ՀԵՂԻՆԱԿԱՅԻՆ ԻՐԱՎՈՒՆՔ – այն իրավունքների ամբողջությունը, որը պատկանում է մշակութային, գիտական կամ այլ տեսակի ստեղծագործությունների հեղինակին (նաև ժառանգին)՝ իր ստեղծած աշխատանքի վերաբերյալ:
**სააპელაციო სასამართლო** - მეორე ინსტანციის სასამართლო, რომელიც განიხილავს სააპელაციო საჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე.

ՎԵՐԱՔՆՆԻՉ ԴԱՏԱՐԱՆ – երկրորդ ատյանի դատարան, որը քննում է վերաքննման բողոքները առաջին ատյանի դատարանի կայացրած որոշումների վերաբերյալ:
**სააპელაციო საჩივარი** - პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის აუცილებელი დოკუმენტი, რომელსაც ადგენს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარე. ეს საჩივარი წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის საფუძველს .

ՎԵՐԱՔՆՆԻՉ ԲՈՂՈՔ – առաջին ատյանի դատարանի դատավճռի բողոքարկման համար անհրաժեշտ փաստաթուղթ, որը կազմում է որոշումից դժգոհ կողմը: Այդ բողոքը հանդիսանում է վերաքննիչ դատարանի կողմից գործի քննման հիմքը:
**საარბიტრაჟო პრეტენზია** - წარმოადგენს საარბიტრაჟო დავის განხილვის დაწყების საფუძველს კანონის თანახმად. ზოგადი წესის მიხედვით, მასში უნდა აისახოს მხარის მოთხოვნა და ის გარემოებები, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს, ასევე, მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს.

ԱՐԲԻՏՐԱԺԱՅԻՆ ՀԱՎԱԿՆՈՒԹՅՈՒՆ - արբիտրաժային վեճն սկսելու հիմք է հանդիսանում՝ օրենքի համաձայն: Ըստ ընդհանուր կարգի՝ դրա մեջ պետք է արտացոլվեն կողմի պահանջը և այն հանգամանքները, որոնց վրա հիմնված են նրա պահանջները, ինչպես նաև ապացույցները, որոնք հաստատում են այդ հանգամանքները:
**საარჩევნო უფლება** – არსებობს პასიური და აქტიური საარჩევნო უფლება, რომელთაგან: **1. აქტიური საარჩევნო უფლება** გულისხმობს მოქალაქის უფლებას მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი პირის ასარჩევად; ხოლო, **2. პასიური საარჩევნო უფლება** გულისხმობს მოქალაქის უფლებას, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.

**ԸՆՏՐԱԿԱՆ ԻՐԱՎՈՒՆՔ** – գոյություն ունեն պասիվ և ակտիվ ընտրական իրավունքներ, որոնցից. 1. **ակտիվ ընտրական իրավունքը** ենթադրում է քաղաքացու՝ հանրային իշխանությունը ներկայացնող անձի ընտրություններին մասնակցելու իրավունքը, իսկ 2. **պասիվ ընտրական իրավունքը** ենթադրում է քաղաքացու՝ հանրային իշխանության պաշտոնը զբաղեցնելու համար քվեարկությանը մասնակցելու իրավունքը:
**სააქციო საზოგადოება** – იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმო (კომპანია). საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

**ԲԱԺՆԵՏԻՐԱԿԱՆ ԸՆԿԵՐՈՒԹՅՈՒՆ** – իրավաբանական անձի կարգավիճակ ունեցող ձեռնարկություն (ընկերություն): Ընկերություն, որի կապիտալը բաժանված է կանոնադրությամբ սահմանված կարգի և քանակի բաժնետոմսերի: Բաժնետիրական ընկերության պատասխանատվությունն իր վարկատուների առջև սահմանափակվում է այդ ընկերության ամբողջ գույքով: Բաժնետիրական ընկերության վարկատուն պատասխանատու չէ ընկերության պարտավորությունների համար: Բաժնետիրական ընկերություն հիմնադրելիս կարող է սահմանվել ցանկացած քանակի կապիտալ:
**საბანკო გარანტია** (რწმუნებულება) – კლიენტისაგან სესხის დროულად არგადახდის შემთხვევაში, ბანკის მიერ გადახდის ვალდებულების აღება. გარანტია წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც ფულადი ფორმითაა გამოხატული. თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კრედიტორის წინაშე მოვალე და გარანტი (რწმუნებული) პასუხს აგებენ სოლიდარულად. გარანტია ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს.

**ԲԱՆԿԱՅԻՆ ԵՐԱՇԽԻՔ (լիազորություն)** – հաճախորդի կողմից վարկը ժամանակին չվճարելու դեպքում՝ բանկի կողմից վճարելու պարտավորությունն իր վրա վերցնելը: Երաշխիքը հանդիսանում է պարտավորություն, որը դրամական ձև ունի: Եթե օրենքով կամ պայմանագրով այլ բան նախատեսված չէ՝ վարկատուի առջև պարտատերը և երաշխավորողը (լիազորը) հավասարաչափ պատասխանատվություն են կրում: Երաշխիքն ունի անհապաղ և անպայման բնույթ:
**საბოტაჟი** – სახელმწიფოს ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან რაიმე სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა.
**ՍԱԲՈՏԱԺ (նենգադուլ)** – պետության կամ ձեռնարկության, հիմնարկության, կազմակերպության կամ որևէ ծառայության նորմալ գործունեությանը խոչընդոտելը:

**საბრალდებო დასკვნა** - პროკურორის მიერ წინასწარი გამოძიების დასრულებისას შედგენილი საპროცესო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც სისხლის სამართლის საქმე სასამართლოს გადაეცემა არსებითად განსახილველად.

**ՄԵՂԱԴՐԱԿԱՆ ԵԶՐԱԿԱՑՈՒԹՅՈՒՆ** – դատախազի կողմից նախնական հետաքննությունն ավարտելիս կազմված դատավարական որոշում, որի հիման վրա քրեական գործն ըստ էության քննելու կփոխանցվի դատարանին:
**საგადასახადო აგენტი –** პირი, რომელმაც საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება.
**ՀԱՐԿԱՅԻՆ ԳՈՐԾԱԿԱԼ** – անձ, որը Վրաստանի հարկային օրենսգրքով սահմանված դեպքում և սահմանված կարգով պետք է կատարի հարկատուի հարկային պարտավորությունը:
**საგადასახადო დეკლარაცია** – პირის ანგარიშგება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გამოანგარიშების შესახებ.

**ՀԱՐԿԱՅԻՆ ՀՌՉԱԿԱԳԻՐ** – անձի հաշվետվությունը՝ Վրաստանի հարկային օրենսգրքով սահմանված հարկի հաշվարկման վերաբերյալ:
**საგადასახადო ვალდებულება** – პირის ვალდებულება, გადაიხადოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შემოღებული გადასახადი.
**ՀԱՐԿԱՅԻՆ ՊԱՐՏԱՎՈՐՈՒԹՅՈՒՆ** – անձի պարտավորությունը, ըստ որի՝ նա պետք է վճարի Վրաստանի հարկային օրենսգրքով հաստատված և տեղական ինքնավարության ներկայացուցչական մարմնի կողմից ընդունված հարկը:

**საგადასახადო მოთხოვნა** – საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა საქართველოს საგადასაადო კოდექსით დადგენილი წესით.

**ՀԱՐԿԱՅԻՆ ՊԱՀԱՆՋ** – հարկային մարմնի անհատական վարչա-իրավական ակտը, որը կատարելը պարտադիր է՝ Վրաստանի հարկային օրենսգրքով սահմանված կարգով:
**საგადასახადო ომბუდსმენი** – პირი, რომელიც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.

**ՀԱՐԿԱՅԻՆ ՕՄԲՈՒԴՍՄԵՆ** – անձ, որը վերահսկում է Վրաստանի տարածքում հարկատուների իրավունքների և օրինական շահերի պաշտպանությունը, բացահայտում է դրանց խախտման փաստերը, նպաստում է խախտված իրավունքների վերականգնմանը:
**საგადასახადო ორგანო** - ორგანო, რომელიც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე და მის შესაბამისად ახორციელებს თავის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებს, მათ შორის გადასახადების ადმინისტრირებას.

**ՀԱՐԿԱՅԻՆ ՄԱՐՄԻՆ** - մարմին, որը Վրաստանի հարկային օրենսդրության հիման վրա և դրա համապատասխան՝ իրագործում է սեփական իրավասությունների շրջանակներում գտնվող հարցերը, այդ թվում հարկերի կառավարումը:

**საგადასახადო პერიოდი** – დროის მონაკვეთი, რომლითაც განისაზღვრება პირის საგადასახადო ვალდებულება კონკრეტული გადასახადის მიხედვით.

ՀԱՐԿԱՅԻՆ ԺԱՄԱՆԱԿԱՀԱՏՎԱԾ – ժամանակահատված, որով սահմանվում է անձի հարկային պարտավորությունն ըստ կոնկրետ հարկի:

**საგადასახადო სანქცია** – პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულია ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის.

ՀԱՐԿԱՅԻՆ ՊԱՏԺԱՄԻՋՈՑ – պատասխանատվության չափ, որը Վրաստանի հարկային օրենսդրության համաձայն՝ սահմանված է կատարված իրավախախտման համար:

**საგადასახადო შეღავათი** – იურიდიული ან ფიზიკური პირების მთლიანი ან ნაწილობრივი განთავისუფლება გადასახადებისაგან, რომელსაც აწესებს სახელმწიფო.

ՀԱՐԿԱՅԻՆ ԱՐՏՈՆՈՒԹՅՈՒՆ – իրավաբանական կամ ֆիզիկական անձանց ամբողջովին կամ մասնակի ազատվելը հարկերից, ինչը հաստատում է պետությունը:

**საგადასახადო წელი** – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კალენდარული წელი.

ՀԱՐԿԱՅԻՆ ՏԱՐԻ – Վրաստանի հարկային օրենսդրության համաձայն՝ օրացուցային տարի:

**საგამოძიებო კოლეგია** - სააპელაციო სასამართლოს სტრუქტურული ერთეული, სადაც მოსამართლე განიხილავს საჩივრებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მის შესაბამისად.

ՔՆՆՉԱԿԱՆ ԿՈԼԵԳԻԱ - վերաքննիչ դատարանի կառուցվածքային միավորը, որտեղ դատավորը քննում է բողոքները՝ Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված կարգով և դրա համաձայն:

**საგამოძიებო მოქმედება** - საპროცესო მოქმედება, რომელიც ტარდება მტკიცებულებათა შეკრების უზრუნველსაყოფად. საგამოძიებო მოქმედებას განეკუთვნება მაგ. დაკითხვა, ამოღება, ჩხრეკა, დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ჩვენების ადგილზე შემოწმება და სხვა.

ՔՆՆՉԱԿԱՆ ԳՈՐԾՈՂՈՒԹՅՈՒՆ - դատավարական գործողություն, որն անցկացվում է ապացույցների ժողովումն ապահովելու նպատակով: Քննչական գործողություն է, օր., հարցաքննությունը, առգրավումը, խուզարկությունը, զննումը, քննչական փորձը, ցուցմունքի ստուգումը տեղում և այլն:

**საგანგებო მდგომარეობა** - განსაკუთრებული მდგომარეობა, რომლის დროსაც სახელმწიფოს არსებობას საფრთხე ემუქრება. საგანგებო მდგომარეობა ოფიციალურად ცხადდება სახელმწიფოს მიერ. ასეთი მდგომარეობის შექმნა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ისეთმა გარემოებამ, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ქვეყანაში.

ԱՐՏԱԿԱՐԳ ԻՐԱՎԻՃԱԿ - առանձնահատուկ իրավիճակ, երբ պետության գոյությանը վտանգ է սպառնում: Արտակարգ իրավիճակը պաշտոնապես հայտարարվում է պետության կողմից: Նման իրավիճակ կարող է առաջանալ այնպիսի տարբեր հանգամանքների հետևանքով, որոնք լուրջ վտանգ են ստեղծում երկրի հասարակական կարգուկանոնին:

**საერთაშორისო დანაშაული** - სახელმწიფოს ან ინდივიდის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის შედეგად ირღვევა საერთაშორისო მშვიდობა ან ხალხთა უშიშროება. საერთაშორისო დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნებიან: მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები (აგრესია, აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება, გაჩაღება და წარმოება); ომის დანაშაულები (ომის კანონებისა და ჩვეულებათა დარღვევა - ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის განადგურება, წამება, სამხედრო ტყვეთა წამება და მკვლელობა, დამონება, მძევალთა მკვლელობა, სახელმწიფო ან კერძო საკუთრების გაძარცვა, სამოქალაქო მოსახლეობით დასახლებული პუნქტების განადგურება და სხვ.); დანაშაულები ადამიანურობის წინააღმდეგ (სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი განადგურება, წამება და სხვ.).

ՄԻՋԱԶԳԱՅԻՆ ՀԱՆՑԱԳՈՐԾՈՒԹՅՈՒՆ - պետության կամ անհատի կողմից իրականացված հակաիրավական գործողություն, որի հետևանքով խախտվում է միջազգային խաղաղությունը կամ ժողովուրդների անվտանգությունը: Միջազգային հանցագործությունների թվին են պատկանում. խաղաղության և մարդկության դեմ իրականացված հանցագործությունները (ագրեսիա, ագրեսիվ պատերազմի պլանավորում, կազմակերպում, հրահրում և վարում), պատերազմական հանցագործությունները (պատերազմական օրենքների և սովորույթների խախտումը՝ զավթած տարածքի բնակիչների ոչնչացում, խոշտանգում, ռազմագերիների խոշտանգում և սպանություն, ստրկացում, պատանդների սպանություն, պետական կամ մասնավոր սեփականության կողոպտում, քաղաքացիական բնակչությամբ բնակեցված վայրերի ոչնչացում և այլն), մարդկության դեմ գործած հանցագործությունները (քաղաքացիական բնակչության զանգվածային ոչնչացում, խոշտանգում և այլն):

**საერთო საკუთრება** – თანასაკუთრება, რომელიც არსებობს თანაზიარი და წილადი სახით. საერთო საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე.

ԸՆԴՀԱՆՈՒՐ ՍԵՓԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ – համատեղ սեփականություն, որը գոյություն ունի ընկերովի և փայատիրական ձևով. Ընդհանուր սեփականությունը առաջանում է օրենքի ուժով կամ գործարքի հիման վրա:

**საერთო სასამართლოები** – საქართველოში საერთო სასამართლოები ერთიან სისტემას წარმოადგენს, რომელიც შედგება რაიონული (საქალაქო) სასამართლოსაგან, სააპელაციო სასამართლოსაგან და უზენაესი სასამართლოსაგან.

ԸՆԴՀԱՆՈՒՐ ԴԱՏԱՐԱՆՆԵՐ – Վրաստանում ընդհանուր դատարանները միասնական հանդիսանում են համակարգ, որը կազմված է շրջանային (քաղաքային) դատարանից, վերաքննիչ դատարանից և գերագույն դատարանից:

**სავალდებულო წილი** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით წილი, რომელიც ანდერძის მიუხედავად, ეკუთვნის მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს. სავალდებულო წილი უნდა

იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

**ՊԱՐՏԱԴԻՐ ՄԱՍՆԱԲԱԺԻՆ** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ այն մասնաբաժինը, որը, չնայած կտակին, պատկանում է կտակարարի երեխաներին, ծնողներին և ամուսնուն: Պարտադիր մասնաբաժինը պետք է լինի այն մասնաբաժնի կեսը, որը նրանցից յուրաքանչյուրին հասնում էր օրենքով ժառանգության դեպքում:
**საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა** – სასჯელის სახე, რომელიც დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით და გულისხმობს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას. მის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო.

**ՀԱՆՐՕԳՈՒՏ ԱՇԽԱՏԱՆՔ** – պատժի տեսակ, որը սահմանված է Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրությամբ և ենթադրում է ամբաստանյալի անվարձ աշխատանք: Դրա տեսակը սահմանում է պրոբացիայի բյուրոն:
**საზოგადოებრივი ექსპერტი** – საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო (საექსპერტო) ორგანოები. ასეთ ექსპერტად ჩაითვლება აგრეთვე საზოგადოებრივი საექსპერტო დაწესებულების წევრი.

**ՀԱՍԱՐԱԿԱԿԱՆ ՓՈՐՁԱԳԵՏ** – Վրաստանի վարչական օրենսդրության հիման վրա՝ ֆիզիկական կամ իրավաբանական անձ, ինչպես նաև վարչական մարմնի կողմից օրենսդրությամբ սահմանված կարգով ստեղծված գիտա-խորհրդատվական (փորձագիտական) մարմիններ: Այսպիսի փորձագետ է համարվում նաև հասարակական փորձագիտական հաստատության անդամը:
**საზოგადოებრივი წესრიგი** - საზოგადოების წევრთა მშვიდობიანი თანაარსებობა, როდესაც ადგილი არა აქვს მტრულ მოქმედებას, აჯანყებას, ამბოხებას, ან სხვა ქმედებას, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს ყოველდღიური ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრება.

**ՀԱՍԱՐԱԿԱԿԱՆ ԿԱՐԳ** - հասարակության անդամների խաղաղ համագոյակցությունը, երբ տեղի չի ունենում թշնամական գործողություն, ապստամբություն, կամ այլ գործողություն, որը կարող է խախտել ամենօրյա նորմալ հասարակական կյանքը:
**საიდენტიფიკაციო ნომერი** – გადასახადის გადამხდელისათვის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მიკუთვნებული ნომერი.
**ՆՈՒՅՆԱԿԱՆԱՑՄԱՆ ՀԱՄԱՐԱՆԻՇ** – Վրաստանի հարկային օրենսդրության համաձայն՝ հարկատուին տրված համարանիշ:

**საიდუმლო ინფორმაცია** - საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

**ԳԱՂՏՆԻ ՏԵՂԵԿԱՏՎՈՒԹՅՈՒՆ** - հանրային հաստատությունում պահպանված, ինչպես նաև հանրային հաստատության կամ աշխատողի կողմից

աշխատանքային գործունեության վերաբերյալ ստացված, մշակված, ստեղծված կամ ուղարկված տեղեկատվություն, որը պարունակում է պետական, կոմերցիոն կամ անձնական գաղտնիք:

**საიდუმლოების გაცემა** - საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნისათვის, უცხო ქვეყნის ორგანიზაციისთვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების მიწოდება ან მისი საჯაროდ გამჟღავნება, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ასეთი საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ԳԱՂՏՆԻՔ ՀԱՅՏՆԵԼ - ի վնաս Վրաստանի պետական շահերի՝ օտար երկրին, օտար երկրի կազմակերպությանը կամ դրանց ներկայացուցչին Վրաստանի պետական գաղտնիքը հայտնելը կամ հրապարակավ բացահայտելը՝ այն անձի կողմից, ով այդ գաղտնիքին տիրապետում էր իր աշխատանքային վիճակի շնորհիվ, կամ՝ ում հայտնել են այդ գաղտնիքը հատուկ հանգամանքների բերումով:

**საკანონმდებლო ხელისუფლება** – ხელისუფლების შტო, რომელიც ახორციელებს კანონშემოქმედებით საქმიანობას, სხვა მისთვის დაკისრებულ უფლება – მოვალეობებთან ერთად (პარლამენტი).

ՕՐԵՆՍԴՐԱԿԱՆ ԻՇԽԱՆՈՒԹՅՈՒՆ – իշխանության ճյուղ, որն իրականացնում է օրինաստեղծ գործունեություն՝ իրեն հանձնարարված այլ իրավունքների և պարտականությունների հետ միասին:

**საკასაციო საჩივარი** - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარის მიერ შედგენილი საჩივარი, რომლის საფუძველზეც საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გადასინჯავს.

ՎՃՌԱԲԵԿ ԲՈՂՈՔ - վերաքննիչ դատարանի որոշումից դժգոհ կողմի կազմած բողոքը, որի հիման վրա վճռաբեկ դատարանը վերանայում է վերաքննիչ դատարանի որոշումը:

**საკონტროლო შესყიდვა** – ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის ან ოპერატიული-სამძებრო ორგანოს მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგნის ან ნივთიერების შეძენა ანდა შეძენის სიტუაციის შექმნა (მისი გასაღების ან მოხმარების მიზნის გარეშე).

ՎԵՐԱՀՍԿԻՉ ԳՆՈՒՄՆԵՐ – օպերատիվ աշխատողի, քննիչի կամ օպերատիվ-հետաքննական մարմնի կողմից օպերատիվ տեղեկատվության հիման վրա առարկայի կամ նյութի ձեռքբերում կամ ձեռքբերման իրավիճակի ստեղծում (առանց վաճառելու կամ օգտագործելու նպատակ ունենալու):

**საკონსტიტუციო სასამართლო** - საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებასა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ՍԱՀՄԱՆԱԴՐԱԿԱՆ ԴԱՏԱՐԱՆ - սահմանադրական վերահսկողություն իրացնող մարմին, որն ապահովում է Վրաստանի սահմանադրության գերակայությունը, սահմանադրական օրինականությունը և մարդու սահմանադրական իրավունքների և ազատությունների պաշտպանությունը:
**საკუთვნებელი** – საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის.

ՊԱՏԿԱՆԵԼԻ ԻՐ – Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ շարժական գույք, որը, թեպետ գլխավոր գույքի բաղկացուցիչ մասը չէ, սակայն հատկացված է գլխավոր գույքի ծառայության համար:

**საკუთრება** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით ნებისმიერი სახის ქონება რასაც ფასი აქვს და ვინმეს ეკუთვნის. 1. **საკუთრების უფლება** – მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით),საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით, და არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა. ასევე განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლის ან სხვა მესამე პირის უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

ՍԵՓԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ ցանկացած տեսակի գույք, որն ունի արժեք և պատկանում է մեկին: 1. Սեփականության իրավունք – սեփականատերը կարող է ազատ տիրապետել և օգտագործել գույքը (իրը)՝ Վրաստանի օրենսդրությամբ որոշված սահմաններում և կարգով, և թույլ չտալ ուրիշ անձի կողմից այդ գույքի օգտագործումը: Նաև տրամադրել այն, եթե դրանով չեն ոտնահարվում հարևանի կամ այլ երրորդ անձի իրավունքները, կամ եթե այդ գործողությունը իրավունքի չարաշահում չի հանդիսանում:

**სამართალდარღვევა** - მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც არღვევს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ ქცევის წესს, ზიანს აყენებს სამართლით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. სამართალდარღვევას წარმოადგენს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქცევა. სამართალდარღვევას არ წარმოადგენს ქცევა, რომელიც არ არღვევს, არ ეწინააღმდეგება სამართლებრივი ნორმებით დადგენილ ნორმებს, თუმცა, ზნეობის თვალსაზრისით, შეიძლება გასაკიცხი და დასაგმობი იყოს.

ԻՐԱՎԱԽԱԽՏՈՒՄ- գործողություն կամ անգործունություն, որը խախտում է օրենքով և այլ նորմատիվ ակտերով սահմանված վարքագիծը, վնասում է իրավունքով պահպանված հասարակական հարաբերությունները: Իրավախախտում է հանդիսանում միայն հակաիրավական վարմունքը: Իրավախախտում չի հանդիսանում այն վարմունքը, որը չի խախտում, չի հակասում

իրավական նորմերով սահմանված նորմերը, թեպետ, բարոյականության տեսանկյունից, կարող է նախատելի և դատապարտելի լինել:

**სამართალი** - სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების (ნორმების) ერთობლიობა, რომლის აღსრულებაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ.

**ԻՐԱՎՈՒՆՔ** - պետության իրավազոր մարմինների կողմից սահմանված պարտադիր կերպով կատարելի վարքագծի (նորմերի) ամբողջություն, որի կատարումը ապահովված է պետության իրավասու մարմինների կողմից:

**სამართალწარმოება** – საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის წესი.

**ԴԱՏԱՎԱՐՈՒԹՅՈՒՆ** – սահմանադրական դատարանում և ընդհանուր դատարանում գործերի քննության կարգը:

**სამეწარმეო საქმიანობა** – მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო და აგრეთვე ზოგიერთი სხვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი საქმიანობა.

**ՁԵՌՆԱՐԿԱՏԻՐԱԿԱՆ ԳՈՐԾՈՒՆԵՈՒԹՅՈՒՆ** – իրավաչափ և ոչ մեկանգամյա գործունեություն, որն իրականացվում է շահույթ ստանալու նպատակով, ինքնուրույն և կազմակերպված: Ձեռնարկատիրական գործունեություն չեն համարվում ֆիզիկական անձանց արվեստի, գիտական, բժշկական, ճարտարապետական, փաստաբանական ու նաև Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված որոշ այլ գործունեություններ:

**სამკვიდრო ქონება** - ქონება, რომელსაც მამკვიდრებელი უტოვებს მემკვიდრე(ებ)ს. სამკვიდრო ქონება (სამკვიდრო) მოიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებებს (აქტივი), ისე მის მოვალეობებს (პასივი).

**ԺԱՌԱՆԳԱԿԱՆ ՍԵՓԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ** - սեփականություն, որը կտակարարը թողնում է ժառանգ(ներ)ին: Ժառանգական սեփականությունը (ժառանգությունը) ներառում է կտակարարի՝ ինչպես գույքային իրավունքները (ակտիվ), այնպես էլ նրա պարտականությունները (պասիվ):

**სამოქალაქო თავისუფლებები** - თავისუფლებები, რომლებიც გარანტირებულია ან გარანტირებული უნდა იყოს, როგორც ადამიანის განუყოფელი უფლებები (მაგ. სიტყვის თავისუფლება, შეკრებების თავისუფლება, გადაადგილების თავისუფლება და სხვა).

**ՔԱՂԱՔԱՑԻԱԿԱՆ ԱԶԱՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ** - ազատություններ, որոնք երաշխավորված են կամ պետք է երաշխավորված լինեն՝ որպես մարդու

անքաժանելի իրավունքներ (օր.՝ խոսքի ազատություն, հավաքների ազատություն, տեղաշարժման ազատություն և այլն):
**სამოქალაქო სამართალი** - სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოშობილ კერძო ხასიათის ურთიერთობებს. ასეთია: ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები.

ՔԱՂԱՔԱՑԻԱԿԱՆ ԻՐԱՎՈՒՆՔ - իրավական նորմերի ամբողջություն, որը կարգավորում է ֆիզիկական և իրավաբանական անձերի միջև ձևավորված մասնավոր բնույթի հարաբերությունները: Այդպիսիք են գույքային, ընտանեկան և անձնական հարաբերությունները:
**სამოტივაციო ნაწილი** - სასამართლო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელშიც აღინიშნება საქმის სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა ამ გადაწყვეტილების მიღებისას.

ՄՈՏԻՎԱՑԻՈՆ ՆԱՄԱԿ - դատավճռի այն մասը, որի մեջ նշվում են գործի իրավական գնահատականներն ու այն օրենքները, որով առաջնորդվել է դատարանը՝ այդ որոշումը կայացնելիս:
**სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება** – მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, მისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ՊԱՇՏՈՆԵԱԿԱՆ ԼԻԱԶՈՐՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ՉԱՐԱՇԱՀՈՒՄ – պաշտոնյայի կամ նրան հավասարված անձի կողմից սեփական լիազորությունների չարաշահումը՝ հանրային շահերին հակառակ, որևէ շահախնդրություն կամ առավելություն ստանալու կամ տալու համար, ինչի հետևանքով էապես ոտնահարվում են ֆիզիկական կամ իրավաբանական անձանց, հասարակության կամ պետության օրինական շահերը:
**სანქცია** - ღონისძიება (მაგ. თავისუფლების აღკვეთა), რომელიც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის სახით კანონის დამრღვევი პირისათვის.

ՍԱՆԿՑԻԱ - միջոցառում (օր.՝ ազատազրկում), որը նախատեսված է որպես պատասխանատվություն՝ օրենքը խախտող անձի համար:
**საპატიო მიზეზი** - სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა, რაც გამოწვეულია მისი ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით და სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე მის გამოცხადებას.

ՀԱՐԳԵԼԻ ՊԱՏՃԱՌ - քրեական դատավարության մասնակցի չներկայանալը, ինչի պատճառն է վերջինիս վատառողջ լինելը, մոտ բարեկամի մահանալը կամ այլ բացառիկ օբյեկտիվ հանգամանքներ, որոնք ինքնաբուխ պատճառներով անհնարին են դարձնում դատավարությանը նրա ներկայանալը:

**საპროცესო გადაწყვეტილება** - გამომძიებლის, პროკურორის დადგენილება, საბრალდებო დასკვნა, სასამართლოს (მოსამართლის) განაჩენი, განჩინება, დადგენილება.

**ԴԱՏԱՎԱՐԱԿԱՆ ՎՃԻՌ** - քննիչի, դատախազի որոշումը, մեղադրական եզրակացությունը, դատարանի (դատավորի) վճիռը, որոշումը:
**საპროცესო ვადა** – ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს საპროცესო მოქმედება.

**ԴԱՏԱՎԱՐԱԿԱՆ ԺԱՄԿԵՏ** – ժամկետ, որի ընթացքում պետք է իրագործվի դատավարական գործողությունը:
**საპროცესო უზრუნველყოფა** – სასამართლო პროცესის მონაწილე მხარისათვის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნა, რომელიც უნდა განხორციელდეს ფულადი თანხით.

**ԴԱՏԱՎԱՐԱԿԱՆ ԱՊԱՀՈՎՈՒԹՅՈՒՆ** – դատավարության մասնակից կողմի համար ապահովության միջոցառման պահանջ, որը պետք է իրացվի դրամական գումարով:
**საპროცესო უფლებაუნარიანობა** – ფიზიკური და იურიდიული პირის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები. ფიზიკური პირის საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და შეწყდება მისი გარდაცვალებით. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და შეწყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან.

**ԴԱՏԱՎԱՐԱԿԱՆ ԻՐԱՎՈՒՆԱԿՈՒԹՅՈՒՆ** – ֆիզիկական կամ իրավաբանական անձի՝ քաղաքացիական դատավարական իրավունքներ և պարտականություններ ունենալու կարողությունը: Ֆիզիկական անձի դատավարական իրավունակությունն սկսվում է նրա ծնվելու պահից և ավարտվում նրա մահով: Իրավաբանական անձի իրավունակությունն սկսվում է գրանցվելու պահից և ավարտվում լուծարքի գրանցման պահից:
**საპროცესო ქმედუნარიანობა** – ყველა სრულწლოვანი ფიზიკური და იურიდიული პირის უნარი, თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს. ფიზიკურ პირთა სრული საპროცესო ქმედუნარიანობა წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან (სრულწლოვანებიდან), ხოლო იურიდიული პირის ქმედუნარიანობა - მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ქმედუნარიანად ითვლება აგრეთვე პირი, რომელიც იქორწინებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

**ԴԱՏԱՎԱՐԱԿԱՆ ԳՈՐԾՈՒՆԱԿՈՒԹՅՈՒՆ** – բոլոր չափահաս ֆիզիկական, ինչպես նաև իրավաբանական անձանց կարողությունը՝ դատարանում սեփական գործողությամբ իրականացնելու դատավարական իրավունքներն ու կատարելու դատավարական պարտականությունները, ինչպես նաև գործավարությունը ներկայացուցչին վստահելու կարողությունը: Ֆիզիկական անձանց կատարյալ դատավարական գործունակությունն սկսվում է 18 տարեկան հասակից (չափահասությունից), իսկ իրավաբանական անձի գործունակությունը՝ վերջինիս

զրանցման պահից: Գործունակ է համարվում նաև այն անձը, որն ամուսնանում է մինչև 18 տարեկան դառնալը:
**საპროცესო შეთანხმება** – სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველი. საპროცესო შეთანხმება ეყრდნობა შეთანხმებას ბრალზე ან სასჯელზე. საპროცესო შეთანხმების დადების შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდებულს (მსჯავრდებულს), ისე პროკურორს.

**ԴԱՏԱՎԱՐԱԿԱՆ ՀԱՄԱՁԱՅՆԱԳԻՐ** – քրեական գործի քննարկման ընթացքում, առանց գործի էական քննարկման՝ դատարանի կողմից դատավճիռ կայացնելու հիմունքը: Դատավարական համաձայնագիրը հիմնված է հանցագործության կամ պատժի վերաբերյալ համաձայնության վրա: Դատավարական համաձայնագիր կնքելու առաջարկ կարող է անել ինչպես մեղադրյալը (ամբաստանյալը), այնպես էլ դատախազը:

**სარეზოლუზიო ნაწილი** - სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი სადაც კონკრეტულად მოცემულია, თუ რა გადაწყვიტა სასამართლომ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს დასკვნას მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე დადგენილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

**ԲԱՆԱՁԵՎԱՅԻՆ ՄԱՍ** - դատարանի որոշման այն մասը, որտեղ կոնկրետ տրված է, թե ինչ է որոշել դատարանը քննարկման առած գործի վերաբերյալ: Բանաձևային մասն ընդգրկում է պահանջը բավարարելուն կամ այն ամբողջովին կամ մասնակիորեն մերժելուն վերաբերող եզրակացությունը, ծախսերի բաշխմանը, ինչպես նաև որոշման բողոքարկման ժամկետին և կարգին վերաբերող ցուցումներ:

**სარჩელი** - 1. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით – დარღვეული თუ სადავო უფლების ან სხვა კანონიერი ინტერესის სასამართლო წესით დაცვის შესახებ მოთხოვნა, რომელიც წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის აღძვრის საფუძველს. სარჩელი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. მასში აღინიშნება სასამართლოს დასახელება, მოსარჩელის ვინაობა და მოთხოვნა, მოპასუხის ვინაობა, სარჩელის ფასი და კანონით გათვალისწინებული სხვა მონაცემები. 2. საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიხედვით – მოთხოვნა (სარჩელი), რომელიც შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, მოქმედების განხორციელების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე და მის შესაბამისად.

**ՀԱՅՑ** - 1. Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ խախտված կամ վիճահարույց իրավունքի կամ այլ օրինական շահերի՝ դատական կարգով պաշտպանման պահանջ, որը հանդիսանում է առաջին ատյանի

դատարանում գործի հարուցման հիմունքը: Հայցը պետք է ձևակերպված լինի գրավոր տեսքով: Դրա մեջ նշվում են դատարանի անվանումը, հայցատիրոջ ինքնությունն ու պահանջը, պատասխանողի ինքնությունը, հայցի գինը և օրենքով նախատեսված այլ տվյալներ: 2. Վրաստանի վարչա-իրավական օրենսդրության համաձայն՝ պահանջագիր (հայց), որը կարող է ի հայտ գալ վարչա-իրավական ակտն անվավեր կամ չեղյալ ճանաչելու պահանջով, վարչա-իրավական ակտի հրապարակման պահանջով, գործողությունն իրականացնելու կամ ձեռնպահ մնալու պահանջով, օրենսդրության սահմանված կարգի հիման վրա կամ վերջինիս համաձայն:

**სარჩელის განუხილველად დატოვება** – სამართალწარმოების დროს, სასამართლოს (მოსამართლის) უფლებამოსილება, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში განუხილველად დატოვოს სარჩელი.

ՀԱՅՑԸ ԹՈՂՆԵԼ ԱՌԱՆՑ ՔՆՆԱՐԿՄԱՆ – դատարանի (դատավորի) լիազորությունը՝ դատավարության ժամանակ, առաջին ատյանի դատարանում գործի քննարկմանը երկու կողմի անհարգելի պատճառով չներկայանալու դեպքում, հայցը թողնել առանց քննարկման:

**სასამართლო მედიაცია** – სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ საქმის გადაცემა მედიატორისთვის (ფიზიკური ან იურიდიული პირი), დავის მხარეთა შეთანხმების მიზნით.
ԴԱՏԱԿԱՆ ՄԻՋՆՈՐԴՈՒԹՅՈՒՆ – հայցը դատարանին ներկայացնելուց հետո գործի փոխանցումը միջնորդին (ֆիզիկական կամ իրավաբանական անձ)՝ վիճող կողմերի միջև համաձայնություն ձեռք բերելու նպատակով:
**სასამართლოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება** – ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან თუ ერთ-ერთი საკითხი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის მიმართ.

ԴԱՏԱՐԱՆԻ ՄԱՍՆԱԿԻ ՈՐՈՇՈՒՄ – եթե մեկ հայցում ներառված մի քանի պահանջից, նաև մի քանի հայցվորների կողմից կամ մի քանի պատասխանողների ներկայացրած պահանջներից մեկը պարզված է կամ պատրաստված է որոշում կայացնելու համար, դատարանը կարող է կողմերի խնդրանքով մասնակի որոշում կայացնել այդ պահանջի վերաբերյալ:
**სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება** – პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად და რომელიც სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით.

ԴԱՏԱՐԱՆԻ ՎԵՐՋՆԱԿԱՆ ՈՐՈՇՈՒՄ – առաջին ատյանի դատարանի որոշումը, որով գործն ըստ էության ավարտվում է, և որը դատարանը կայացնում է դատավճռի տեսքով:

**სასამართლო უწყება** – დოკუმენტი, რომლითაც მხარეს ან მის წარმომადგენელს ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი.

**ԴԱՏԱԿԱՆ ԾԱՆՈՒՑԱԳԻՐ** – փաստաթուղթ, որով կողմը կամ կողմի ներկայացուցիչը տեղեկանում է դատական նիստի կամ առանձին վարույթային գործողությունների կատարման ժամանակի ու վայրի մասին:

**სასამართლო ხელისუფლება** – სასამართლო სისტემა, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მის საფუძველზე და არის სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისაგან დამოუკიდებელი.

**ԴԱՏԱԿԱՆ ԻՇԽԱՆՈՒԹՅՈՒՆ** – դատական համակարգ, որը Վրաստանի օրենսդրության համապատասխան և դրա հիման վրա իրագործում է արդարադատությունը Վրաստանում և կախված չէ պետական իշխանության այլ ճյուղերից:

**სასესხო ვალდებულება** - ფასიანი ქაღალდი ან სხვა რაიმე სავალო ინსტრუმენტი ან დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ფულადი სახსრების პროცენტით ან უპროცენტოდ მიღება-გაცემის უფლებას ან ვალდებულებას.

**ՎԱՐԿԱՅԻՆ ՊԱՐՏԱՎՈՐՈՒԹՅՈՒՆ** - արժեթուղթ կամ պարտքի այլ գործիք կամ փաստաթուղթ, որը հաստատում է տոկոսով կամ առանց տոկոսի դրամական միջոցներ ստանալու և տալու իրավունքը կամ պարտավորությունը:

**სასჯელი** – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, რომლის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სასჯელის სახეებია: 1. ჯარიმა; 2. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; 3. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; 4. გამასწორებელი სამუშაო; 5. სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა; 6. თავისუფლების შეზღუდვა; 7. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა; 8. უვადო თავისუფლების აღკვეთა; 9. ქონების ჩამორთმევა.

**ՊԱՏԻԺ** – Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսգրքով նախատեսված պատասխանատվություն, որի նպատակն է արդարության վերականգնումը, նոր հանցագործության կանխարգելումը և հանցագործի վերասոցիալացումը (ռեսոցիալիզացիան): Պատժի տեսակներ են. 1. տուգանք, 2. պաշտոնից կամ գործունեության իրավունքից զրկում, 3. հանրօգուտ աշխատանք, 4. ուղղիչ աշխատանք, 5. զինվորականի աշխատանքային սահմանափակում, 6. ազատազրկում, 7. ժամկետային ազատազրկում, 8. անժամկետ ազատազրկում, 9. ունեցվածքի առգրավում:

**საურავი** – საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის.

**ՏՈՒՅԺ** – հարկային պատիժ, որն անձը կրում է հարկային օրենսդրությամբ սահմանված ժամկետի ընթացքում գումարը չվճարելու համար:

**საფირმო სახელწოდება** – სახელი, რომლითაც საქმიანობს მეწარმე სუბიექტი.

**ՖԻՐՄԱՅԻՆ ԱՆՎԱՆՈՒՄ** – անվանում, որի ներքո գործում է ձեռներեց սուբյեկտը:

**საფრთხეშემცველი ტვირთი** - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნივთიერებები, ნაკეთობები, მასალები, საწარმოო და სხვა საქმიანობის ნარჩენები, რომლებიც მათი თვისებების გამო, გარკვეული ფაქტორების არსებობისას, გადაზიდვის, დატვირთვის, გადმოტვირთვისა და შენახვის პროცესში შეიძლება გახდეს სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების, გადასაზიდი ტვირთის, მოწყობილობების, შენობა-ნაგებობების აფეთქების, დაწვის ან სხვაგვარი დაზიანების, აგრეთვე ადამიანების, ცხოველთა და ფრინველთა სიკვდილის, ტრავმირების, მოწამვლის, დასხივების, დამწვრობის, დაავადების ან გარემოს დაზიანება-დაბინძურების მიზეზი.

**ՎՏԱՆԳ ՊԱՐՈՒՆԱԿՈՂ ԲԵՌ** - Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված նյութեղեն, սարքեր, նյութեր, արտադրական կամ այլ գործունեության մնացորդներ, որոնք իրենց հատկությունների պատճառով, որոշակի գործոնների առկայության դեպքում, փոխադրման, բեռնավորման, բեռնաթափման և պահելու ընթացքում կարող են դառնալ երկաթգծային փոխադրամիջոցների, փոխադրվող բեռի, սարքավորումների, շինությունների և կառույցների պայթման, հրդեհման կամ այլ վնասների, ինչպես նաև մարդկանց, կենդանիների ու թռչունների մահվան, վնասվածքի, թունավորման, հիվանդության կամ շրջակա միջավայրի վնասման և աղտոտման պատճառ:

**საქართველოს მთავრობა** –აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც ასევე უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან.

**ՎՐԱՍՏԱՆԻ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅՈՒՆ** –գործադիր իշխանություն, որն ապահովում է նաև երկրի ներքին և արտաքին քաղաքականության իրականացումը: Կառավարությունը պատասխանատու է Վրաստանի նախագահի և խորհրդարանի առջև: Կառավարությունը կազմված է վարչապետից և նախարարներից:

**საქართველოს პარლამენტი** – ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

**ՎՐԱՍՏԱՆԻ ԽՈՐՀՐԴԱՐԱՆ** – երկրի գերագույն ներկայացուցչական մարմին, որն իրացնում է օրենսդրական իշխանությունը, սահմանում է երկրի ներքին և արտաքին քաղաքականության հիմնական ուղղությունները, սահմանադրության համաձայն՝ վերահսկում է կառավարության գործունեությունը և իրագործում է այլ լիազորություններ:

**საქართველოს პრეზიდენტი** – საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, რომელიც წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი

უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად.
ՎՐԱՍՏԱՆԻ ՆԱԽԱԳԱՀ – Վրաստդանի պետության գլխավորը, որը ղեկավարում և իրագործում է պետության ներքին ու արտաքին քաղաքականությունը: Նա ապահովում է երկրի միասնությունն ու ամբողջականությունը, պետական մարմինների գործունեությունը՝ սահմանադրության համաձայն:

საქართველოს საზღვაო სივრცე - საქართველოს შიდა წყლები, ტერიტორიული ზღვა, მიმდებარე ზონა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფი.

ՎՐԱՍՏԱՆԻ ԾՈՎԱՅԻՆ ՏԱՐԱԾՔ - Վրաստանի ներքին ջրերը, տարածքային ծովը, հարող գոտին, բացառիկ տնտեսական գոտին և մայրցամաքային խութը:
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – კოდექსი, რომელიც აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.
ՎՐԱՍՏԱՆԻ ՔԱՂԱՔԱՑԻԱԿԱՆ ՕՐԵՆՍԳԻՐՔ – օրենսգիրք, որը կարգավորում է անձանց իրավահավասարության վրա հիմնված մասնավոր բնույթի գույքային, ընտանեկան և անձնական հարաբերությունները:

საქართველოს საჰაერო სივრცე - სახმელეთო ტერიტორიისა და მასთან მიმდებარე შავი ზღვის ტერიტორიული წყლების თავზე არსებული სივრცე.

ՎՐԱՍՏԱՆԻ ՕԴԱՅԻՆ ՏԱՐԱԾՔ - Վրաստանի ցամաքային տարածքի և դրան հարող սևծովյան տարածքային ջրերի վերևում առկա տարածությունը:
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – კოდექსი, რომელიც ადგენს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლის-სამართლებრივ ღონისძიებას.
ՎՐԱՍՏԱՆԻ ՔՐԵԱԿԱՆ ՕՐԵՆՍԳԻՐՔ – օրենսգիրք, որը սահմանում է քրեական-իրավական պատասխանատվության հիմունքները, սահմանում է, թե որ գործողությունն է հանցավոր և հաստատում է համապատասխան պատիժ կամ այլ տեսակի քրեական-իրավական միջոցառում:

საქართველოს ტერიტორია - ტერიტორია, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტს ექვემდებარება, აგრეთვე მასთან მიმდებარე შავი ზღვის ტერიტორიული წყლები. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.
ՎՐԱՍՏԱՆԻ ՏԱՐԱԾՔ - տարածք, որը գտնվում է Վրաստանի ինքնիշխանության ենթակայության տակ, ինչպես նաև դրան հարող սևծովյան տարածքային ջրերը: Վրաստանի տարածքային ամբողջականությունը և պետական սահմանի անձեռնմխելիությունը հաստատված են Վրաստանի սահմանադրությամբ և օրենքներով, ճանաչված են պետությունների

համաշխարհային ընկերակցության և միջազգային կազմակերպությունների կողմից:

**საქართველოს უზენაესი სასამართლო** – საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის (საკასაციო) სასამართლო.

ՎՐԱՍՏԱՆԻ ԳԵՐԱԳՈՒՅՆ ԴԱՏԱՐԱՆ – Վրաստանի ամբողջ տարածքում արդարադատությունն իրացնող գերագույն և վերջնական ատյանի (վճռաբեկ) դատարանը:

**საქორწინო ასაკი** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით საქორწინო ასაკად დაწესებულია თვრამეტი წელი. გამონაკლის შემთხვევაში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი თანხმობით. თანხმობაზე უარის შემთხვევაში პატივსადები მიზეზების არსებობისას (ფაქტობრივი ცოლ–ქმრული ურთიერთობა, ბავშვის გაჩენა და ა.შ.), დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვა, შეუძლია გასცეს სასამართლომ.

ԱՄՈՒՍՆԱԿԱՆ ՏԱՐԻՔ - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրությամբ՝ որպես ամուսնական տարիք հաստատված է տասնութ տարին: Բացառիկ դեպքերում՝ տասնվեց տարեկան հասակում ամուսնանալ թույլատրվում է ծնողների կամ այլ օրինական ներկայացուցչի նախնական գրավոր համաձայնությամբ: Համաձայնության բացակայության դեպքում, երբ կան հարգելի պատճառներ (փաստացի ամուսնական հարաբերություններ, երեխայի ծնունդ և այլն), ամուսնացող զույգի դիմումի հիման վրա ամուսնանալու իրավունք կարող է տալ դատարանը:

**საქორწინო ხელშეკრულება** - მეუღლეებს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და მოწმდება ნოტარიუსის მიერ.

ԱՄՈՒՍՆԱԿԱՆ ՊԱՅՄԱՆԱԳԻՐ - ամուսինների միջև կնքված պայմանագիր, որով սահմանվում են նրանց գույքային իրավունքներն ու պարտականությունները՝ ինչպես ամուսնության ընթացքում, այնպես էլ ամուսնալուծվելիս: Ամուսնական պայմանագիրը կնքվում է գրավոր ձևով և հաստատվում նոտարի կողմից:

**საშემოსავლო გადასახადი** – გადასახადი რომლითაც იბეგრება რეზიდენტი ფიზიკური პირის შემოსავალი და აგრეთვე არარეზიდენტი ფიზიკური პირის საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავალი.

ԵԿԱՄՏԱՀԱՐԿ – հարկ, որը դրվում է մշտաբնակ ֆիզիկական անձի եկամուտի, ինչպես նաև ոչ մշտաբնակ ֆիզիկական անձի՝ Վրաստանում առկա աղբյուրներից ստացած եկամուտի վրա:

**საცხოვრებელი ადგილი** - ადგილი, რომელსაც ფიზიკური პირი ჩვეულებრივ ირჩევს საცხოვრებლად. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი.

ԲՆԱԿՈՒԹՅԱՆ ՎԱՅՐ - վայր, որը ֆիզիկական անձը, սովորաբար, ընտրում է բնակվելու համար: Անձը կարող է ունենալ բնակության մի քանի վայր:
**საწარმო** – საქართველოს საგადასახადო კანონმდბელობის მიხედვით ისეთი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად (მაგ. იურიდიული პირი რომელიც შექმნილია საქართველოს ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე).

ՁԵՌՆԱՐԿՈՒԹՅՈՒՆ – Վրաստանի հարկային օրենսդրության համաձայն՝ այնպիսի ձևավորումներ, որոնք կատարում են տնտեսական գործունեություն կամ հիմնադրվել են տնտեսական գործունեություն կատարելու համար (օր.՝ իրավաբանական անձ, որն ստեղծվել է Վրաստանի կամ օտար երկրի օրենսդրության հիման վրա):

**სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება** – სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა.

ՊԵՏԱԿԱՆ (բյուջետային) ՀԱՍՏԱՏՈՒԹՅՈՒՆ– պետական բյուջեի, ինքնավար հանրապետության բյուջեի կամ տեղական ինքնակառավարման միավորի բյուջեի միջոցներով հիմնված և բյուջեի ֆինանսավորմամբ գոյություն ունեցող հաստատություն, որի հիմնական խնդիրը հանրային իշխանության իրականացումն է:
**სახელმწიფო თანამდებობა** – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ՊԵՏԱԿԱՆ ՊԱՇՏՈՆ – պետական իշխանության մարմնի նախնական կառուցվածքային միավոր, որը սահմանում է քաղաքացու տեղն ու սոցիալ-աշխատանքային դերը հանրային ծառայության համակարգում, նրա իրավունքներն ու նրա վրա դրված պարտականությունները:
**სახელმწიფო საიდუმლოება** - ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის და სხვა სფეროში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ სხვა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებს.

ՊԵՏԱԿԱՆ ԳԱՂՏՆԻՔ - տեղեկատվության տեսակ, որը ներառում է պետական գաղտնիք պարունակող տեղեկություններ պաշտպանության,

տնտեսության, արտաքին հարաբերությունների և այլ ոլորտների վերաբերյալ, որոնց բացահայտումը կամ կորուստը կարող է վնաս հասցնել Վրաստանի քաղաքական ու տնտեսական շահերին, ինչպես նաև օրենսդրությամբ սահմանված այլ պետականորեն կարևոր հարցերի:
**სახელმწიფო ღალატი** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ჩადენილი, საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. მაგ. საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა, ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკებების წარმოება, სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა, ჯაშუშობა და სხვა.

ՊԵՏԱԿԱՆ ԴԱՎԱՃԱՆՈՒԹՅՈՒՆ - Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ Վրաստանի քաղաքացու կամ Վրաստանում մշտապես բնակվող քաղաքացիություն ունեցող անձի կողմից գործած, Վրաստանի սահմանադրական կառույցի և անվտանգության հիմունքների դեմ ուղղված հանցագործություն: Օր.՝ Վրաստանի տարածքային անձեռնմխելիության խախտումը, հակասահմանադրական պայմանագրի կնքումը կամ բանակցություններ վարելը, պետական գաղտնիքի հայտնումը, լրտեսությունը և այլն:
**საცილო გარიგება** – გარიგება, რომელიც შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე.
ԶՐՊԱՐՏԻՉ ԳՈՐԾԱՐՔ – գործարք, որը կարող է զրպարտիչ դառնալ, եթե կամքի արտահայտումը տեղի է ունեցել էական սխալի հիման վրա:

**საჯარო დაწესებულება** – საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ასეთად მიიჩნევა: ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.

ՀԱՆՐԱՅԻՆ ՀԱՍՏԱՏՈՒԹՅՈՒՆ – Վրաստանի օրենսդրության համաձայն՝ այսպիսիք են համարվում՝ վարչական մարմինը, պետական կամ տեղական բյուջեի միջոցներով ֆինանսավորվող մասնավոր իրավունքի իրավաբանական անձը՝ այդպիսի ֆինանսավորման սահմաններում:
**საჯაროდ გამოცხადება** – საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსება.

ՀՐԱՊԱՐԱԿԱՎ ՀԱՅՏԱՐԱՐԵԼ – Վրաստանի վարչական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ անհատական վարչա-իրավական ակտի՝ վարչական մարմնում բոլորի համար մատչելի տեղում, բացեիբաց տեղադրումը:

**საჯარო ინფორმაცია** - ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო

და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

ՀԱՆՐԱՅԻՆ ՏԵՂԵԿԱՏՎՈՒԹՅՈՒՆ - պաշտոնական փաստաթուղթ (այդ թվում՝ գծագիր, մանրակերտ, պլան, ուրվագիծ, լուսանկար, էլեկտրոնային տեղեկատվություն, տեսագրություններ և ձայնագրություններ), այսինքն՝ հանրային հաստատությունում պահպանված, ինչպես նաև հանրային հաստատության կամ աշխատողի կողմից աշխատանքային գործունեության վերաբերյալ ստացված, մշակված, ստեղծված կամ ուղարկված տեղեկատվություն:

**საჯარო მოსამსახურე** – ფიზიკური პირი (მოსამსახურე), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და დადგენილი წესით ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. საჯარო სამსახურს ეწევა: 1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი; 2. მოხელე; 3. დამხმარე მოსამსახურე; 4. შტატგარეშე მოსამსახურე.

ՀԱՆՐԱՅԻՆ ԾԱՌԱՅՈՂ – ֆիզիկական անձ (աշխատող), որը Վրաստանի օրենսդրության համաձայն և սահմանված օրենքով՝ զբաղվում է վճարովի գործունեությամբ պետական կամ տեղական ինքնավարության հաստատությունում: Հանրային գործունեությամբ է զբաղվում. 1. պետական-քաղաքական պաշտոնյան, 2. աստիճանավորը, 3. օգնական աշխատողը, 4. արտահաստիքային աշխատողը:

**საჯარო რეესტრი** – ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

ՀԱՆՐԱՅԻՆ ՌԵԵՍՏՐ – գույքի ու ոչ նյութական գույքային բարիքի վերաբերյալ իրավունքների, արգելանքի և հարկային գրավի/հիպոթեկի առաջացման, դրանց փոփոխությունների ու դրանց դադարեցման, նաև անշարժ գույքի սեփականության իրավունքից հրաժարվելու և դրա փոփոխության վերաբերյալ տվյալների ամբողջությունը:

**საჯარო სამსახური** – საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

ՀԱՆՐԱՅԻՆ ԾԱՌԱՅՈՒԹՅՈՒՆ – գործունեություն պետական և տեղական ինքնավարության պետական (բյուջետային) հաստատություններում՝ հանրային իշխանության մարմիններում:

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი** – კანონის საფუძველზე შექმნილი და სახელმწიფო მმართველობისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო კონტროლით მაგრამ დამოუკიდებლად ახორციელებს საჯარო საქმიანობას.

**ՀԱՆՐԱՅԻՆ ԻՐԱՎՈՒՆՔԻ ԻՐԱՎԱԲԱՆԱԿԱՆ ԱՆՁ** – օրենքի հիման վրա ստեղծված և պետական կառավարությունից առանձնացված կազմակերպություն, որը պետական վերահսկողությամբ, բայց ինքնուրույն է իրականացնում հանրային գործունեությունը:

**სეკვესტრი** – ნივთის იძულებით მართვა.

**ՍԵԿՎԵՍՏՐ** – գույքի հարկադրական տիրապետում:

**სერვიტუტები** – მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების, სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ გამოყენება (დატვირთვა), ისე რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს, ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება.

**ՍԵՐՎԻՏՈՒՏ** – հողամասի կամ այլ անշարժ գույքի օգտագործումը (ծանրաբեռնումը), այլ հողամասի կամ այլ անշարժ գույքի սեփականատիրոջ օգտին այնպես, որ այդ սեփականատերն իրավունք ունենա առանձին դեպքերում օգտագործել այդ հողամասը, կամ արգելել այդ հողամասի վրա որոշ գործողություններ կատարելը:

**სესხი** - ხელშეკრულება, რომლითაც გამსესხებელი (კრედიტორი) გადასცემს ფულს ან გვაროვნულ ნივთს მსესხებელს (მოვალეს), ხოლო მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

**ՓՈԽԱՌՈՒԹՅՈՒՆ** - պայմանագիր, որով պարտատերը (վարկատուն) փոխառուին (պարտապանին) փոխանցում է գումար կամ տոհմային իր, իսկ փոխառուն պարտավոր է նրան վերադարձնել նույն տեսակի, որակի և նույն քանակությամբ իրեր:

**სექსუალური ძალადობა** - სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

**ՍԵՌԱԿԱՆ ԲՌՆՈՒԹՅՈՒՆ** - սեռական կապ՝ բռնությամբ, բռնության սպառնալիքով կամ զոհի անօգնական վիճակից օգտվելով: Սեռական կապ կամ սեռական բնույթի այլ գործողություն կամ անառակաբարո գործողություն անչափահասի նկատմամբ:

**სისხლისსამართლებრივი დევნა** – პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე, დევნის დაწყება და განხორციელება, რომელიც მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა.

**ՔՐԵԱԿԱՆ ՀԵՏԱՊՆԴՈՒՄ** – անձին ձերբակալելուց կամ մեղադրյալ ճանաչելուց անմիջապես հետո հետապնդում սկսելը կամ իրականացնելը, ինչը միայն դատախազի հայեցողական լիազորությունն է:

**სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა** – პასუხისმგებლობა, რომელიც დაწესებულია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით და რომელსაც საფუძვლად უდევს დანაშაული.

ՔՐԵԱԿԱՆ ՊԱՏԱՍԽԱՆԱՏՎՈՒԹՅՈՒՆ – պատասխանատվություն, որը հաստատված է Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն, և որի հիմքում ընկած է հանցագործությունը:

**სისხლის სამართალი** - კანონთა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს და განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული იმ ქმედებებისათვის, რომლებიც სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით მიჩნეულია დანაშაულად.

ՔՐԵԱԿԱՆ ԻՐԱՎՈՒՆՔ - օրենքների ամբողջություն, որը պատասխանատվություն է կարգավորում և սահմանում՝ մարդու, հասարակության և պետության դեմ ուղղված այն գործողությունների համար, որոնք, ըստ քրեական իրավունքի օրենսդրության, հանցագործություն են համարվում:

**სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება** – იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმო (კომპანია). საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

ՀԱՄԱՏԵՂ ՊԱՏԱՍԽԱՆԱՏՎՈՒԹՅԱՄԲ ԸՆԿԵՐՈՒԹՅՈՒՆ – իրավաբանական անձի կարգավիճակ ունեցող ձեռնարկություն (ընկերություն): Կազմակերպություն, որտեղ մի քանի անձ (գործընկերներ) համատեղ, միասնական ֆիրմային անվանմամբ զբաղվում են ձեռնարկատիրական գործունեությամբ և կազմակերպության պարտավորությունների համար վարկատուի առջև պատասխանատվություն են կրում որպես համատեղ պարտապաններ՝ ամբողջ ունեցվածքով, ուղղակիորեն և անուղղակիորեն:

**სრულწლოვანი** – ფიზიკური პირი რომელსაც შეუსრულდა 18 წელი.

ՉԱՓԱՀԱՍ – ֆիզիկական անձ, որի 18 տարին լրացել է:

**სუიციდი** - იგივეა, რაც თვითმკვლელობა.

ՍՈՒԻՑԻԴ - նույնն է, ինչ որ ինքնասպանությունը:

**სუროგაცია** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მოთხოვნის დაგირავებისას, თუ მევალე ასრულებს ვალდებულებას გირავნობის ვადის გასვლამდე, მოთხოვნის ადგილის დაკავება შემსრულებლის მიერ.

ՍՈՒՐՈԳԱՑԻԱ - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ պահանջի գրավադրման դեպքում, եթե պարտատերը կատարում է պարտավորությունը մինչև վարձակալության ժամկետի լրանալը, կատարողի կողմից պահանջի տեղը գրավելը:

**სხდომის თავმჯდომარე (სასამართლო)** – მოსამართლე რომელიც უძღვება და წარმართავს სასამართლო სხდომას.

**ՆԻՍՏԻ ՆԱԽԱԳԱՀ (դատարանի)** – դատավոր, որը ղեկավարում և անցկացնում է դատական նիստը:
**სხდომის მდივანი (სასამართლო)** – სასამართლოს მოხელე, რომელიც ესწრება საქმის ზეპირ მოსმენას, ეხმარება მოსამართლეს და ადგენს სხდომის ოქმს.

**ՆԻՍՏԻ ՔԱՐՏՈՒՂԱՐ (դատարանի)** – դատարանի աշխատող, որը ներկա է գտնվում գործի բանավոր լսմանը, աջակցում է դատավորին և կազմում նիստի արձանագրությունը:
**ტ**

**ტერორიზმი** – ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობებისა და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალებისა და სხვა , ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის.

**ԱՀԱԲԵԿՉՈՒԹՅՈՒՆ** – բռնություն կամ բռնություն կիրառելու սպառնալիք, որն ուղղված է ֆիզիկական կամ իրավաբանական անձանց դեմ, շինությունների կամ այլ նյութական օբյեկտների ոչնչացումն ու վնասումը կամ դրանց ոչնչացմամբ ու վնասմամբ սպառնալը զենքի, պայթուցիչ նյութերի և այլ՝ մարդու կյանքի ու առողջության համար վտանգավոր նյութերի գործածությամբ կամ մարդու առևանգմամբ կամ գերեվարմամբ, որպեսզի իշխանությունը կամ դրա որևէ մարմինը կամ միջազգային կազմակերպությունը ստիպված կատարեն որոշակի գործողություն կամ ձեռնպահ մնան որոշակի գործողություն կատարելուց, որը ներառվում է ահաբեկիչների հակաիրավական շահերի մեջ:
**ტერორისტული აქტი** - აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას, ხელყოფს საზოგადოების უსაფრთხოებას, სახელმწიფოს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს და ჩადენილია მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით.

**ԱՀԱԲԵԿՉԱԿԱՆ ԱԿՏ** - պայթեցում, հրդեհում, զենքի կիրառություն կամ այլ գործողություն, որն ստեղծում է մարդու կյանքի ընդհատման, կարևոր գույքային վնասի կամ այլ ծանր հետևանքի վտանգ, խաթարում է հասարակական անվտանգությունը, պետության կարևոր քաղաքական կամ տնտեսական շահերը և կատարվել է բնակչությանը վախեցնելու կամ պետական մարմնի վրա ազդեցություն գործելու նպատակով:
**ტრანზიტი** - შუალედური პუნქტების გავლით ერთი ადგილიდან სხვა ადგილზე მგზავრების გადაყვანა (ტვირთის გადატანა); შუალედურ სადგურებზე ჩატვირთვა-გადმოტვირთვის გარეშე ტვირთის გადაზიდვა.

ՏԱՐԱՆՑՈՒՄ - ուղևորների փոխադրումը միջանկյալ կետերով մի վայրից մյուսը (բեռնափոխադրում), բեռ փոխադրելն առանց միջանկյալ կանգառներում բեռնելու և բեռնաթափելու:

**ტრანსმისია** – სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე მემკვიდრის გარდაიცვალების შემთხვევაში, სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლების გადასვლა მის მემკვიდრეებზე.

**ՓՈԽԱՆՑՈՒՄ (տրանսմիսիա)** – ժառանգական սեփականությունը բացելուց հետո, բայց մինչև ժառանգությունն ստանալը ժառանգի մահվան դեպքում՝ ժառանգությունից վերջինիս բաժինն ստանալու իրավունքի փոխանցումը նրա ժառանգներին:

**ტრანსფორმირება სასარჩელო მოთხოვნის** - სასარჩელო მოთხოვნის ჩამოყალიბება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. სასამართლოს შეუძლია დაეხმაროს მოსარჩელეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

ՀԱՅՑԱՅԻՆ ՊԱՀԱՆՋԻ ՁԵՎԱՓՈԽՈՒՄ - հայցային պահանջի ձևակերպումը օրենսդրության պահանջներին համապատասխան: Դատարանը կարող է հայցվորին աջակցել պահանջի ձևափոխման գործում:

**ტრიბუნალი -** საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, განსაკუთრებული სასამართლო ორგანო, რომელიც იხილავს სამხედრო და განსაკუთრებული სიმძიმის საერთაშორისო დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებს.

ՏՐԻԲՈՒՆԱԼ - ըստ միջազգային իրավունքի նորմերի՝ հատուկ դատարանական մարմին, որը քննում է ռազմական և միջազգային հանցագործությանն առնչվող բացառիկ բարդության գործերը:

**უ**

**უდავო ფაქტობრივი გარემოება** - ფაქტობრივი გარემოება, რომლის ნამდვილობას მხარეები არ ხდიან სადავოდ.

ԱՆԱՌԱՐԿԵԼԻ ՓԱՍՏԱԿԱՆ ՀԱՆԳԱՄԱՆՔ - փաստական հանգամանք, որի իսկությունը կողմերը վիճելի չեն դարձնում:

**უდავო წარმოება** – სასამართლოში ისეთი საქმის წარმოება, რომელიც არ შეიძლება სადავო გახდეს სხვა მხარის მიერ. ასეთი წარმოებაა: ა) იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ; ბ) მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ; გ) მოქალაქის ქმედუუნაროდ და შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ; დ) დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ; ე) ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ; ზ) შვილად აყვანის შესახებ; თ) ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ.

ԱՆԱՌԱՐԿԵԼԻ ՎԱՐՈՒՄ – դատարանում այնպիսի գործավարություն, որը չի կարող առարկելի դառնալ մյուս կողմի համար: Այդպիսին է գործավարությունը՝ ա) իրավաբանական նշանակություն ունեցող փաստերի որոշման վերաբերյալ, բ) քաղաքացու անհետացումն ու մահը հայտարարելու վերաբերյալ, գ) քաղաքացուն

անգործունակ և սահմանափակ գործունակ ճանաչելու վերաբերյալ, դ) կորած արժեթղթի և օրդերային արժեթղթի իրավունքի վերականգնման վերաբերյալ, ե) գույքը լքյալ ճանաչելու վերաբերյալ, զ) որդեգրելու վերաբերյալ, է) երեխային լքյալ ճանաչելու վերաբերյալ:
**უდანაშაულობის პრეზუმფცია** – ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

ԱՆՄԵՂՈՒԹՅԱՆ ԿԱՆԽԱՎԱՐԿԱԾ – մարդը համարվում է անմեղ, քանի դեռ նրա մեղքը չի հաստատվել օրենքով որոշված կարգով և դատարանի՝ օրինական ուժի մեջ մտած մեղադրական դատավճռով:

**უზენაესი სასამართლო** – მესამე, ბოლო ინსტანციის სასამართლო, რომელიც განიხილავს საკასაციო საჩივრებს, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

**ԳԵՐԱԳՈՒՅՆ ԴԱՏԱՐԱՆ –** երրորդ՝ վերջին ատյանի դատարան, որը քննարկում է վճռաբեկ բողոքները Վերաքննիչ դատարանի որոշումների վերաբերյալ:
**უზრუნველყოფის ღონისძიება** - საშუალება, რომლითაც ხდება სარჩელის უზრუნველყოფა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებია: ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა და ფულად სახსრებზე; ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა; გ) სხვა პირებისათვის მოპასუხისათვის ქონების გადაცემის ან ვალდებულების შესრულების აკრძალვა და სხვა.

ԱՊԱՀՈՎՄԱՆ ՄԻՋՈՑԱՌՈՒՄ - միջոց, որով տեղի է ունենում բողոքի ապահովումը: Բողոքի ապահովման միջոցառումներն են. ա) գույքին, արժեթղթերին և դրամական միջոցներին արգելք դնելը, բ) պատասխանողին արգելելը որոշակի գործողություն կատարել, գ) պատասխանողին արգելելը՝ գույքը փոխանցել այլ անձանց կամ կատարել պարտավորությունը և այլն:
**უზუფრუქტი** – საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, უძრავი ნივთის სხვა პირისათვის გადაცემა სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ მესაკუთრისაგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება.

ՈՒԶՈՒՖՐՈՒԿՏ – Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ անշարժ գույքը փոխանցել ուրիշին այնպես, որ նա լիազորված լինի՝ որպես սեփականատեր, կիրառելու այդ գույքը և թույլ չտալու երրորդ անձանց, որպեսզի վերջիններս էլ օգտագործեն այն, սակայն ի տարբերություն սեփականատիրոջ՝ նա իրավունք չունի օտարել, հիպոթեկով կամ ժառանգաբար ուրիշին տալ այդ գույքը:

**უზრუნველყოფილი კრედიტორი** - კრედიტორი ან ახალი კრედიტორი, რომლის მოთხოვნა უზრუნველყოფილია იპოთეკით, გირავნობით ან საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებით.

ԱՊԱՀՈՎԱԳՐՎԱԾ ՎԱՐԿԱՏՈՒ - վարկատուն կամ նոր վարկատուն, որի պահանջը ապահովված է հիպոթեկով, գրավադրմամբ կամ Վրաստանի օրենսդրությամբ սահմանված՝ պարտավորությունն ապահովելու այլ միջոցներով:
**უკანონო სამეწარმეო საქმიანობა** – სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის, ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე, ანდა სანებართვო ან სალიცენზიო პირობების დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

ԱՆՕՐԻՆԱԿԱՆ ՁԵՌՆԱՐԿԱՏԻՐԱԿԱՆ ԳՈՐԾՈՒՆԵՈՒԹՅՈՒՆ – ձեռնարկատիրական գործունեություն՝ առանց գրանցման, թույլտվության կամ լիցենզիայի, կամ թույլտվության կամ լիցենզիայի պայմանների խախտմամբ, ինչը զգալի վնաս է հասցնում, կամ ինչին ուղեկցում է մեծ չափով եկամուտ:
**უკანონო შემოსავალი** - პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ფულადი სახსრები, სხვა ქონება ან ქონებრივი უფლებები, რომლებიც მან მიიღო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის (მათ შორის, იარაღით ვაჭრობის, ნარკოტიკული დანაშაულების, ტრეფიკინგის, ტერორიზმის) ჩადენის შედეგად, გარდა საგადასახადო და საბაჟო სფეროებში დანაშაულების ჩადენის შემთხვევებისა.

ԱՆՕՐԻՆԱԿԱՆ ԵԿԱՄՈՒՏ - անձի սեփականության մեջ գտնվող կամ նրան պատկանող դրամական միջոցներ, այլ գույք կամ գույքային իրավունքներ, որը նա ստացել է Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսգրքով նախատեսված հանցագործություն (այդ թվում զենքի առևտուր, թմրանյութերի հետ կապված հանցագործություններ, թրաֆիքինգ, ահաբեկչություն) գործելու հետևանքով, բացի հարկային և մաքսային ոլորտներում հանցագործություններ գործելու դեպքերից:
**უკიდურესი აუცილებლობა** - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოება. რაც გულისხმობს, სხვის დაზიანებას იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე.
ԾԱՅՐԱՀԵՂ ԱՆՀՐԱԺԵՇՏՈՒԹՅՈՒՆ - Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ հակաիրավականությունը բացառող հանգամանք, ինչը ենթադրում է. ուրիշին վնասել՝ այն վտանգից խուսափելու համար, որը սպառնում էր հենց վնասողի կամ ուրիշի իրավական բարիքին, եթե այդ վտանգից խուսափելն անհնար էր այլ միջոցներով, և եթե վնասված բարիքը նվազ կարևոր էր, քան պահպանվածը:

**უმკვიდრო ქონება** - მემკვიდრის გარეშე დარჩენილი სამკვიდრო. ქონება იქნება აღიარებული უმკვიდროდ, თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არცერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება. ასეთი ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში გადადის.

**ԱՆԺԱՌԱՆԳ ԳՈՒՅՔ** - առանց ժառանգի մնացած ժառանգությունը, գույքը կճանաչվի անժառանգ, եթե և օրենքով, և կտակով ժառանգներ չկան, կամ ոչ մի ժառանգ չի ստացել ժառանգությունը, կամ երբ բոլոր ժառանգները զրկվել են ժառանգության իրավունքից: Նման գույքը մտնում է պետության սեփականության մեջ:

**უმწეო მდგომარეობა** - მდგომარეობა, როდესაც პირი სხვა პირზე მატერიალურად ან სხვაგვარად არის დამოკიდებული, აგრეთვე როდესაც პირს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია რეალურად შეაფასოს არსებული ვითარება, ან როდესაც პირს არ გააჩნია სხვა რეალური საშუალება, გარდა იმისა, რომ დაემორჩილოს მის მიმართ გამოყენებულ ძალადობას.

**ԱՆՕԳՆԱԿԱՆ ՎԻՃԱԿ** - վիճակ, որի ժամանակ անձը ուրիշ անձից է կախված նյութապես կամ այլ առումով, նաև՝ երբ անձը, ֆիզիկական կամ հոգեկան թերության պատճառով, չի կարող իրականապես գնահատել առկա իրավիճակը, կամ երբ նա չունի այլ իրական տարբերակ, բացի իր նկատմամբ կիրառված բռնությանը ենթարկվելուց:

**უპირატესი შესყიდვის უფლება** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნული უფლება გამოიყენება, თუ ვალდებული პირი მესამე პირთან დებს ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას. უპირატესი შესყიდვის უფლება არც სხვა პირს გადაეცემა და არც მემკვიდრეობით გადადის.

**ՆԱԽՆԱԿԱՆ ԳՆՄԱՆ ԻՐԱՎՈՒՆՔ** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ նշյալ իրավունքը կիրառվում է, եթե պարտավորված անձը երրորդ անձի հետ գույքի ձեռքբերման պայմանագիր է կնքում: Նախնական գնման իրավունքը չի անցնում ուրիշին, ոչ էլ ժառանգությամբ է փոխանցվում:

**უსაფუძვლო გამდიდრება** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, პირის მიერ მატერიალური სარგებლის მიღება სათანადო საფუძვლის გარეშე. პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.

**ՉՀԻՄՆԱՎՈՐՎԱԾ ՀԱՐՍՏԱՑՈՒՄ** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ անձի կողմից նյութական օգուտ ստանալը՝ առանց պատշաճ հիմունքի: Անձը, որը, առանց մյուս անձի համաձայնության, խաթարում է վերջինիս իրավական բարիքը՝ տիրապետելով, ծախսելով, օգտագործելով, միացնելով, խառնելով, վերամշակելով կամ այլ միջոցներով, պարտավոր է լիազորված անձին հատուցել հասցված վնասը:

**უფლება** - ფიზიკური და იურიდიული პირისათვის კანონითა თუ სხვა ნორმატიული აქტით მინიჭებული და გარანტირებული გარკვეული ქცევის შესაძლებლობა, უფლებამოსილება. უფლებას, როგორც წესი, შეესაბამება სხვა პირთა მოვალეობა.

**ԻՐԱՎՈՒՆՔ -** ֆիզիկական և իրավաբանական անձին օրենքով կամ այլ նորմատիվ ակտերով շնորհված և երաշխավորված որոշակի գործողության հնարավորություն, լիազորություն: Իրավունքին, որպես օրենք, համապատասխանում է այլ անձանց պարտավորությունները:

**უფლებაუნარიანობა იურიდიული პირის** - იურიდიული პირის უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ რეგისტრაციის მომენტიდან. 1.საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონში ან მის დამფუძნებელ დოკუმენტებში გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა. 2. კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოს თუ არასამეწარმეოს) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული.

**ԻՐԱՎԱԲԱՆԱԿԱՆ ԱՆՁԻ ԻՐԱՎՈՒՆԱԿՈՒԹՅՈՒՆ -** իրավաբանական անձի ունակությունը՝ ունենալու քաղաքացիական իրավունքներ և պարտականություններ: Իրավաբանական անձի իրավունակությունն սկսվում է նրա գրանցման պահից և ավարտվում է նրա լուծարման գրանցման պահից. 1. Հանրային իրավունքի իրավաբանական անձը լիազոր է կատարելու օրենքում կամ այն հաստատող փաստաթղթում նախատեսված նպատակներին պատշաճ գործունեություն: 2. Մասնավոր իրավունքի իրավաբանական անձը (ձեռնարկատիրական կամ ոչ ձեռնարկատիրական) իրավունք ունի կատարելու օրենքով չարգելված ցանկացած գործունեություն՝ անկախ նրանից, թե այդ գործողությունը նախատեսված է կանոնադրության մեջ, թե ոչ:

**უფლებაუნარიანობა ფიზიკური პირის -** ფიზიკური პირის უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ფიზიკურ პირს უფლებაუნარიანობა წარმოეშობა დაბადების მომენტიდან და წყდება მისი გარდაცვალებით. არ შეიძლება ფიზიკურ პირს წაერთვას უფლებაუნარიანობა.

**ՖԻԶԻԿԱԿԱՆ ԱՆՁԻ ԻՐԱՎՈՒՆԱԿՈՒԹՅՈՒՆ** - ֆիզիկական անձի ունակությունը՝ ունենալու քաղաքացիական իրավունքներ և պարտավորություններ: Ֆիզիկական անձի իրավունակությունն սկսվում է նրա ծնվելու պահից և ավարտվում է նրա մահով: Անհնար է ֆիզիկական անձին զրկել իրավունակությունից:

**უფლების ბოროტად გამოყენება** - უფლებით სარგებლობა ისე, რომ მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი და არ არის გამოკვეთილი ამ უფლებით მოსარგებლე პირის ინტერესის უპირატესობა.

**ԻՐԱՎՈՒՆՔԻ ՉԱՐԱՇԱՀՈՒՄ** - իրավունքի օգտագործումն այնպես, որ դրանով միայն ուրիշներին է վնաս հասցվում, և ընդգծված չէ այդ իրավունքից օգտվող անձի շահերի գերակայությունը:

**უფლებრივად უნაკლო ნივთი** - საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ნივთი უფლებრივად უნაკლოა თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო.

**ԻՐԱՎԱԿԱՆՈՐԵՆ ԱՆԹԵՐԻ ԳՈՒՅՔ** - Վրաստանի քաղաքացիական իրավունքի օրենսդրության համաձայն՝ գույքը իրավականորեն անթերի է, երբ երրորդ անձը չի կարող գնորդին պահանջներ ներկայացնել իր իրավունքների համար:
**უქმე დღე** - დღე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დადგენილია დასვენების დღედ.

**ՈՉ ԱՇԽԱՏԱՆՔԱՅԻՆ ՕՐ** – օր, որը Վրաստանի օրենսդրության համաձայն՝ սահմանված է որպես հանգստյան օր:
**უღირსი მემკვიდრე** - პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა პირადად მისი ან ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. თუ ეს გარემოებები დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ, ასეთი პირი არ შეიძლება იყოს არც კანონით, არც ანდერძით მემკვიდრე.

**ԱՆԱՐԺԱՆ ԺԱՌԱՆԳՈՐԴ** - անձ, որը դիտավորյալ խանգարում է կտակարարին՝ իր վերջին ցանկությունն ի կատար ածելու գործում և դրանով նպաստում է հենց իրեն կամ իր բարեկամներին ժառանգներ համարելուն կամ նրանց բաժնի ավելացմանը, կամ նշյալ անձը կատարում է կանխամտածված հանցագործություն կամ այլ անբարոյական պահվածք է դրսևորում՝ կտակարարի կողմից կտակում հայտնած վերջին ցանկությանը հակառակ: Եթե այս հանգամանքները հաստատվեն դատարանի կողմից, նշյալ անձը, ո՛չ օրենքով, ո՛չ էլ կտակով՝ ժառանգ համարվել չի կարող:
**უწყება (სასამართლო)** – ოფიციალური შეტყობინება, რომლითაც მხარეს ან მის წარმომადგენელს ეცნობება სასამართლო სხდომის ან საპროცესო მოქმედებების შესრულების დრო და ადგილი.

**ԾԱՆՈՒՑԱԳԻՐ (դատական)** – պաշտոնական հաղորդագրություն, որով կողմը կամ դրա ներկայացուցիչը իրազեկվում է դատական նիստի կամ դատավարական գործողությունների անցկացման ժամանակի և վայրի մասին:
**უწყებრივი ქვემდებარობა** – სასამართლოს უფლებამოსილება განიხილოს კონკრეტული დავა, სადავო ურთიერთობის საკითხიდან გამომდინარე. სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს მხოლოს ის დავები, რომლებიც უწყებრივად ექვემდებარება მას.

**ԳԵՐԱՏԵՍՉԱԿԱՆ ԵՆԹԱԿԱՅՈՒԹՅՈՒՆ** – դատարանի լիազորությունը՝ քննարկելու կոնկրետ վեճը՝ վիճահարույց հարաբերությունների խնդրից ելնելով: Դատարանը լիազորված է քննարկելու միայն այն վեճերը, որոնք գերատեսչական առումով գտնվում են իր ենթակայության տակ:

ფ

**ფალსიფიკაცია** – მოტყუებით ნივთის თვისობრიობის შეცვლა მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ.
**ԿԵՂԾԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ** – արտադրողի կամ վաճառողի կողմից խաբեությամբ ապրանքի հատկության փոփոխումը:
**ფასიანი ქაღალდი** - დოკუმენტი, რომელშიც აისახება მისი მფლობელის გარკვეული ქონებრივი უფლებები და რომლის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ამ დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.

**ԱՐԺԵԹՈՒՂԹ** - փաստաթուղթ, որում արտացոլված են դրա տիրոջ որոշակի գույքային իրավունքները, և որի վաճառքը հնարավոր է միայն նշյալ փաստաթուղթը ներկայացնելու դեպքում:
**ფაქსიმილე** - ფოტოგრაფირების, გრავირების და სხვა ტექნიკური საშუალებებით შექმნილი ხელნაწერის, დოკუმენტის, ხელმოწერის ზუსტი დუბლიკატი, ასლი.

**ՖԱՔՍԻՄԻԼԵ (նմանահանություն)** - լուսանկարչության, փորագրության և այլ տեխնիկական միջոցներով ստեղծված՝ ձեռագրի, փաստաթղթի, ստորագրության ստույգ կրկնօրինակը, պատճենը:
**ფაქტობრივი გარემოება** - კონკრეტული მოვლენა (ფაქტი), რომელსაც ადგილი ჰქონდა მხარეებს შორის დავასთან დაკავშირებული ურთიერთობისას.

**ՓԱՍՏԱՑԻ ՀԱՆԳԱՄԱՆՔ** - կոնկրետ իրադարձություն (փաստ), որը տեղի է ունեցել կողմերի միջև առաջացած վեճին վերաբերող հարաբերությունների ժամանակ:
**ფაქტურა** - 1. გამყიდველის მიერ მყიდველის სახელზე გამოწერილი ანგარიში, რომელიც ადასტურებს საქონლის (მომსახურების) ფაქტობრივ მიწოდებას და ასახავს მის ღირებულებას. 2. გასაყიდად გაგზავნილ საქონელზე დართული სია, რომელშიც აღნიშნულია: საქონლის სახელწოდება, რაოდენობა, გასაყიდი ფასი და სხვ.

**ԱՊՐԱՆՔԱԳԻՐ (ֆակտուրա)** - 1. Վաճառողի կողմից գնորդի անունով դուրս գրված հաշիվ, որը հաստատում է ապրանքի (սպասարկման) փաստացի փոխանցումը և արտացոլում դրա արժեքը: 2. Վաճառվող ապրանքին կցված ցուցակ, որում նշված են՝ ապրանքի անվանումը, քանակը, վաճառքի գինը և այլն:

**ფიზიკური ძალადობა** - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას.

**ՖԻԶԻԿԱԿԱՆ ԲՌՆՈՒԹՅՈՒՆ** - ծեծ, խոշտանգում, առողջության վնասում, անօրինական ազատազրկում կամ այլ այնպիսի գործողություն, որի հետևանքն է ֆիզիկական ցավը կամ տանջանքը:
**ფილიალი** - საწარმოს ქვედანაყოფი, რომელსაც აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა. ფილიალი ტერიტორიულად განცალკევებულია საწარმოს

ცენტრალური ადმინისტრაციისაგან. ფილიალი არ წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს.

ՄԱՍՆԱՃՅՈՒՂ (ֆիլիալ) - ձեռնարկության ենթաբաժինը, որն ունի որոշակի անկախություն: Մասնաճյուղը տարածքային առումով առանձնացված է ձեռնարկության կենտրոնական վարչությունից, մասնաճյուղն առանձին իրավաբանական անձ չի հանդիսանում:
**ფიქცია** - სინამდვილეს შეუფერებელი, რაიმე განსაზღვრული მიზნით ხელოვნურად შექმნილი, გამონაგონი მდგომარეობა, წყობა, ან მსჯელობა.

ԿԵՂԾԻՔ (ֆիկցիա) - իրականությանը չհամապատասխանող, որոշակի նպատակով արհեստականորեն ստեղծված, հորինված իրավիճակ, կարգ կամ դատողություն:
**ფორს-მაჟორი** - დაუძლეველი ძალა, მოვლენა, რომელიც ხელშეკრულების ვადის გადატანის (გაგრძელების) შესაძლებლობას იძლევა, ან საერთოდ ათავისუფლებს მხარეებს გარიგებით ნაკისრი პასუხისმგებლობისა და ვალდებულებისგან. მხარეების ინტერესებიდან გამომდინარე ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ფორს-მაჟორის პირობები. თუ ხელშეკრულებაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაშინ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პრაქტიკიდან გამომდინარე პირობები (მაგ. სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, ომები და ა.შ.).

ՖՈՐՍ-ՄԱԺՈՐ - անհաղթահարելի ուժ, երևույթ, որը հնարավորություն է տալիս փոփոխելու (երկարաձգելու) պայմանագրի ժամկետը, կամ ընդհանրապես ազատում է կողմերին գործարքով սահմանված պատասխանատվությունից և պարտավորությունից: Կողմերի շահերից ելնելով՝ պայմանագրով կարող են սահմանվել ֆորս-մաժորի պայմաններ: Եթե պայմանագրի մեջ այս մասին ոչինչ ասված չէ, ուրեմն պետք է հաշվի առնել պրակտիկայից բխող պայմանները (օր.՝ բնական աղետներ, գործադուլներ, պատերազմներ և այլն):
**ფრენშაიზინგი** - გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას. აღნიშნული ხელშეკრულებით ფრენშაიზორი შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ ფრენშაიზის მიმღებს გადასცემს საწარმოს გაძღოლის მთლიან სისტემას, მათ შორის, სახელწოდებას, სავაჭრო ნიშნებს, რეკლამას, პროდუქციის შექმნისა და მომსახურების გაწევის მეთოდებს.

ՖՐԱՆՇԱՅԶԻՆԳ - երկարաժամկետ պարտադիր հարաբերություններ, որով անկախ ձեռնարկությունները երկկողմանիորեն ստանձնում են, ըստ անհրաժեշտության, հատուկ պարտավորությունների կատարման ուղղով նպաստել ապրանքի ձեռնարկությանը, վաճառմանն ու ծառայությունների կատարմանը: Նշյալ պայմանագրով ֆրանչայզորը համապատասխան վարձատրության փոխարեն ֆրանչայզ ստացողին փոխանցում է ձեռնարկության ղեկավարման ամբողջ համակարգը, այդ թվում, անվանումը, առևտրական նշանները, գովազդը, արտադրանքի ստեղծման և սպասարկման մեթոդները:

**ფსიქოლოგიური ძალადობა** - ძალადობის ფორმა, რომელიც მსხვერპლს უკარგავს საკუთარი თავის რწმენას, აეჭვებს საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებში და რეალობის ადექვატურ აღქმაში. მისი ფორმებია: დაცინვა, დამამცირებელი შენიშვნები, შემოთავაზებები, ზიზღის გამომხატველი ქმედება, აკრძალვა, იზოლირება, ყვირილი, ეჭვიანობა, შანტაჟი და სხვა.

**ՀՈԳԵԲԱՆԱԿԱՆ ԲՌՆՈՒԹՅՈՒՆ** - բռնության ձև, որը զոհին ստիպում է կորցնել սեփական անձի նկատմամբ հավատը, ստիպում է կասկածել սեփական մտավոր կարողություններին և իրականության պատշաճ ընկալմանը: Հոգեբանական բռնության ձևերն են՝ ծաղրանքը, նվաստացնող դիտողությունները, առաջարկությունները, զզվանք արտահայտող գործողությունը, արգելումը, մեկուսացնումը, գոռոցը, խանդը, շանտաժը և այլն:

**ფსიქოტროპული ნივთიერება** - ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაეროს კონვენციების შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული ნივთიერებების სიაში.

**ՀՈԳԵՄԵՏ ՆՅՈՒԹԵՐ** - բնական կամ համադրական ծագում ունեցող նյութեր, այդ նյութերը պարունակող բույս կամ պատրաստուկ, որոնք ՄԱԿ-ի կոնվենցիաների համապատասխան՝ ներառված են Վրաստանում հատուկ վերահսկողության ենթակա հոգեմետ նյութերի ցանկում:

**ფულის გათეთრება (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია)** - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, რომლის დროსაც პირი კანონიერ სახეს აძლევს (ათეთრებს) უკანონო ან დაუსაბუთებელ ქონებას, მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით.

**ՓՈՂԻ ԼՎԱՑՈՒՄ (անօրինական եկամուտի օրինականացում)** - Վրաստանի քրեական իրավունքի օրենսգրքով նախատեսված հանցավոր գործողություն, որի ժամանակ անձն օրինական տեսք է տալիս (լվացում) անօրինական կամ չհիմնավորված գույքին՝ դրա ապօրինի ծագումը թաքցնելու նպատակով:

## ქ

**ქირავნობა** - ხელშეკრულება, რომლითაც გამქირავებელი გადასცემს ნივთს დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო დამქირავებელი ვალდებულია გადაიხადოს დადგენილი ქირა.

**ՎԱՐՁԱԿԱԼՈՒՄ** - պայմանագիր, որով վարձով տվողը վարձակալին որևէ գույք է փոխանցում օգտագործման համար, իսկ վարձակալը պարտավոր է վճարել սահմանված վարձը:

**ქმედუნარიანობა** - პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს უფლებები და განახორციელოს ვალდებულებები (მაგ. დადოს ხელშეკრულება). ფიზიკური პირი ქმედუნარიანობას იძენს

სრულწლოვანების მიღწევით ან ემანსიპაციით. იურიდიული პირი ქმედუნარიანობას იძენს რეგისტრაციით.

